

ს. ს. შიძა
K 167083
3

საქართველოს
საბჭოთაო
კავშირების

დედა ენა

ანუ

ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი

სახალხო უკულუბისათვის

შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან.




ბამოცემა პირველი, სურათებით.

ფასი ექვსი შაური.

თბილისი

მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში.

1876



იაკობ გოგებაშვილი


დედა ენა

ანუ

ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი

სახალხო უკულმებისათვის

შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან.



ბამოცემა პირველი, სურათებით.

ფასი ექვსი შაური.

თბილისი

მელიქიშვილის და კამბ. სტამბაში.

1876



K 1167083

0005-8061

Дозволено Цензурою 4-го Сентября 1876-го года.

სპეზ-2000
შემოწმებულია

წინასიტყვაობა.

ჯეროვანი ახსნა იმ განსაკუთრებული მიზნისა, რომელიც სახეში გეჟონდა ამ წიგნის შედგენის დროსა, და ვრცელი, განვითარებული დარიგება შესახებ მისი ხმარებისა სახალხო შკოლებში მეტად დიდ ადგილს დაიჭირდა და გადამეტებით გაადიდებდა უმისოთაც მოზრდილ წიგნსა. ამიტომ ჩვენ ვარჩიეთ აქ ჩაგვეერთო მცირე წინასიტყვაობა და მოკლე ხანში გამოგვეცა ცალკე წიგნი ქართველთ მასწავლებელთათვის, რომლის უმთავრესი შინაარსი იქნება განვითარებული და დაწვრილებითი რჩევა და დარიგება შესახებ ამ წიგნის ხმარებისა.

ჩვენი ანბანი არის შედგენილი ანალიტიკურ-სინტეტიურ მეთოდზედ. მასწავლამე იგი წარმოგვიდგენს ერთად დაკავშირებულ მეთოდებს პირველი ჩვენი ანბანისასა, რომელიც თორმეტი წლის წინათ გამოიცა და რომელიც ანალიტიკურ მეთოდზედ იყო შედგენილი და მეორისას, რომელშიაც მიღებული იყო სინტეტიური მეთოდი. თავის დროზედ ჩვენ ავხსენით რა გარემოებებმა და მოსაზრებებმა გაგვხადა იძულებული მიგვეტევებინა უფრო ძნელი, ანალიტიკური მეთოდი და მიგვეცა უპირატესობა უფრო ადვილი სინტეტიური მეთოდისათვის. ეს მიზეზები იყენენ: შინაური ხასიათი სწავლებისა და სრული უმეტრება ჩვენი სახლობის სფერისა სწავლების ხელოვნებაში; მცირე რიცხვი შკოლებისა, მათი მოუწყობლობა და მტკნარი უხეირობა მასწავლებელთ პერსონალისა, რომელიც შესდგებოდა პრიეტნიკებიდან და მღვდლებიდან. ეს საბუთები ეხლა აღარ არსებობენ: სწავლება უმეტეს ნაწილათ გადავიდა სახლებიდან შკოლებში, ამ შკოლებში მასწავლებლობა დაიჭირეს ყმა-წვილმა კაცებმა, რომლებიც ბევრათ თუ ცოტათ მომზადებულნი არიან თავისი თანამდებობის ჯეროვანი აღსრულებისათვის და რომელთაც მარჯვე მოხმარება რთული მეთოდისა ძრიელ არ უნდა გაუჭირდეთ. ამიტომ ჩვენ დროიანათ დაეინახეთ დაებრუნებოდით ანალიტიკურ მეთოდსა და ამასთან იგი დაგვეკავშირებინა სინტეტიურ მეთოდთან მაგრამ, რადგანაც სპეციალისტები მაინც თითქმის არ მოიპოვებინ ჩვენ ხალხურ შკოლებში მასწავლებლებათა, ამიტომ ამ ანბანის მეთოდი უნდა მიგვეყვანა სიადვილის უკანასკნელ ხარისხამდის. ამ შემთხვევაში ჩვენ ხელვმძღვანე-

ლობდით იმ ჰაზრით, რომ ხარისხი მეთოდის სარგებლობისა პირდაპირ დამოკიდებულია მის მარჯვეთ მოხმარების სიადვილეზედ და უკეთესი მეთოდი უარესზედ მანებელია და გადამრვეი ბავშვების გონებისათვის, თუ მისი ზეირიანათ მოხმარება შეუძლებელია სპეციალურათ მოუმზადებელ მასწავლებელთათვის.

ჩვენი მეთოდი მიუცილებელ საჭიროებათა ხდის წინამძღოლ ვარჯიშობებსა. წერა-კითხვის სწავლა, მეტადრე ანალიტიკურ მეთოდით, რთული საქმეა. პირდაპირ მისი დაწყება ბავშვის გონებისათვის ძნელი დასაძლევი და ასატანია. საჭიროა, რომ მისი გონება ამ რთულ საქმის შესათვისებლათ მომზადდეს უფრო მარტივი საგნების გაცნობით. ამ საგნებს უნდა ჰქონდეთ პირდაპირი დამოკიდებულება წერა-კითხვასთანა და შეადგენდნენ მის ელემენტებსა. წინამძღოლს ვარჯიშობებს შეადგენენ: დაბოური საუბრები, ხმების გამოარკვევა და ხატვა, რომლებიც ერთიერთმანეთს მისდევენ, ერთმანეთსა სცელიან და ასხვაფერებენ ბავშვის პირველდაწყებით შრომას. სასაუბროებს ხაგნათ უნდა ჰქონდეთ: ბავშვების ნათესაობა, მათი კარმიდამო, შკოლის რიგი, მისი კუთვნილებანი, ათი რიცხვის თვლა, მათი ერთმანეთზედ მითვლა, გამოთვლა, გამრავლება და გაყოფა, და სხვანი. ხმების გარკვევა მდგომარეობს ფრაზების დაყოფაში სიტყვებად, სიტყვების დაყოფაში მარცვლებად და მარცვლების დაყოფაში ხმებად. ეს ვარჯიშობა ადვილი არ არის და კაი სიმარჯვე მართებს მასწავლებელსა, რომ ოგი გვარიანათ წაიყვანოს. ხატვა უნდა განისაზღვროს მხოლოდ მდგომარე და მწოლარე ხაზების დასმით, მათი ერთმანეთზედ გადახმითა ისე, რომ რაიმე ბავშვებისათვის ნაცნობი საგნები გამოდიოდნენ; მაგალითად: ჯოხი, ყუარჯენი, წერაქვი, ჯვარი, ფოცხი, ორთოთი, სამთოთი, ჩანგალი, სასწორი, ფანჯარა, სავარცხელი და სხვანი. შემდეგ მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მრგვალი ხაზის დასმა და შემდეგი საგნების გამოსახვა: რკალისა, გასაღებისა, კვერცხისა, ზარისა, საათისა და კიდევ სხვებისა. ამ წინამძღოლ ვარჯიშობებს ორ კვირაზედ მეტი არ უნდა მოახმაროს მასწავლებელმა და შემდგომ უნდა გადავიდეს წერა-კითხვის სწავლებასზედ.

წერა-კითხვის სწავლა ჩვენ წიგნში დაკავშირებულია სურათებთანა. ამ სურათების შემწეობით ჯერ საგანი უნდა გაიცნონ ბავშვებმა, მერე მისი სახელი, რომელიც მისი გამოხატულების ქვეშ არის დაბეჭდილი. საგნის შესწავლაში უმთავრესი ყურადღება უნდა მიქცეული იყვეს მის შემადგენელი ნაწილების გამოარკვევასზედ. ავიღოთ, მაგალითათ, პირველი სურათი. მასწავლებელი დაუდებს ხელს იის ღეროზედ და ჰკითხავს: ეს რა არის? ლერო. ლეროზედ რა ასხია? ქლორტები. ქლორტებზედ რაღა ასხია? შოთლები. შოთლებ შუა რა არის გაშლილი? მიწაში რითი

არის დამაგრებული ია? მაშ რამდენი ნაწილი ჰქონია იასა? საგნის სახელი ბავშვებმა უნდა შეისწავლონ ჯერ ხმების მხრივ, მერმე ასოების მხრივ. მასწავლებელმა კარგათ უნდა მიახვედროს ბავშვები განსხვავებასა, რომელიც ხმებსა და ასოებს შუა არსებობს. ძითხვასთან უნდა შეაერთოს წერაცა და უთუთო ბეჭდური ხელითა, რადგანაც ჩვენ მეთოდში წერა ერთი მხრით მაშველებელი ღონისძიებაა კითხვისათვის. ბეჭდური ხელით წერა ჩვენთვის არ შეადგენს იმ სიძნელის მეთად ნაწილსაც, რომელიც უნდა რუსულ ანბანის სწავლების დროს დაიძლიოს, ამიტომ რომ ჩვენი ბეჭდური შრიფტი ხელთნაწერისაგან ძალიან მცირედ განსხვავდება. წერა-კითხვის სწავლების გასაადვილებლათ ჩვენ ანბანში ასოები იმ რიგზედ მისდევენ ერთი ერთმანეთსა, რომ წინეთ არიან მოქცეულნი უფრო ადგილი ასოები გამოთქმითა და გამოხატულობითა და მათ მისდევენ უფრო ძნელი ასოები. მხოლოდ ერთი ასო „ძ“, რომელიც ადგილია გამოთქმითაც და გამოხატულობითაც და რომელსაც ამისგამო უნდა ეჭიროს ადგილი თავშივე, შუაშია მოქცეული; ეს მოხდა სურათების სიღარიბის გამო. სიტყვების კითხვის დროს მასწავლებელმა სასტიკი უტრადლება უნდა მიაქციოს მასზედ, რომ ბავშვები სიტყვების ჰაზრს, მნიშვნელობას, შინაარს გონებას ადვენებდნენ, რომ სიტყვები მათ გონებაში აღვიძებდნენ საგნების სახესა, რომ იგინი არ მიეჩვივნონ უაზრო, მეხანიკურ კითხვასა. შრაზების კითხვის დროს იგი უნდა ითხოვდეს ბავშვებისაგან ანგარიშსა, რაზედ არის ლაპარაკი და რა არის ნათქვამი. —

რაც შეეხება პირველ საკითხავ წიგნსა, ჩვენა ვცდილობდით ერთი მხრით იმასა, რომ მას ჰქონოდა, რაც კი შეიძლება, მომეტებული მიმზიდველი ძალა ბავშვებისათვის, რომ იგი ყოფილიყო მათთვის საესე ინტერესითა და მეორეს მხრით—მის შინაარს წარმოედგინა არა ღარიბი მასალა ბავშვის გონების გახსნისათვის და განვითარებისათვის, ერთი სიტყვით ჩვენ ვცდილობდით შეგვეერთებინა ერთათ სასიამოვნო სასარგებლო სთანა.

პირველი ადგილი წიგნში უჭირავთ ზღაპრებსა. იგინი არიან ან ხალხური, ჩვენგანვე შეკრებილნი, შეუცვლელათ, ან ცვლილებით შეტანილნი წიგნში, ან ეკუთვნიან წარსული საუკუნის ჩვენ მწერალს საბა მარბელიანს და ამორჩეულნი არიან მისი შესანიშნავი თხზულებიდან „სიბრძნე სიცრუვის წიგნი“, ან კიდევ რუსულიდან არიან გადმოღებული და გადმოკეთებულნი. ზღაპრების კითხვას კლასში მხოლოდ მაშინ მოითხოვს მასწავლებელი მოწაფეთაგან, როცა ესენი კითხვაში გაიმართებიან. მანამდის კი ეს ზღაპრები სიტყვით უნდა უანბოს და წიგნში მათი კითხვა მიანდოს ბავშვების სურვილს კლასის გარეთ, თავისუფალ დროსა. ზღაპრებს მისდევენ პაწაწა-პაწაწა მოთხრობები, იუმორიულნი,

ზნეობითი და სხვა ბევრ-გვარი შინაარსისანი. ესენი თავდაპირველათვე უნდა კლასში იკითხებოდნენ და მათ კითხვის დროს მასწავლებელმა უნდა მოითხოვოს მოწაფეთაგან გვარისანი კითხვის კანონების სასტიკი დაცვა.

პატარა მოთხოვნებს მისდევენ იგავ-არაკები. ესენი, უმეტეს ნაწილათ, ეკუთვნიან (მხოლოდ სიუჟეტით) მხოპოსსა, მცირე ნაწილი კი ხალხურია, ან ძრილოვიდგან არის გადმოღებული. მათი კითხვა ბავშვებისათვის არც კლასში იქნება ძნელი, არც გარეთ, რადგანაც ესენი პატარები არიან და მარტივნი შინაარსით და გამოხატულებით.—ლექსებს ამ წიგნში დიდი ადგილი უჭირავთ. ისინი არიან უმეტეს ნაწილათ ხალხური, რომლებიც ზოგნი პეტრე შმიკაშვილის ჯერ დაუბეჭდელი კრებიდგან ამოვსწერეთ, ზოგნი თვითონ შეეკრიბეთ და ზოგნი ამოვარჩიეთ ახალციხური ლექსების კრებიდგან, რომლებიც შეგროვილნი არიან უკანასკნელ დროს ერთი პატივცემული ფრანგების მღვდლისაგან, ნიკ. მესხიევის თაოსნობით, და რომლებიც დაბეჭდას მოვლიან. მცირე ნაწილი ლექსებისა არ არის ხალხური და უმეტეს ნაწილათ ჩვენგნივე არის შედგენილი. ძარგათ ვიცით, რომ უკეთესი იქნებოდა მათ მაგიერათ რომ ჩვენი გამოჩენილი პოეტების ლექსები ყოფილიყო ჩართული, მაგრამ, სამწუხაროთ, მათ ნაწარმოებში სრულიად არ მოიძებნება საბავშვო ლექსები. ლექსები, მეტადრე უკეთესნი, ყმაწვილებმა უთუოთ ზეპირათ უნდა ისწავლონ.

რეალურ ელემენტს წიგნისას შეადგენენ სასაუბრონი, რომლებიც შეიცავენ თითქმის მთელ ბავშვისთვის მისაწვდომ სფერას საგნებისას. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს პირველად ის, რომ სასაუბროები, თავის უმეტესი ნაწილით, აჩვენებენ მხოლოდ შინაარსს საუბრისასა და არა დეტალურ ღონისძიებებს და ხერხებს, მეორეთ ის, რომ საუბრის დროს უთუოთ თვალწინ უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს ან საგნები, რომლებზედაც არის ლაპარაკი და ან მათი სურათები. შამისოთ სასაუბროები მეათედ სარგებლობასაც არ მიუტანენ ბავშვსა. ის მასწავლებელი უბრალო მოჯამაგირეა და არა მასწავლებელი, რომელიც, მაგალითად, ბავშვებს ბლახებზედ ელაპარაკება და კლასში კი არა აქვს ბლახების კოლლექცია, წინათვე შეგროვილი. სასაუბროებს მისდევენ ანდაზები, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ მათთანა. თითქმის ყველა ანდაზას აქვს ორი ჰაზრი: პირდაპირი და ზნეობითი. ზოგი ერთა ანდაზებისა ორივე ჰაზრი გასაგებია ბავშვებისათვის, ზოგისა კი მარტო პირდაპირი და ზნეობითი მნიშვნელობა კი მიუწვდომელია მათთვის. უკანასკნელ შემთხვევაში ზნეობით ჰაზრს სრულიადაც არ უნდა შეეხოს მასწავლებელი. ბამოცანებსაც მტკიცე კავშირი აქვთ სასაუბროს საგნებთანა. იგინი არიან ან ხალხური, ან რუსულიდგან გადმოკეთებულნი, ან ჩვენგნივე შედგენილნი. ბამოცა-

ნები შეადგენენ კარტინულ აღწერას საგნებისასა და დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის გონების გახსნაში, თუ კი მასწავლებელი ხელოვნურათ წაიყვანს მათ ახსნასა.

საღმრთო ნაწილი სწორეთ იმ რიგზედ უნდა ისწავლონ ბავშვებმა, რა რიგზედაც არიან დაწყობილნი სტატიები. პირველ წელიწადს ემაწვილები სურათების შემწვობით გაიცნობენ უმთავრესს მომენტებს იესო ქრისტეს ცხოვრებისასა. ამ დროს სრულიად საკმარისია, თუ მათ ეცოდინებათ ორი მოკლე ლოცვა, ადვილათ გასაგები ჰაზრის მხრივ და კიდევ უფრო ადვილად დასახსომი სიპატარაის გამო. ეს ლოცვები არიან: უფალო შეგვიწყალე და მოგვმადლე უფალო. უფრო დღე სათქმელი ლოცვების ახსნას, მათი შინაარსის გაგებას და ბოლოს ზეპირათ დასწავლას კლასი შეუდგება მხოლოდ მეორე წელიწადსა. ისე არაფერი ამაზინჯებს, აშრობს და ჰკლავს კაცის გულში რელიგიურ გრძნობასა, როგორც უაზროთ, გაუგებრად, თუთიყუშივით გაზეპირება ლოცვებისა სიპატარაის დროს. ზონებითი ვნება ამ პედაგოგის წინააღმდეგი ჩვეულებებისა ხომ კიდევ მომატებულა.-

თუმცა ამ წიგნის შედგენაზედ ერთგულათ და კაი ხანი ვიშრომეთ, მაგრამ ყოველგვარი სისრულით მაინც ვერ შევამკეთ და ზოგიერთა ნაკლულეევანებანი მაინც ვერ ავაცილეთ. ანბანის წინეთ საქირონი იყვნენ სახატეი ფიგურები, მაგრამ წიგნს იგინი აკლიან; რათა? რომელსამე ობილისის ლიტოგრაფიაში მათი დაბეჭდვა შეუძლებელი დარჩა სიძვირის გამო და ხეზედ ამოჭრილებმა ვერ ივარგეს. ამ ნაკლულეევანების შესამსებლათ ჩვენ მოკლე ხანში გამოცემთ ცალკე ხატვის და წერის რეუელსა.—სურათები, უმეტეს ნაწილათ, მდარენი არიან; მიზეზი ამისი: ობილისში უკეთესი ვერ ამოსჭერეს და უცხო ქვეყნიდან დაბარება ამ გამოცემისათვის ვერ მოვასწართ. შემდგომ გამოცემაში ამ ნაკლულეევანებას ადგილი აღარ ექნება.—ზოგი ერთა სტატიები საშუალონი არიან; ეს მოხდა მასალების ნაკლებულობის გამო. მეორე გამოცემაში მათ ადგილს დაიჭერენ უკეთესი სტატიები.—რამდენიმე სასაუბრონი გადამეტებით რთულნი მოვიდნენ. ეს ნაკლულეევანება დაბადა ჩვენმა სურვილმა, რომ ამ წიგნის რიგების რიცხვი არ გამრავლებულიყო და წიგნი ამაზედ მომეტებულათ არ გადიდებულიყო. შემდგომისათვის ეს სასაუბროები ნაწილებათ იქნებიან დაყოფილნი, მაგრამ ისე კი, რომ წიგნის სივრცეს არა ფერი მოემატოს. ამ მოსასპობელი ნაკლულეევანებების გარდა წიგნს აქვს ერთი მოუსპობელი ნაკლულეევანება, თუ კი შეიძლება მას ნამდვილი ნაკლულეევანება დავარქვათ: სტატიებს, ნახევრობით მაინც, არა აქვთ კავშირი სასაუბროებთან და ამიტომ მთელი რიგი წიგნისა არ შეადგენს ერთ ორგანიულ განყოფილებასა. ჩვენ ეს ნაკლულეევანება მიგვაჩნია მო-

უსპობელათ, იმიტომ რომ მის გასაუქმებლად საჭიროა იმოდენა სიმდიდრე მასალისა, რომელსაც არ წარმოგვიდგენს არამცთუ ჩვენი ხალხის და საზოგადოების გონებითი ნაწარმოები, არამედ იმ ხალხებისაცა, რომლებიც გონებითი საუნჯის რაოდენობით და თვისებით ჩვენზედ გაუზომელათ მაღლა დგანან. ამ ნაკლულევენებას ჩვენ მაინც მაგდენს მნიშვნელობას არ მივსცემთ, თუ გავიხსენებთ ბავშვის გონების ხასიათსა, იმ ხასიათსა, რომელიც მისთვის მიუწოდებლათ ზღის კავშირსა ბევრ გვარ საგნების შორის და ნებას აძლევს მხოლოდ ცალკე, განმარტებული საგნების შესწავლისასა.

შინც ამ წიგნის ნაკლულევენებებს ჩვენთვის სასაყვედრო საგნათ ჩასთვლის, იმას ჩვენ მოვგონებთ, რომ გამოჩენილი პედაგოგები ერთნხივე სთვლიან პირველი საბავშვო წიგნის შედგენას უძნელებს საქმეთ მთელ პედაგოგიაში, მაშინაც კი, როდესაც ხალხური ლიტერატურა შეიცავს მზამზარეულ მასალას ამ წიგნისათვის. რამდენათ მომეტებული უნდა იყვეს ეს სიძნელე იქ, სადაც ამ გვარი მასალის დამზადებით თავი არა ვის შეუწუხებია და სადაც კაცმა თითქმის არაუფრიდგან უნდა დაბადოს წიგნი!

ი. მოგებაშილი.

RS. ეს წიგნი დაჯილდოებულ იქმნა სტეფანე ზარაფოვის პრემიითა, თანამად გადაწვეტილობისა იმ კომისიის წევრებისა, რომელიც რამდენიმე წლის წინეთ შესდგა ქართული სახელმძღვანელოების გასამინჯველათა.—


თფილისი 1876 წ.

სექტემბრის 7 დღესა.



ს ა რ ჩ ე ვ ი .

ანბანი	1—11 გვ.	რიგი მეორე.	
პირველი საკითხის ვიზნი.		რწეილი და კიანკველა, ხალ.	
რიგი პირველი.		ზლაპარი, ცვლილებით	17
სიმღერა ხალხური	13	ამომავალი მზე, ხალ. ლექსი.	19
ზარმაცი და ბეჯითი	14	ტაკაკი და ყვავი, ხალ.	
მოსიყვარული ამხანაგი, ხალ.		ლექსი	—
ლექსი პ. შმიკაშვილის კრებიდ-		შორანი, ხალხური ლექსი.	—
გან	—	მკეხარა ქოთანი, ხალხური,	
ურგო ამხანაგი	—	ცვლილებით	—
პატარა ქალის ნატვრა, ხალ.		შარდი და ბულბული, ხალ.	
ლექსი	—	ლექსი	—
სწავლაზედ ზარმაცი, კამაზედ		მძინარე ნიბლია, ხალ. ლექ.	20
მამაცი	—	ქოთანი და ქვაბი	—
შაყაო და ყმაწვილი, ხალ.		ტურდღელი და ყანა, ხალ.	
ლექსი, შეცვლილი	—	ლექსი	20
ბავშვის სათვალეები	—	შეხმოტეხილი კურდღელი,	
ბეჯითობა, ხალ. ლექსი, შეც-		ხალ. ლექსი	—
ვლილი	15	სასაუბრო (ხის ავეჯი და კურ-	
მღრი მზრუნველი, ძმა	—	კელი)	21
სწავლა, ლექსი დ. ბურა-		ანდაზები	—
მიშვილისა	—	ზამოცანები	22
მოწვევა სწავლაზედ, ხალ.		საწერი	—
ლექსი, გადასხვაფერებული	—		
სასაუბრო (სასწავლო და სა-		რიგი მესამე.	
თამაშო ნივთები)	—	მერიტი, ხალ. ზღაპ. გადა-	
ანდაზები	16	სხვაფერებული	22
ზამოცანები	—	ჭაზრიანი თათარი	23
საწერი	—	ლექსი ჰავახეთზე, ხალხ.	
		ლექსი	—



სტუმარი და მეფე ლენო	—
მეცხვარე, ხალ. ლექსი	24
ახათ დასჯილი ძმა	—
ლენო, ხალ. ლექ. პ. შმი- კაშვილის კრებიდგან.	—
პური და იმერელი, ხალხ. პური, ლენო და მჭადი, ხალ. ლექ. პ. შმიკაშვილის კრებ. სასაუბრო (სასმელები და საქ- მელები)	25
ანდაზები	—
ბამოცანები	—
საწერი	26

რიგი მეოთხე.

მანო და ფრინველები	26
ბეჯითი ბატონი	27
ირემი, ხალ. ლექ. პ. შმი- კაშვილის კრებიდგან.	—
შაფანაკი და ქული	28
ჭურდი	—
ტოროლა, ხალ. ლექსი	—
ნაპოენი წიგნი	—
მკილაეი ღორი	—
შაქკაცობა	—
თავები და გლეხი, ხალ. ლექსი	29
სასაუბრო (საცმელი, ღო- გინი და საფენი)	29
ანდაზები	30
ბამოცანები	—
საწერი	—

რიგი მეხუთე.

ცხე-დარბაზი, ზღაპარი	30
ჭარი და საბძელი, ხალხური. ჩიტი და ფეტვი, ხალ. ლექ. ხარი და გუთანი	31 — —

შურმახელი გლეხი	32
ბუთანი, ხალ. ლექსი	—
ჩხუბი არაფერზედა	—
ბულადი, ხალ. ლექსი	—
ბაყიდული თოფი, ხალ. ლექ. პ. შმიკაშვილის კრებიდგან	—
მედუქნის ხერხი	—
ხმალი, ხალ. ლექსი, პ. შმი- კაშვილის კრებიდგან.	33
ორი სახნისი	—
ბერიკაცის ნატვრა, ხალ. ლექ. სასაუბრო (იარაღი და შენო- ბანი)	—
ანდაზები	34
ბამოცანები	—
საწერი	—

რიგი მეექვსე.

ჩიტი და მელია, ხალ. ზღაპ. თხა, ლექსი	35 37
ცალუდელი ხარი, ხალ. ცელ. ღორი, ხალ. ლექ. პ. შმი- კაშვილის კრებიდგან.	—
მგელი და თხა, არაკი ეზო- პოსისა	—
ლაჭერილი კურდღელი, ხალ. ლექსი პ. შმიკაშვილის კრებ. თავისი თავის წყევლა	38 —
ქურდღელი და მწვეარი	—
ხარი, ხალ. ლექსი, პ. შმი- კაშვილის კრებიდგან.	39
ატა და ძალი, ხალხური. მელია და თხა, არაკი ეზო- პოსისა	—
სასაუბრო (შინაური ცხოვ.) ანდაზები	40 41
ბამოცანები	42
საწერი	—

რიგი მეშვიდე.

თიკნები და მგელი	42
მდინარის ნაამბობი, ხალ. ლექსი	43
მგელი და მემცხვარეები, მხოპოსისა	44
საწყალი მელა, ხალ. ლექ. შმიკაშვილისა, ცელილ.	—
ლომი, დათვი და მელია, მხოპოსისა	—
ნადირობა, ხალ. ლექსი, პ. შმიკაშვილის კრებიდგან	45
მგელი დაწერო, მხოპოსისა. სასაუბრო (ნადირნი).	46
ანდაზები	—
ბამოცანები	—
საწერი	48

რიგი მერვე.

შვილო კაცი და თაგვი, ხალ. ზღაპარი	48
მონადირე და დათვი, ხალ. ლექ. ბებერი და ქათამი	49
მელია და მამალი, ხალ. ლექ. არუხი და კაქკაქი	50
მრი ყვინჩილა	50
მკვებარა, ხალ. ლექსი	51
ქურდი და მამალი, ხალხ. ბატი, არაკი	—
სასაუბრო (შინაური ფრინველები)	—
ანდაზები	52
ბამოცანები	—
საწერი	—

რიგი მეცხრე.

ძალდი და მამალი, საბა მრ-

ბელიანისა	53
მწყერი და მწყემსი, ლექსი. შორი და იხვი, საბა მრბელიანისა	—
შავი და კაქკაქი	54
ძერა, მამალი და მტრედები. მიმინო და მტრედი	—
საბრალო დედაბერი, ხალ. ლექ. პ. შმიკაშვილის კრებ. ბერიტი და მტრედი, პრილოვისა	55
მწყერი და ლამურა	—
შასი სიდიდებზე როდი ჰკილია. არწივი და ყვავი, მხოპოსისა. სასაუბრო (გარეული ფრინველები)	57
ანდაზები	58
ბამოცანები	—
საწერი	59

რიგი მეათე.

მამალი და კატა, ზღაპარი	59
ქუ და არწივი, მხოპოსისა. მკვებრილი მელა, ხალ. ლექ. პ. შმიკაშვილის კრებ.	—
ბველი და გლეხი, ძრილოვისა	—
ლომი და ბაყაყი, მხოპოსისა	63
მეთევზე და თევზი	—
მგელი და მემცხვარე, ხალ. ლექსი	—
სასაუბრო (თევზები და ქვეწარმავალნი)	64
ანდაზები	—
ბამოცანები	—
საწერი	—

რიგი მეთერთმეტე.

მელია და თხა, ზღაპარი.	65
ბუზი და ეტლი, მხოპოსისა.	66
ბუზი და სპილო, ხალხური.	—
შოშია, ხალ. ლექსი.	—
მხენელი ბუზი.	67
ჭრიჭინა და ჭიანჭველა.	—
ჭიანჭველა და ფუტკარი.	—
თაგვი და კატა, ხალ. ლექსი.	—
პ. შმიკაშვილის კრებიდ.	68
სასაუბრო (მწერები).	69
ანდაზები.	—
ბამოცანები.	70
საწერი.	—

რიგი მეთორმეტე.


მელია და მწყერჩიტა, ხალ. ზღაპარი.	70
ცალთვალნი ირემი.	71
ძატა, ლექსი.	72
ძალლი და ჩრდილი, მხოპოსისა.	—
ბამოცანები.	—
ძალლი და ძროხა, მხოპოსისა.	—
ცრუ.	73
მთიური წყარო, ლექსი ჭადიდელისა, ცვლილ.	—
შსუნო ყვავილი.	—
მოუფიქრებელი კითხვა.	74
მინდორში გასვლა, ლექსი.	—
სასაუბრო (ბალახები და ყვავილები).	—
ანდაზები.	75
ბამოცანები.	—
საწერი.	—

რიგი მეცამეტე

მელია და წერო, ზღაპარი.	76
მანდილოსანი და გოგოები.	—
ბამოცანები.	77
ცხვირი მალღა ვის მიაქვს.	—
ქერი და პური.	—
მკვებარა თაღვამი.	—
შავარდენი და მტრედი, ლექსი.	78
მგელი და ვირი, არაკი საბა.	—
მრბელიანისა.	—
შევი, ძრილოვისა.	—
ღათვის სიზმარი, ხალ. ლექსი.	—
პ. შმიკაშვილის კრებიდ.	—
თავისი თავის დასჯა.	79
სასაუბრო (საპურე და საბოსტენი მცენარეები).	—
ანდაზები.	81
ბამოცანები.	—
საწერი.	—


რიგი მეოთხმეტე

ღათვის და გლეხის ამხანაგობა, ზღაპარი.	82
ირემი და ვენახი, მხოპოსისა.	—
ბერიკაცი და ნამყენი.	83
ბალი და ჩიტები, ლექსი.	—
მუხა და ლერწამი, ძრილოვისა.	—
ბაწვევა ტუისკენ, ლექსი.	84
ძალლის ყურძენი.	—
მაშლი, ლექსი.	—
ხეების ბაასი.	85
მარწყვის ქება, ძველ. ლექსი.	—
პიტრის ქება, ძველ. ლექსი.	—
სასაუბრო (ხეხილები, ხეები და ჩირვები).	86



ანდაზები —
 ზამოცანები 87
 საწერი —
 რიგი მეთხუთმეტე.
 მეგობრობა დათვისა და გლე-
 ხისა, ს. მარბელიანისა 87
 ძალღი და კატა: ლექსი 88
 ძუნწი —
 ლომი და დათვი. მხოპოსისა. —
 მელია და ყურძენი, ძრილო-
 ვისა 89
 მამალი და მარგალიტის თვა-
 ლი, ლექსი. —
 ლომი, ვირი და მელია, მხო-
 პოსისა 90
 ტაცი და ოქრო, ს. მარბე-
 ანისა. —
 სასაუბრო (ღოთონები, ქე-
 ბი და ნიადაგები) 91
 ანდაზები —
 ზამოცანები 92
 საწერი —
 რიგი მეთექვსმეტე.
 ბლეხი კაცი და მელია, ზღ-
 კარი 92
 ირემი, მხოპოსისა. 93
 რა დროა? ლექსი —
 მექარა 94
 რა დროა? ლექსი —
 მონადირე კურდღელი, ძრი-
 ლოვისა. 95
 მარლი და ღრუბელი —
 ჰარსკელავსა, ხალ. ლექსი 96
 მზე, ყინვა და ქარი —
 სასაუბრო (დროს ნაწილები). —
 ანდაზები 97

ზამოცანები —
 საწერი —
 რიგი მეჩვიდმეტე.
 ღარიბი გლეხი, ზღაპარი. 99
 შანა, ლექსი. —
 მთხი სურვილი. 100
 ზაშვებული ჩიტი, ლექსი შა-
 ვლენიშვილისა 101
 პოლო და ლომი, მხოპოს. —
 მარტი და აპრილი, ხალხ.
 ლექსი —
 სასაუბრო (ფულეები, ზომა,
 წონა და საწყაო). 102
 ანდაზები —
 ზამოცანა 103
 ჩქარა გამოსათქმელი. —
 საწერი —
 რიგი მეთერამეტე.
 მოთმინება კაი საქონელთა 103
 ბერიკაცი და სიკვდილი. 104
 მერცხალი, ლექსი. 105
 მრავალი პატარა ქალი —
 კეთილი ძმა. 106
 ზამგონე პატარძალი —
 ქალის სიზმარი, ხალ. ლექ. —
 მამა და შვილები, ხალ. მოთ-
 ხრობა —
 მეფე და მხატვარი, ს. მარ-
 ბელიანისა 107
 შურდი მკერვალი, ს. მარ-
 ბელიანისა 107
 სასაუბრო (ნათესაეები, ნათ-
 ლიები, ხელოვნები, მოხელეე-
 ბი, სათნოებანი და ბიწიერე-
 ბანი) 108
 ანდაზები 109



ბამოცანები —

ჩქარა გამოსათქმელი —

საწერი —

რიგი მეცხრამეტე.

შუტკრები საშოვარზედ 110

ქუ და მორიელი, ს. ორ-
ბელიანისა 111

ბავშვის სიზმარი, ხალ ლექ. 112

შვაი და მელია, შოპოლისა. —

მაისის დილა, ლექსი. —

ხურმა და მწყემსი, ს. ორ-
ბელიანისა 113

ჩხუბი ადამიანის ასოებისა,
შოპოლისა —

სასაუბრო (ადამიანის სხეუ-
ლის ნაწილები). 114

ანდაზები 115

ბამოცანები —

ჩქარა გამოსათქმელი —

საწერი —

რიგი მეორე.

თხა და მელია, ზღაპარი. . 116

მელია და ქოთანი —

ბიორგოზისთვის დღე, ლექსი. 117

პატა და პატარა ლომი. —

ქრუ ბერიკაცი 118

პოკლი და ბრმა —

ერთი და ორი 119

მგელი და მეცხვარეები, ლექ. —

სასაუბრო (ხუთი გრძნობა). —

ანდაზები 120

ბამოცანები —

ჩქარა გამოსათქმელი 121

საწერი —

რიგი ოცდა პირველი.

ზირი და აქლემი, ს. ორბე-

ლიანისა 121

ჩიტები და ქორი, ლექსი. . 122

ორი მეგობარი და დათვი. 123

მახეში გაბმული ჩიტი, ლექ. —

ბავშვი და ჩიტი 125

მართალია? 126

შუტკარი და მტრედი —

შვაილი, ლექსი ნ. ბარათა-
შვილისა —

არწივი და ყვავი, პრილო-
ვისა 127

სასაუბრო (ბუნების მოვლე-
ნანი და ოთხი მხარე ქვეყნისა) 128

ანდაზები 129

ბამოცანები —

ჩქარა გამოსათქმელი —

საწერი 130

რიგი ოცდა მეორე.

მელია და მგელი, ზღაპარი. 130

ცა და დედამიწა, ხალ. ლექ. —

პ. შმიკაშვილის კრებიდ. . 131

მთიული და ვენახი 132

შვაი და ქოთანი 133

ბაზაფხული, ლექსი ი. ჭავ-
ჭავაძისა 134

ბამოცანა მახვილი ბავშვებ. —

ქალების მუშაობა, ხალ. ლექ. —

მანო და ქალაქი 135

ქართველები, ხალ. ლექსი. . 136

სასაუბრო (საქართველოს ნა-
წილები და მთები) —

ანდაზები 137

ბამოცანა —

ჩქარა გამოსათქმელი 138

საწერი —

რიგი ოცდა მესამე.	
პირი, ღორი, თხა და მამალი, ხალ. ზღაპარი.	138
კეთანდლი, ხალ. ლექსი, შმიკაშვილის კრებიდ.	141
შის დიდი თვალები აქვს	142
ქიდევ გამოცანა.	143
მშიშარა მანო.	—
სიყვარული ტყვილზედ ძრი- ელია	144
პატარა მდინარე, ლექსი	144
ბერი და დათვი.	145
ლიახვი, ხალ. ლექსი	—
ქურდღლები და ბაყაყები	146
ჭარელი ბიჭი, ხალ. ლექსი.	—
სასაუბრო (მდინარეები და ქალაქები.	—
ანდაზები.	148
ბამოცანები.	—
ჩქარა გამოსათქმელები.	—

რიგი ოცდა მეოთხე.

მებადურის შვილი, ხალ. ზღ.	148
თბილისის ქება, მესტე. ლექ.	152
ბეთილი გული	153
სამნი ძმანი, ს. მრბელ.	—
დატყვევებული ჩიტი, ლექ.	—
დ. მადიანისა, ცელილებით	154
მრმომი ჩაგდებული მეფე, ს. მრბელიანისა.	—
აბლაული და შრეკლე, ხალ. ლექსი.	155
მრი ღვთისნიერი ძმა, საბა მრბელიანისა	—
დემურის ლექსი, ხალხური.	156
მეფე და იმისი ვაჟები ს. მრბ. ამირანი, ხალ. ლექსი, პ.	—

შმიკაშვილის კრებიდ.	157
პაპა	158
სოლოღას ლექსი, ხალხური.	158
სასაუბრო (ხელოვნებითი და ბუნებითი საგნები)	160
ბამოცანების ახსნა.	—



ი ა .

ი ა .

ია. აი.

აი ია.



ბ ე .

ბ ე .

აბ. ბა. ებ. ბე.

აბა. აბი. ბაბა. ბებე. ბება.

აი ბე. აი ბაბა. ბე ბებე.



ს ა ბ ე

სა ბე

ს ა ბ ე .

ის. სი. ეს.

ასე. ესე. სია. ასი. სასა. სესე.

ეს ბეა. ასი ია. ასე ბებე. აი სე-

სე. სასა ბებე. სესეს საბე.



მ ა ბ ე .

მა ბე

მ ა ბ ე .

ემ. მე. ამ. იმ.

მამა. მამე. მიე. ხამი. მიხა. მისი.

მეხი.

ია მამე. სამი მახე. სია მიე.

აი მამა. მისი ხახა. აი მახე.

ხამი მიხა. ეს იაა.



თ ი თ ი .

თი თი.

თ ი თ ი .

ათი. თასი. მათა. მათე. თიხა.


თესე. საით.

აი თიხა. ათი თითი. ია თესე.



თასი ხეხე. თიხა მამე. თითო მიიგ. აი მათა. ეს მათვა.

ხეხე. კამა თესე. თოკი მამე. კეკე, ამო. ეს მაკაა. ეს სიკოა.




თ რ ბ ი

თ რ ბ ი.

თ რ ბ ი.

რბ. რმი. რსი ასო. ამო. სოლო. მოსე. თომა. თითო.

ასი რსი. სამი თოხი. აი სოლო ხამი თომა. მოსე, ამო. სოლო, თესე. აი თომა. თითო ასოა.




ი ბ ვ ი.

ი ბ ვ ი.

ი ბ ვ ი.

ავი. ავა. ევა. ხევი. ვასო. კევი. ვაკე. თავი. თივა. კავი. კევი მამე. ვასო ავა. ათი თავი. აი თივა. ასი იხვი. კეკე მოვა. ვასო ავია. კაი ავაა.



ს რ კ ო

ს რ კ ო.

ს რ კ ო.

კი. კაი. აკი. კეკე. კოკა. თოკი. კენი. კამა. მაკა. სიკო. ათი კოხი. კაი სოკო. კოკა



ვ ა ზ ი.


ვა ა ზ ი.

ვა ა ზ ი.

ვზო. ხაზი. თაზო. ზეთი. ზომა.



ზეზე. ზაზა. მასა. აზიზი.
 აი ზეთი. ვაზი ხეა. თოკი ზო-
 მე. ზაზა მოვა. იხვი ზის. ზე-
 ვით ამო. მოსე ზეზეა. თამა
 ხეზეა.



კ უ .

კ უ .

სუ. თუ. უმი. უთო. მუხა.
 თუთა. კუხე. სუკი. კუზი. ხუ-
 თი. უხმო. უხმო.
 აი კუ. მუხა ხეა. სუთი ვაზი.
 სუკი უმია. თუთა კუხეა. თა-
 ზო უხმოა. კეკე უხმოა. ეს
 კაი უთოა.



მ ა შ ა .

მა შა .

მ ა შ ა .

შიო. შეშა. შიში. მაშო. ხა-
 ში. შოთი. შუშა. მუშა. შავი.
 ეშვი. შოშია.

შუშა მამე. შოთი მიე. მუშა
 მოვა. ხაში უმია. მაშო, შე-
 მო. მაშა შავია. შოშია ზის.
 აი შუა თითი. შიო ხეზე ზის.



კ რ ნ ა .

კ რ ნ ა .

კ რ ნ ა .

ენა. ინა. ნინო. ნიკო. მინა.
 კანი. თონე. ნავი. ნაზი. ნეკი.
 სუნი. ნამი.

აი ნავი. ნინო ნახე. ინა
 თესე. კონა მიე. ნენე ზის. ნი-
 კო მოვა. ნეკი თითია. ანა
 შავია. ნინო ნაზია. აი თიხის
 თონე.



დ ა ნ ა .

და ნა .

დ ა ნ ა .

და. დო. ოდი. დედა. დიდი.
 მადა. დოში. კუდი. ხიდი. დათა.
 დუმა.




შინ შედი. ღათა მოვა. ღოში
 დადე. ხეზე აღი. ვანო მოვიდა.
 დას შეხედე. დედა მიდის. თე-
 ღო მოდის. მუხა დიდი ხეა.
 ანას ინა დაადე.



აი ღუმა. ღოში მამე. თოკი
 შედე. ზეთი მიე. კონა დადე.
 ხეზე აღი. მუხა ხეა. სოკო
 მამე. სოსო ზის. ინა იდე. კო-
 კა ხეზე. თუთა ზიდე. მათა
 ნახე. კამა თესე. ოსი მოვა.
 ზეზე ადე. მამა მიდის. დედა
 მოდის. სიკო დადის. მინა, ხა-
 ზე. კეკე, ზომე. თინა ახმე. ნი-
 ნო ნაზია. სიკო ოსია. ხიდი
 ნახე. უთო შავია. თოკი ხეზეა.
 თუთას შეხედე. ღუმა დადე.
 ნეკი თითია.


აი დიდი კუ. სამი ია მამე.
 თოკი შეშაზე შედე. კეკეს კო-
 ნა მიე. აიმ ხეზე აღი. მუხა
 დიდი ხეა. სოსო ხეზე ზის.
 დიდი თასი ხეზე. დიდი თო-
 კით ზომე. აი შავი თუთა. სა-
 მი ოსი მოვა. თოკით თივა
 ზიდე. მინა ხეზედ ავიდა. თო-

კი ხეზე შედე. მუხა ეზოში
 შევიდა. ეს თითი ნეკია. ღუ-
 მა დაადე მამასა. კეკე, კამა
 თესე. კოკას თაფი ახადე. კაი
 სუნნი მოდის. აი ხუთი თითი.
 ნინომ ინა დაიდო. დახედე ამ
 კუსა. აი დიდი ოთახი. ის ხე
 თუთაა.



ვ ი რ ი .

ვი რი.
 ვ ი რ ი.
 კარი. ზარი. სარი. ხარი. ვა-
 რია. ურემი. ირემი. ავშარა.
 კირი ზიდე. კარი მოხურე.
 ზარი დარეკე. თივა შეკარი.
 ურემი აკეთე.
 ვარია თაროზედ ავიდა. ვირი
 ოთახში შევიდა. კარის რახუ-
 ნი ისმის.




ღ ო რ ი .

ღ ო რ ი .

ღ ო რ ი .

ღოღო. ღომი. ღამე. ღარი.
თალი. კოღო. ღაღანი. ღულუ-
ნი. საღორე. ღამურა.

ღარი აიღე. კარი შეაღე. ღო-
მი დათესე. ღორი დადაღე. და-
თიკო საღია. ღულუნი მესმის.
კოღო თავზე მაზის. ნიკო უ-
ღონო არის. საღორის კარი
მიხურე. ღამურას ღამით ნახამ.




ძ რ ო ხ ა .

ძ რ ო ხ ა .

ძ რ ო ხ ა .

ძუა. ძიძა. ძუძუ. სიძე. ძირი.
ძერა. ძმა. ძნა. რძე. ძმარი.
ნაძვი. ღერძი.

ძმა მოვიდა. ძნა შეკარი. რძე
თეთრია. ძიძას ეძინა. ღერძი
ვიშოვე. აი ნაძვის ხე. ეს კო-
კა უძირია. სიძე ძირსა ზის.
ძმარი სურაში არის. ძიძას ძუ-
ძუ შეხუთა.



მ ა მ ა ლ ი .

მ ა მ ა ლ ი .

მ ა მ ა ლ ი .

ლილა. ალალი. დედალი. მე-
ლანი. ხეხილი. ლავაში. კაკა-
ლი. დუღილი. უღელი. სალო-
მე. ღანძილი.

ღვინო დალიე. მელანი შა-
ვია. სალომე ნაზია. უღელი
თაღე. აი ღანძილი. კეკელა ნი-
კოს დაა. აი მარდი მამალი. ეს
ლავაში ხმელია. ხეხილი სულ
ღახმა. კაკალი კეკელას მიე.



ქ ა თ ა მ ი .

ქ ა თ ა მ ი .
ქ ა თ ა მ ი .

ზაქი. ქამარი. კარაქი. ქოთანი. ქაქანი. ექიმი. დალაქი. ზაქარა. დუქანი. ქუხილი. ქინძი. ქათამი დაკალი. ქორი მოკალი. ქამარი დამალე. ექიმი მოვიდა. ქინძი დათესე. ქორმა ქათამი მოკლა. ქათამი ქექავს ღომსა. ქილაში კარაქი არის. ქეთევანი კაი ქალია.



გ ვ ე ლ ი .

გ ვ ე ლ ი .
გ ვ ე ლ ი .

გოგო. ნაგავი. ლაგამი. უგემო. გოგრა. გიგოლა. გუთანი. გაღესეა. ნამგალი. გაქექვა. უზანგი.

გემი მიღის. გუთანი აკეთე. ნამგალი გაღესე. გუდა შუაზე გაიხა. ქონის სამთელი გაქრა. გაზი გიგოს მიე. თუთა უგემოა. გიგოლამ ნამგალი გაღესა. გოგომ გომი დაგავა.



ო ფ ო ფ ი .

ო ფ ო ფ ი .
ო ფ ო ფ ი .

ფაფა. ძაფი. ფულურო. სოფიო. კანაფი. ფაფარი. ფარანი. ფუფუნი. საფენი. ფირუზი. ფინია. ხაფანგი.

ფეხი აიღე. საფენი დააგე. ფაფა სქელია. ფარანი მოანათე. დიდ ფულუროს მივაგენ. კანაფი ძალიან მაგარია. სოფიო და ფეფე მოდიან. კანაფის ხაფანგი გავაკეთე. ძაფი ფეხზედ დამეხვია.




კ ა მ ე ჩ ი .

კ ა მ ე ჩ ი .

კ ა მ ე ჩ ი .

ჩალა. ჩამიჩი. ქაჩალი. ფუჩე-
ჩი. ლეჩაქი. ჩუჩუნჩი. ჩაქუჩი.
ჩოჩორჩი. ჩანგალი. ჩუჩრჩული.

ჩოჩა შეკერე. ლეჩაქი გაიჩა.
ჩაქუჩის კაკუჩი ისმის. ჩამიჩი
კარგა გაჩხმე. ფეფე ჩუმი გო-
გოა. ქაჩალმა თაეი მოიჩრჩი-
ნა. კამეჩმა ჩოჩორჩს ერჩოლა.
ხარჩი ფუჩეჩით გაძლა.



კ ი ბ ო .

კ ი ბ ო .

კ ი ბ ო .

აბგა. ლობიო. ბიბილო. სა-
ბანი. ბებერი. ყასაბი. ხოხობი.
ბოსელი. ბუხარი. ბულბული.
ბლაფილი.—

ბადე დაება. საბანი დაიხუ-
რე. აბგა დაიხა. ბებერი ლო-
ბიოთი გაძლა. ეს ყასაბი ლარ-
ბია. ხოხობი ლამაზი ფრინვე-
ლია. ბაბალემ საბანი შეკე-
რა. ძროხის ბლაფილი ისმის.
ბულბული კარგათ გალობს.



კ ე ჰ ე ლ ა .

კ ე ჰ ე ლ ა .

კ ე ჰ ე ლ ა .

ჰაჰა. საჰონი. ნიკაჰი. პურადი.
აჰრილი. პარკი. პრასა. პაველე.
ჰერანგი. პილპილი. აჰეური.

ჰაჰა პურადია. პალო გათა-
ლე. პარკში პური ჩადე. პი-
რი საჰნით დაიბანე. ჰეპელა
პრასაზედ ზის. ლექსები ზეპი-
რათ ისწავლე. ჰაჰას ჰერანგი
დაება. აჰეური შეაბი უღელსა.
აჰრილი გაზაფხულის თევა.




ბ ა ჟ ა ჟ ი.

ბ ა ჟ ა ჟ ი.

ბ ა ჟ ა ჟ ი

ყოჩი. არაყი. ყაყაჩო. ყიყი-
ნი. ყივილი. მაყაში. ყინული.
ყვარი. ყინვა. ყვავი. ყვირილი.
ყვავილი.

პაპას დაეძინა. მამალი ყი-
ვის. ყაყაჩო ყვავის. იხვის ყი-
ყინი ისმის. ყოჩს რქები ასხია.
ყრუ არაყით დაითერა. დიდი
ყინვა დაღვა. მაყარმა ბევრი
იყვირა. ყვეარი ხარი ვიყიდე.
არაყი ბევრი გავყიდე.



ც ხ ე ნ ი.

ც ხ ე ნ ი.

ც ხ ე ნ ი.

ციხე. ცული. საცერი. ციკა-
ნი. ხუცესი. ნინუცა. სიცილი.
ციყვი. ლოცვანი. ცოცხალი.
ქეციანი.

ნინუცა იცინის. ხუცესი ლო-
ცულობს. სიმონა ციგას აცუ-
რებს. საცერი ცომზე დაეცა.
ციკანი ციხეში შევიდა. აი ქე-
ციანი ცხენი. აი მამაცი კაცი.
ხუცური ცუდათ ვიცი. ვასო
ძალიან ცელქია.



მ ტ ე ვ ა ნ ი.

მ ტ ე ვ ა ნ ი.

მ ტ ე ვ ა ნ ი.

ტასია. ხარატი. ტაძარი. ტი-
ტინი. ტაბიკი. ტასტი. ლიტინ-
ნი. ღიმიტრი. ბატკანი. მუტ-
რუკი. ტრაბახი.

კატა კნავის. ბატი სისინებს.
ტოროლა პატარა ფრინველია.
ესტატემ ტასტი გატეხა. კატამ
კნუტები შობა. კოტემ ტიკი
გაბერა. კატა თაგვების მტე-

რია. ცამეტი ტახი გავყიდე.
მეტივემ ტივი დაშალა.




მ ვ ე ვ ა რ ი.

მ ვ ე ვ ა რ ი.
მ ვ ე ვ ა რ ი.

წამალი. პაწაწა. ბაწარი. წაბ-
ლი. ყანწი. წყარო. წარბი. წი-
წაკა. წივილი. წიწმატი. წრუ-
წუნი. წამწამი.

პაწაწა წიწილა წივის. აი მწა-
რე წამალი. ქონი მიეცხო წი-
გნსა. წუხელი ადრე დაეწეჭი.
წირვაზედ ერთათ წაყიდეთ. წა-
ლოზედ წვიმა ჩამოდის. მამას
წიგნი მისწერე. წიწაკა ძალიან
მწარეა. წინდა ზეწარზედ დაეცა.



კ ა ჯ კ ა ჯ ი.

კ ა ჯ კ ა ჯ ი.
კ ა ჯ კ ა ჯ ი.

კაჭა. ვაჭარი. ნაჭერი. ჰერა-
მი. მაჭარი. ხუჭუჭი. ნაჭუჭი.
ჰრიკინი. ჰარხალი. ტიკქორა.
მქედელი. ჰანჭური.

ჰრელი გოჭი დაიჭირე. ვაჭა-
რი მაჭარსა ყიდულობს. ბა-
ტის კუჭი შეეჭამე. გოჭი ჰა-
ქასა სჭამს. ჰერამი ბევერი ვაჭა-
მე. ხუჭუჭი თმა მასხია. ტიკ-
ქორა ღვინით გაიჭიკნა. ჰარ-
ხალი წნილათ ჩავედეთ.



ფ ი ნ ჯ ა ნ ი.

ფ ი ნ ჯ ა ნ ი.
ფ ი ნ ჯ ა ნ ი.


ჯოჯო. მუნჯი. ჯვარი. ბურ-
ჯი. ჯაჭვი. ღონჯი. ჯაგანი.
ნაბიჯი. ფანჯარა. ჯეჯილი.
განჯინა. ჯონჯოლი.

ჯორმა ჯამი გატეხა. ბურჯი
გაჯით გაღესეს. ღორს ჯაგა-
რი დაეაგლიჯე. მუნჯი ბეჯი-
თი მუშაა. ჯორი ჯიუტი სა-
ქონელია. ჯოჯო მახინჯი რა-
მეა. ჯიხვი რქიანი ნადირია.
ჯორი ჯეჯილში შევიდა.



ვ ა ჟ ი ლ ო ც უ ლ ო ბ ს .

მჭავე. ჟღერა. ჟანგი. ჟღარუნი. ჟუჟუნნი. რაჭრაჭი. კირ-
კაჭი. დაბეჭვა. დაჭეჭვა. ჟივჭავი. მჭაუნა. გაჭღენთალი. ჟანგიანი.
აი ხის ნუჭრი. მჭაუნა მეტათ მჭავეა. ჟუჟუნა წვიმა მო-
დის. დაბეჭილი ვაშლი დალპა. ეჭვანის ჟღარუნი ისმის. ჩი-
ტებს ჟივჭივი გააქეთ. კირკაჭი მძიმე საკმელია. მეზობლებს
ვაჭი ეყოლა. ქერივი ჯაერისაგან გაგიჟდა.



ჩ ი ბ ი ბ ო ბ ზ ე დ ჰ კ ი დ ი ა . —

ზაფხულში ცხელი ჰაერია. შენი ჰაზრი უსაფუძვლოა.
თაგვი მახეში მოჰყოლია. ღმერთმან შეჰქმნა ცა და ქვეყანა.
ძროხა დაჰკლეს და აჰკათეს. შენი ჩოხა ხეზედ ჰკიდია. შავ
ხარს ჯოხი დაჰკარი. ტყუილათ ნუ მიჰქარ-მოქარამ. ჩვენ კა-
მეჩს ჰირი შეჰყრია. დედაშენი ვაშლსა ჰკრეფდა. კეკეს სურით
წყალი მოჰქონდა. რეჰანი სუნიანი მწვანილია. დედაშენის
ამბავი ჰკითხე თქვენებურ კაცსა.

ანბანი.

ი ა ხ მ ს მ თ ო კ ვ ზ უ უ ნ დ
რ ღ ძ ლ ქ გ ფ ჩ ბ პ ყ ც ტ წ ჭ ჯ ჭ ჰ ჰ.

ამ ასოების გარდა ძველ ქართულ წიგნებში და ზოგიერთა ახლებშიაც იხმარებიან შემდეგი მომეტებული ასოები:

- ც. გამოითქმის როგორც— ჰე.
- ღ. ჰი.
- ვ. ეი.
- კ. ხ.
- ჭ. ჰო.
- ძ. ფ.

სრული ანბანი.

ა ბ გ დ ე ვ ზ ც თ ი კ ლ მ ნ ძ ო პ
ჟ რ ს ტ უ ვ ფ ქ ღ ყ უ ჩ ც ძ წ ჯ ხ კ ჯ ჰ ჰ ჰ

ა ბ გ დ ე ე ვ ზ ც თ ი კ ლ მ ნ ძ ო პ ჟ
რ ს ტ უ ვ ფ ქ ღ ყ უ ჩ ც ძ წ ჯ ხ კ ჯ ჰ ჰ ჰ

ა ბ გ დ ე ვ ზ ც თ ი კ ლ მ ნ ძ ო პ ჟ რ ს ტ უ ვ
ფ ქ ღ ყ უ ჩ ც ძ წ ჯ ხ კ ჯ ჰ ჰ ჰ

-
- 1
 - 2
 - 3
 - 4
 - 5
 - 6
 - 7
 - 8
 - 9
 - 10
 - 11
 - 12
 - 13
 - 14
 - 15
 - 16
 - 17
 - 18
 - 19
 - 20



პირველი საკითხავი წიგნი უმოდებ ანბანისა.

ს ი მ ლ ე რ ა .

ია ენახოთ ეენახი, რამ შექამა ეენახი;
მიველ ენახე ეენახი, თხამ შექამა ეენახი.

ია ენახოთ თხა, რამ შექამა თხა;
მიველ ენახე თხა, მგელმა ჳამა თხა.
მგელმა თხა, თხამ ეენახი შექამა.

ია ენახოთ მგელი, რამ შექამა მგელი;
მიველ ენახე მგელი, თოფმა ჳამა მგელი.
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ეენახი შექამა.

ია ენახოთ თოფი, რამ შექამა თოფი;
მიველ ენახე თოფი, ჳანგმა ჳამა თოფი.
ჳანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ეენახი შექამა.

ია ენახოთ ჳანგი, რამ შექამა ჳანგი;
მიველ ენახე ჳანგი, მიწამ ჳამა ჳანგი.
მიწამ ჳანგი, ჳანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ეენახი შექამა.

ია ენახოთ მიწა, რამ შექამა მიწა;
მიველ ენახე მიწა, თაგვმა ჳამა მიწა.
თაგვმა მიწა, მიწამ ჳანგი,
ჳანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ეენახი შექამა.

ია ენახოთ თაგვი, რამ შექამა თაგვი;

მიველ ვნახე თავი, კატამ კამა თავი.
კატამ თავი, თავმა მიწა,
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეკამა.

ზარმაცი და ბეჯითი.

სანდრომ უთხრა თავის დასა: „ქეკე, ჯერ ვითამაშოთ, მერე ვიკითხოთო.“—ქეკემ უთხრა: „არა, ჯერ ვიკითხოთ, მერემ ვითამაშოთო.“

მოსიყვარულე ამხანაზი.

მინდორში წაველ, სწორებო, მზე წითლათ ამოდოდა,
მე იქ რა გამაძლებინებს, თქვენი ხმა არ მამდიოდა.

ურიგო ამხანაზი.

„ძოტე, მელანი მასესხეო.“—შენთვის როდი მიყიდნიაო.
„ძოტე, აჰა ვაშლიო.“—მოიტა, ჩქარა მამეო.

პატარა ქალის ნატვრა.

ნეტავი რათმე მაქცია; ბულბულად გადამაქცია.
ბულბულის ენა მასწავლა, ამ ბაღებს შემამაჩვია.

სწავლაზედ ზარმაცი, ჯამაზედ მამაცი.

„მანო, შეკოლაში წადიო.“—მუცელი მეგრემსო.
„მანო, მოდი მაწონი კამეო.“—სად არის ჩემი დიდი კოვზიო.

ჟაჟაჩო და ჟაჟვილი.

ჟაჟაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია,
ჟაჟვილისა კარგი სწავლითა სახლი გაუხარებია.—

ბავშვის სათვალეები.

„მამილო, მეც მიყიდე სათვალეებო.“—რათ გინდა,



შვილოვო? „შენსავით წიგნები უნდა ეიკითხოვო“. —
—პარგო, უთხრა მამამ, და უყიდა ანბანი.

ბ ე ჯ ი თ ო ბ ა .

მიმინოსა მწყერი უყვარს, შავარდენსა ნადირობა,
თუ დედა შვილსა უყვარდეს, არ მოსწყინდეს ბეჯითობა.

ო რ ი მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ი ქ მ ა .

„დედა, ხვალ ადრე გამალეიძეო“. — რათაო? — „მს პურის ყუა
უნდა გავათავოვო“. „დედა, გეთაყვა, მეც ადრე გამალეი-
ძეო“. — შენ რალათაო? — „საწერი გაუთავებელი დამრჩაო“.

ს წ ა ვ ლ ა .

ჰრმა სწავლაში მომშვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების,
სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.

მ ო წ ვ ე მ ა ს წ ა ვ ლ ა უ მ ე დ .

ბიკო, ეისი ხარ მალხაზი, დაურჩი დედაშენსაო;
საქმე. რომ არა გქონდეს რა, ჩამოირბენდე ჩვენსაო;
ზაგიშლი პატარა წიგნსა, მეც მოგიჯდები გვერთაო;
ზასწავლი წერა-კითხვასა, არაკებს გეტყვი კარგსაო,
ვიმღერ და შენცა გამღერებ, ლექსებს გასწავლი ბევრსაო.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

აითხვას რაში სწავლობთ? რაზედა სწერათ? რათი სწე-
რათ ხის დაფაზედა? ასპიდის დაფაზედა? შალალღზედა? ძა-
ლამს რაში აწობთ? მეღანი რაში გიდგიათ? დაფაზედ დაწე-
რილს რითი შლით? შველა ეს ნიეთები რისთვის არიან სა-
ჭირონი? სწავლისთვისა. მაშ რა საზოგადო სახელი უნდა
დავარქვათ? **ს ა ს წ ა ვ ლ ო ნ ი ვ თ ე ბ ი .**

ბურთი, ბზრიალა, კოჭი, ჩილიკა, დედოფალა რიდას-



თვის არიან საჭირონი? სათამაშოთა. მაშ რა საერთო სახე-
ლი უნდა დავარქვათ? **ს ა თ ა მ ა შ ო ლ ნ ი მ ტ ე ბ ი.**

რა ნაწილები აქვთ: წიგნსა, ასპიდის დაფასა, კარანდაშ-
სა, საწერელსა, ბურთსა?

რომელი სასწავლო და სათამაშო ნივთები არიან თე-
თრი ფერისანი? შავი ფერისანი? მრგვალნი? პტყელნი? კუთ-
ხიანები? გასატეხნი? გასახევი? დასალერელი?

რითი გვანან და რითი გაირჩევიან: ფრთის კალამი და
ჩკინის კალამი, საკლასო დაფა და ასპიდის დაფა, გრიფილი
და კარანდაში, ბურთი და ბზრიალა?—

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.


სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდება.
სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე.

გ ა მ ო ლ ც ა ნ ე ბ ი.

მეტრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესავს ეუბნება.
თავს მოგსჭრი, გულს ამოვიღებ, ვასმევ და ვალაპარაკებ.
შურტლები აქვს ჩირგვივითა, ნაკერია ქუდივითა, ლაპარაკობს
კაცივითა. მეთრი არის თოვლისავეთ, გამსერელია
ქონისავეთ, ფრხვიერია მიწასავეთ.

ს ა წ ე რ ი.

მქვენს რვეულებში შემდგომ სიტყვებს მიაწერეთ, რო-
მელი სასწავლო ნივთია და რომელი სათამაშო:
პარანდაში... ბზრიალა... წიგნი... საწერელი... კოჭი...
გრიფილი... საკლასო ფიცარი... ბურთი... კალამი... ას-
პიდის ფიცარი... დედოფალა... რვეული... სახაზავი...
ღრუბელი...



რწყილი და ჰიანჰველა.

რწყილი და ჰიანჰველა დაძმობილდნენ. წავიდნენ გზა-სა. მიაღდნენ ერთ რუსა. რწყილმა უთხრა ჰიანჰველასა: მე გადავტები და შენ რაღა გეშველებო? ბანა მე კი ვერ გად-მოვტებიო, უთხრა ჰიანჰველამა. რწყილმა ისკუპა, გადახტა; ჰიანჰველამ ისკუპა, წყალში ჩავარდა. შეეხვეწა რწყილსა: ძმობილო, მიშველე რამე, ნუ დამახრჩობო. რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და სთხოვა:

ღორო, მამე ჯაგარი, დავერებს თოქსა ბაწარსა,
ჩაუფუდებ ამოვიყვან ჩემ ჰიანჰველსა ძმობილსა.

ღორმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის რკო მოგიტანიო! რწყი-ლი ახტა, დახტა, მივიდა მუხასთან და სთხოვა:

მუხავ, მამე რკო, რკოს მიუტან ღორსა,
ღორი მამცემს ჯაგარსა, დავერებს თოქსა ბაწარსა,
ჩაუფუდებ, ამოვიყვან ჩემ ჰიანჰველსა ძმობილსა.

მუხამ უთხრა: შენ რომ ჩემთვის ყვავი მოგიშორებო! რწყი-ლი ახტა, დახტა, მივიდა ყვავთან და სთხოვა:

ჟევეო, ესხენ მუხასა, მუხა მამცემს რკოსა,
რკოს მიუტან ღორსა, ღორი მამცემს ჯაგარსა,
დავერებს თოქსა ბაწარსა,
ჩაუფუდებ, ამოვიყვან ჩემ ჰიანჰველსა ძმობილსა.

ჟევემა უთხრა: შენ რომ ჩემთვის წიწილა მოგიყვანიო! რწყი-ლი ახტა, დახტა, მივიდა კრუხთან და სთხოვა:


კრუხო, მამე წიწილა, წიწილს მივეგერი ყვავსა,
ჟევეი უშვებს მუხასა, მუხა მამცემს რკოსა,
რკოს მიუტან ღორსა, ღორი მამცემს ჯაგარსა,
დავერებს თოქსა ბაწარსა,

ჩაუფუდებ, ამოვიყვან ჩემ ჰიანჰველსა ძმობილსა

კრუხმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის ფეტვი მოგიტანიო! რწყი-ლი ახტა, დახტა, მივიდა ორმოსთან და სთხოვა:

ორმოვ, მამე ფეტვი, ფეტვს მიუტან კრუხსა,

R167.083
3



პრუხი მამცემს წიწილსა, წიწილს მიეგერი ყვავსა,
შვაი უშვებს მუხასა, მუხა მამცემს რკოსა,
რკოს მიუტან ღორსა, ღორი მამცემს ჯაგარსა,
ღავეგრებ თოკსა ბაწარსა,

ჩაეუგდებ, ამოვიყვან ჩემ ჭინჭველსა ძმობილსა.

მრმომ უთხრა: შენ რომ ჩემთვის თავი მოგიშორებიაო!
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა თავეთან და სთხოვა:

თაგო, ეხსენ ორმოსა, ორმო მამცემს ფეტვსა,
ფეტვს მიუტან კრუხსა, კრუხი მამცემს წიწილსა,
წიწილს მიეგერი ყვავსა, ყვავი უშვებს მუხასა,
მუხა მამცემს რკოსა, რკოს მიუტან ღორსა,
ღორი მამცემს ჯაგარსა, ღავეგრებ თოკსა ბაწარსა,
ჩაეუგდებ, ამოვიყვან ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

თაგმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის კატა მოგიშორებიაო!
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კატასთან და სთხოვა:

კატავ, ეხსენ თავესა, თავეი უშვებს ორმოსა,
მრმო მამცემს ფეტვსა, ფეტვს მიუტან კრუხსა,
პრუხი მამცემს წიწილსა, წიწილს მიეგერი ყვავსა,
შვაი უშვებს მუხასა, მუხა მამცემს რკოსა,
რკოს მიუტან ღორსა, ღორი მამცემს ჯაგარსა,
ღავეგრებ თოკსა ბაწარსა,

ჩაეუგდებ, ამოვიყვან ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

კატამ უთხრა: შენ რომ ჩემთვის რძე მოგიტანიო! **რწყილი**
ახტა, დახტა, მივიდა ძროხასთან და სთხოვა:

ძროხავ, მამე რძე, რძეს მიუტან კატასა,
კატა უშვებს თავესა, თავეი უშვებს ორმოსა,
მრმო მამცემს ფეტვსა, ფეტვს მიუტან კრუხსა,
პრუხი მამცემს წიწილსა, წიწილს მიეგერი ყვავსა,
შვაი უშვებს მუხასა, მუხა მამცემს რკოსა,
რკოს მიუტან ღორსა, ღორი მამცემს ჯაგარსა,
ღავეგრებ თოკსა ბაწარსა,

ჩაეუგდებ, ამოვიყვან ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.



ძროხამ უთხრა: შენ რომ ჩემთვის ბალახი მოგიტანიო!
რწყილი წავიდა და ძროხას. ბალახი მოუტანა. ძროხამ მისცა
რძე, რძე მიუტანა კატასა, კატა მოეშვა თავესა, თავეი და-
ეხსნა ორმოსა, ორმომ მისცა ფეტვი, ფეტვი მიუტანა კრუხ-
სა, კრუხმა მისცა წიწილა, წიწილა მიჰვეარა ყვავესა, ყვავეი
დაეხსნა მუხასა, მუხამ მისცა რკო, რკო მიუტანა ღორსა და
გამოართვა ჯაგარი. ჯაგრის თოკი დაგრიხა, ჩააგლო წყალ-
ში, კინკველა ზედ შეჯდა, რწყილმა ნაპირს გამოიყვანა და
მოარჩინა.

ანდაზა: ძმა ძმისთენა ამ დღისთენა.—

ამოგავალი მზა.

მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა;
სიცივეს კაცი მოუკლავს, საწყალი აგერ გორავსა.

კაჭკაჭი და ჟვავი.

კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო, ჩეარდი გულის ხმასაო,
პაცი რომ დაიკუზება, შენთვის აიღებს ქვასაო.

ჟო რ ა ნ ი.

შავს კლდესა შავი ყორანი ჩავა და ჩეკანება,
ჩავა და ლეშით გაძღება, ამოსელა დაეზარება.

მკვებარა ქოთანი.

ქოთნები ერთათ შეგროვილიყვენენ. შუაში ჩამდგარიყო
უფრო მაღალი ქოთანი და შეჰკვეხბოდა: მე თქვენისთანა
როდი ვარ, ოქროს ძირი მაქესო. უცებ თავზე წაადგა ცი-
ხეი. მკვებარა ქოთანს შერცხევა და გაკმინდა ხმა.—

მარდი და გულბული.

მარდმა გასძახა ბულბულსა ეგ ბალი დამიცალეო,
ბანა სხევა ბალი არ არის, რა ჩემზედ მოიცალეო.—

მინარე ნიბლია.

ნეტამც არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიაე, ნარზედა.
მამოგიქროლებს ალალი, წაგიყვანს ანარდაზედა.—


ჰოთანი და ჭვაბი.

ბებერი წყალზე იყო. ჰოთანი და ჭვაბი იქ დააეიწყდა.
ძლიან გაუხარდათ. ჭვაბმა უთხრა ჰოთანსა: შეეცურდეთ
წყალში და ვისეირნოთო. ჰოთანმა უთხრა კარგიო. შეეცურ-
დნენ, მაგრამ ჭვაბი მალე ეხალა ჰოთანსა და დაამჩხვრია.

ანდაზა: ჰოთანს ჭვაბის ამხანაგობა არ გამოადგება.

კურდღელი და ყანა.


კურდღელო, ნუ სძოვ ყანასა ნალარია და ბრალია,
თორემ მოგიტევ მწვერებსა, ჩემი აღარა ბრალია.



შახმოტეხილი კურდღელი.

კურდღელი ჩამოცანცალდა, ფეხ მოტეხილი საწყალი,
ზურგზედ ეკიდა საეძალი, თუნგ ნახევარი მაჭარი...

სასაუბრო.



მასწავლებელი რა ზედა
ზის კლასში? წინ რა უდგია?
პატარა ბავშვებს რაში აწ-
ვენენ? სომხ რაში ზელვენ?
სტოლსა, სკამსა, აკვანსა,
ვარცლსა რა საერთო სახე-
ლი ჰქვიათ? ხ ის ა ვ ე ჯ ი.
ძიღვე რა ხის ავეჯი იცით?
რაში იყენებენ კიღობანსა?

თაბახსა? ხონჩასა? ტახტსა? კრავატსა? —

რა ნაწილები აქვსთ: სტოლსა, სკამსა, ტახტსა, კრავატსა
და კიღობანსა?

რითი გვანან და რითი გაირჩევიან: სტოლი და სკამი,
ვარცლი და თაბახი, ტახტი და კრავატი?

რისთვის ხმარობენ: სურასა, ქვევრსა, საღვინესა, სტა-
ქანსა, ქოთანსა, ჯამსა, ქილასა, ქვაბსა, ტაფასა, სამოვარსა,
ბოთლსა, ტახტსა? რა საერთო სახელი ჰქვიათ ამ ნივთებსა?
ჭ უ რ ჭ ე ლ ი. რომელი ჭურჭელი კეთდება თიხისაგან? სპი-
ლენძისაგან? მინისაგან? რა ნაწილები აქვსთ: სურასა, ქვაბსა,
ბოთლსა, სამოვარსა? —

რითი გვანან და რითი გაირჩევიან: ქოთანი და ქვაბი,
საღვინე და ბოთლი, სტაქანი და ჯამი?

ანდაზები.

სურა ყოველთვის წყალს ვერა ზიდავს. ძოკა წყალზედ
გატყდება, ხარი ქირაზედ მოკვდება. ძოკასა შინა რაცა სდგას,
იგივე წარმოდინდება. ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს.
ქოთანი დაგორდა, სარქველი იპოვნა. შვევრში რასაც ჩასძა-
ხებ, იმას ამოიძახებს. ტასტი გატყდა, ხმა გავარდა. შვეყნის
ურგები შეჭამანდი ძაღლსაო და ქოთანი ქვასაო. ლიტრას
ეუბნებოდნენ და, კოკავ, შენ გესმოდესო.

გამოსანები.

აქეთ გორა, იქით გორა, შიგ შუაში მდევი გორავს.
მთხთა ძმათა ტანით ტოლთა, თავზედ ხურავთ ერთი ქუდი.
ძაი მჭრელი ვერ გამამჭრის, ვერც შემკერავს ხარაზიო, ბრო-
ლის ფერათ გამოფინდები, ხელს შეგჩრები ლამაზიო. ბარეთ
ოქრო, შიგნით ვერცხლი, ვერცხლში წყალი, წყალში ცეც-
ხლი.

ს ა წ მ რ ი:

თქვენ რვეულში მიაწერეთ შემდეგ სიტყვებსა, რომელი
სასწავლო ნიეთია, რომელი სათამაშო, რომელი ხის ავეჯი
და რომელი ჭურჭელი:

ძილა... ხონჩა... ბურთი... ტაფა... ჯამი... ტახტი...
სკამი... ბზრიალა... თაბახი... საღვინე... ღრაფინკა...
სტოლი... კოჭი... ქოთანა... კრავატი... მელი... კილო-
ბანი.. ვარცლი.—

ზ ვ რ ი ტ ი.

იყო და არა იყორა, იყო ერთი გვრიტი. ცხოვრებდა
ერთ ხეზედა. მრთხელ სხვაგან იყო. ბოროტმა კაცმა ბუღიდ-
გან ბარტყები გამოუხსნა და წაიყვანა შინა. მოვიდა გვრიტი,
ბარტყები აღარ დახედნენ; მწარეთ დაღონდა. წავიდა საძებ-
ნელათა. შემოეყარა წინ მამალი: „გვრიტო, გვრიტო, სად
მიფრინამო?“—შიღლების საპოვნელათაო. „მეც შენი მშვე-
ლელი ვიქნებო.“—ძარგი, კარგიო. დაედევნა უკან მამალი.

შემოეყარა ფილთაქვა: „გვრიტო, გვრიტო, სად მიფრი-
ნამო?“—შიღლების საპოვნელათაო. „მეც შენი მშველელი
ვიქნებო“. ძარგი, კარგიო. შილთაქვაც უკან დაედევნა.

შემოეყარა წინ ახლა მახათი: „გვრიტო, გვრიტო, სად
მიფრინამო?“—შიღლების საპოვნელათაო.—„მეც შენი მშვე-
ლელი ვიქნებო“.—ძარგი, კარგიო. დაედევნა უკან მახათიკა

ბოლოს შემოეყარა ვირი: „გერიტო, გერიტო, სად მიფრინამო?“—შვილების საპოენელათაო.—მეც შენი მშველელი ვიქნებიო.—ძარგი, კარგიო. დაედენა უკან ვირიცა.

მივიდნენ ღამე ერთ სოფელში. დაუგდეს ყური. მართი სახლიდგან მოესმათ პატარა გერიტების ჭყივილი. შირი კარებთან აიტუზა, მახათი კარებში შეძვრა, სხვანი ერლოდგან ჩავიდნენ სახლში. მამალი ბუხარზედ შეფრინდა, ფილთაქვა ნაღვერდალში ჩაიფლო, მახათი ბუხრის წინ დაერქო. ბერიტი გალიასთან მიფრინდა.

ამასობაში გამოელეიდა გლენსა. წამოდგა, ბუხართან მივარდა, ცეცხლი უნდა აენთო. ამ დროს ფილთაქვა გასქდა, ცხელი ნაცარი თვალეზში შეაყარა; მახათი ბარძაყში შეერქო, მამალმა ზევიდგან დაჰყვირა. ბლენი შეშინდა, გარეთ გამოვარდა. ძარებთან ვირმა ერთი წიხლი სდრუზა და სულ გადაკარგა. როგორც იყო გერიტმა გაუღო გალია თავის ბარტყებს, შეისხა მხრებზედ და გააქუნა ბულისაკენ.

ჰაზრიანი თათარი.

თათარს ძალიან შიოდა. დაიძინა. სიზმარში ქაში ნახა. ჰამა მოინდომა. მაგრამ უკოეზოთ ვერ მოახერხა. მეორე ღამეს ლოგინში კოეზი ჩაიტანა, მაგრამ ქაში აღარ მოელანდა.

ლემსი ჯავახეთზედ.

მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითა, ძალმანხი და ქერის პური წინ მიყარა ბზესავითა.

სტუმარი და მჟავე ღვინო.

სტუმარმა ღვინო დალია, მეტათ ემჟევა და დაიღრიჯა. მასპინძელმა ჰკითხა: რას დაიღრიჯეო. სტუმარმა უთხრა: ტკბილ ღვინოზედ ასე ვიციო.

მ ე ტ ხ ვ ა რ ე .

მეტხვარე მგლისა შიშითა ვერ გაიგძელებს ნადიმსა,
თუ გაიგძელებს, ინანებს, მგელს გაუკეთებს სადილსა.—

ახათ დასჯილი ძმა.

ძმა გაჯაერებული იყო დაზედ. სადილზედ ჩუმათ ლობიოს ჯამში ნაცარი ჩაუყარა. დამ თვალი შეასწრო, ჩუმათვე ჯამი შეუცვალა. როცა ძმამ ჭამა გაათავა, დამ უთხრა: ნაცრიანი შეჭამანდი გაამოსო.

ღ ვ ი ნ ო .

ღვინომ თქვა ჭაჭანაურმა, უცეცხლოთ წამოვდულდები,
ჭკვიან კაცთანა ბრძენი ვარ, რეგვენთან წამოვჩქარდები.

პური და იმერელი.

მრთს იმერელს ძალიან შიოდა. ძიდობანში პური ბეგერი ეძება; მაგრამ ვერა ფერი იპოვნა. შამოვიდა ხალხში და იძახოდა: არც ძეგს და არც მშვიანო.

პური, ღვინო და მჭადი.

პურმა სთქვა სახელ-ქებულმან: მე ვარ ყველაში ქებული, ძაცი უჩემოთ არ ვარგა, არც გლეხი, არც ღიღებული.—
ღვინომ სთქვა სახელ-ქებულმა: მეცა ვარ ყველგან ქებული, მცირედი კაცი არ დამღევს, თუ არა მირონ ღებული.—
მჭადმა სთქვა: მეც ვისხენები სუფრისა ბოლოს გდებული, მღიდარი კაცი არა მჭამს. თუ არ ყელგადაგდებული.—

ხოხობის მჭამელს.

ზიგომა სთქვა: „ხოხობისთანა გემრიელი საჭმელი არა იქნება რაო“.—ზიგამია შენაო? ჰკითხეს ტოლებმა. „არაო“. მამ რა იცი, რომ გემრიელიაო.—„ზიდა ჩემისაგან გამიგონია ბატონი ხოხობსა სჭამდა და ტუჩებს აცმაკუნებდაო.“

ს ა ს ა უ ბ რ ო.

შიშნოს რითი იკლავთ? ჩამომითვალეთ **ს ა ზ მ ე ლ მ-ბ ი!** რისგან და როგორ მზადდება: პური, მჭადი, ფლავი, ქაში, შილაფლავი, ლობიო, შექამადი, ბოზბაში, ჩიხითმა, ფაფა?—

წყურვილს რითი იკლავთ? ჩამომითვალეთ **ს ა ს მ ე ლ მ-ბ ი!** რომელი სასმელია ყველაზედ უფრო საჭირო? სადა გზოულობით წყალსა? რძეს რა იწველებს? ღვინოს როგორ აკეთებენ? ღვინო ადამიანმა ბევრი დალიოს, რა მოუფა? ღვინოზედ უფრო მომეტებულათ რა ათრობს კაცს? რისგან ხდიან არაყსა? როგორა ხდიან? შემძლებელი კაცები რასა სმენ დილით და საღამოთი? როგორ ამზადებენ ჩაისა და ყავასა?

როგორი ფერისაა რძე? ჩამომითვალეთ თეთრი ნივთები! როგორი ფერისაა ღვინო? ღამისახელეთ წითელი ნივთები! როგორი ფერისაა ჩაი? ჩამომითვალეთ ყვითელი ნივთები! როგორი ფერისაა ყავა? ღამსახელეთ შავი ნივთები!

რითი გვანან და რითი გაიჩევიან: რძე და წყალი, პური და მჭადი, ღვინო და არაყი, ჩაი და ყავა, ბოზბაში და ჩიხითმა?—

ა ნ დ ა ზ მ ბ ი.

მაძლარს მშიერიც მაძლარი ეგონა. წყალი რამდენიც უნდა ნაყო, ისევ წყალი იქნება. პურ-მარილის დასწავლა ქვემაც იცის. ღვინით გალახულს ჯოხით გალახული სჯობიან. პურმა სთქვა მე პირს არ მოესძებნი, თუ თვითონ არ მომნახამსო. წყალი რომ დაგუბდება, აყროლდება. თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რათ გეწვის. თავათ არ იყო ძმარიო, შიგ შეუტრის წყალიო. სხელი რძით გაფუფქული დოს უბერავდა.—

ზ ა მ ო ც ა ნ მ ბ ი.

ღვეკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი. სულდგმული არ

არის, მაგრამ ფშვინავს კი. ჯერ მკავე ვარ, მერმე ტკბილი, ბოლოს კი მალხინებელი. ხმელიდამ სველი გამოდის, ტკბილიდგან მეტათ მწარეა, ვინც რომ ამას გამოიცნობს, იგი არ არის მდარეა.—

ს ა წ ე რ ი.

შლავი ... ღვინო ... ბოზბაში ... სურა ... ჩიხითმა ...
ქოთანი ... არაყი ... კარანდაში ... ქაში ... სამოვარი ... ჩაი ...
გრიფილი ... თეფში ... პური ... წყალი ... ბოთლი ... მკა-
დი ... წიგნი ... ტასტი ...

ვანო და ფრინველები.

მით პატარა ქალაქში შკოლა იყო გამართული. ამ შკოლაში სწავლობდა პატარა სოფლელი ვანო. მანომ დილით ადრე მდინარეზედ მიიბრინა და პირის ბანა დაიწყო. მერე უცებ დედა მოაგონდა და მეტათ დალონდა. თვალცრემლიანმა დაიწყო თავის სოფლისკენ ცქერა. უცეფ დაინახა იქიდგან მომფრინავეი ჩიტები. მანომ ჩიტებს შესძახა:

ჩიტებო ჩიორაებო,
მალხაზნო, ნაცრის ფერებო!
სად ყოფილხართ, რა გინახავთ,
დედა ჩემი არ გინახავთ?

ჩიტებმა ჩამოსძახეს:

დედა შენი იდგა ბანზედ
აღრიანათ ამ დილაზედ.
ჭრელ პატარა წინდებს ქსოვდა,
თავის ვანოს უმზადებდა.

მერე მოფრინავენენ მერცხლები. მანომ იმათაც შესძახა:
ცქეიტო და მშვიდო მერცხლებო,
ტურფათ მოჭიკჭიკებო!

სად ყოფილხართ, რა გინახავთ,
ღედა ჩემი არ გინახავთ?—

მერცხლებმა ჩამოსძახეს:

ბუდე გექონდა თქვენსა სახლში,
ღარბაზის მაღალ გვირგვინში,
ღედაშენსა დავცქეროდით,
ზევიდგან დავსჭიკჭიკობდით,
როცა ლამაზ ახალოხსა
შეკრავდა ის ვანოსა.—

ბოლოს მოფრინავდა ბუღბუღი. მანომ ამასაც შესძახა:

ნაზო, პატარა ბუღბუღო,
საქებურო მგალობელო!
სად ყოფილხარ, რა გინახავს,
ღედა ჩემი არ გინახავს?

ბუღბუღმა ჩამოსძახა:

ღედა შენი გუშინ ბაღში
წითელსა ვაშლსა ჰკრეფავდა,
ალაგებდა კალათაში,
თავის ვანოს უმზადებდა.—

ღედის კაი ამბავმა ძალიან გაახარა ვანო. ადგა, საჩქა-
ქროთ შინისაკენ გაიქცა, წიგნები ხელში აიღო და მხია-
რულმა მიირბინა შკოლაში. მანო სინარულით ფეხზედ აღარ
იდგა და ღედისაგან მოელოდა ჭრელ წინდებსა, ლამაზ ახა-
ლოხსა და წითელ ვაშლებსა. თვითონაც ცდილობდა კარგათ
ესწავლა და თავისი საყვარელი ღედა გაეხარებინა.

ბეჯითი ბატონი.

ბამხადეთ, დამაწვინეთ, დამხურეთ, პირჯვარი გადამწე-
რეთ, გადამაბრუნეთ, დაძინებით კი მე დავიძინებ.

ი რ ე მ ი.

ირემო, მთასა მყვირალო, რათ ჩამოვარდი ბარათა?
—მეუღლე ჩემი მომიკლეს, დავეხეტები ცალათა.—

შაშანაკი და ჭული.

ჭული შემოეყარა ფაფანაკსა და დაცინვით უთხრა: ზამთარში შენ ძალიან თბილათ უნდა ინახავდე თავსაო. შაფანაკმა უპასუხა: შენც კი კაი დაღობა უნდა იცოდე თავისა ზაფხულშიაო.

ჭ უ რ დ ი.

ზღებს ფულები მოჰპარეს. ჭურდი ეძებეს, ვერ იპოვეს. შეიკრიბნენ ერთად გლეხები. მამასახლისმა უცებ დაიყვირა: დახე, დახე, ქურდზედ ქული იწვისო. მართმა გლეხმა ფიცხლავ სტაცა ხელი თავის ქულსა. მაშინ ყველამ შეიტყო, რომ ის იყო ქურდი.


ტ ო რ ო ლ ა.

ტოროლას მაინც არ მოეკლავ, რაც უნდა მქონდეს წამალი, საწყალი ღამის მეხრისა ის არის კარგი მამალი.

ნაკოვნე ვიგნი.

ორი კაცი მიდიოდა ქუჩაზედ. ვიგნი იპოვნეს და წაიხუბნენ. მესამემ ჰკითხა: თქვენში კითხვა ვინ იცისო?—პრავინაო, უთხრეს. „აბა თქვენისთანაზედ არის ნათქვამიო: ორი ქაჩალი სავარცხელზედ ერთმანერთს თავიბრს ამტვრევდნენო.“

მკილაში ლორი.



ლორი მივიდა ცხენთანა და უთხრა: რა დაკლავილი ფეხები გაქვსო, —რა მსხვილი ბალანი გასხიაო. ცხენმა აათვალღერ-ჩათვალღერა და უთხრა: ისიც საკმარისიაო, რომ შენ ლერწამსავით სწორე ფეხები გასხიაო და აბრეშუმით თმაო.

ვაჟკაცობა.

იყო ერთი კაცი. მიდიოდა გზასა. ღახვდა ყაჩალი და გა-



ცარცვა. მოვიდა შინ და ცოლს კვენით უთხრა: ყაჩაღმა გამცარცვა, მაგრამ მეც კი კაი ვაჯკაცობა ვქენიო.— „რა ვაჯკაცობაო?“ ჰკითხა ცოლმა.— პერანგის საკინძე სულ მთლათ დავაწყვიტეო.—

ბამოცანა: ერთი საბელი მაქვს ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე.

თაზუბი და გლუხი.

წისქვილს საფქვაფი წავიღე, ავკიღე სამსა კატასა, წინ თაგენი შემომეყარნენ, ჩამისხდნენ ალაგ-ალაგსა. პრთსა ვკარ, ფეხი მოვტეხე, მეორე აღგა ალასა, მესამე მემუქრებოდა—კიდევ დათესავ ყანასა, ისე მოგიჭამთ ერთიან, ცელს ვერ ავლებდე ჩალოსა.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

ტანზედ რა გაციიათ? თავზედ რა გხურაეთ? შეხებზედ რა გაციიათ? ძალებს ტანზედ რა აციიათ? თავზედ რა ხურაეთ? შეხებზედ რა აციიათ? შევლა ამ ნიეთებს რა საერთო სახელი ჰქვიან? **ს ა ტ მ მ ლ ი**. რომელი საცმელები არიან ტყავისა? შალისა? ბამბისა? აბრეშუმისა?—რა ნაწილები აქვს ახალოხსა? პერანგსა? ქუდსა? წალებსა? როგორა ჰკერავენ ტანისამოხსა?

ლამე ქვეშ რა გიგიათ? ზევიდგან რა გხურაეთ? თავით რა გიძევთ? ბალიშს რას უდებთ ქვეშ სიმალლისთვინა? ბალიშს შემძლებელი კაცები რას აცმევენ? ლეიბს ზევიდგან რას აფარებენ? შევლა ამ ნიეთებს რა ჰქვიანთ?—**ლ ო ბ ი ნ ი**.

ტახტზედ რას აგებენ? ხალიჩა რისაგან იქსოვება? შეჩა? შარდაგი? ხალიჩასა, ფარდაგსა, ქეჩასა რა საერთო სახელი ჰქვიანთ?—**ს ა შ მ ნ ი**.

რითი გვანან და რითი გაირჩევიან: ჩოხა და ახალოხი, ქალამნები და წალები, ქოშები და ჩუსტები, ბალიში და მუთაქა, ხალიჩა და ქეჩა?—

ანდაზები.

ნათხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგეხდება. ჭული დასდე და საქმე ისე გაასამართლე. ძაციც ის არის და ქულიც იმასა ხურავს. მართული ტიტველსა პერანგსა ხდიდა. სხვის მარ ფართო ლოგინს ნუ დაიგებ.

ზამოცანები.

ძაცხედ მაღალი, ღორხედ დაბალი. მრთნაირი ჯამია, კაცხედ პირქვე ამხია.— ღვაბამ დაღის, ავეშვებ დგას. ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთათ მიდიან, მიიმღერიან. ზამოცანას მოგახსენებ დიდი არაფერიაო, ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან აღისფერიაო. ჭეაბი ძროხისა, ხორცი კაცისა, ქაფი ცხვარისა.

საწერი.

ხალიჩა... საბანი... ძაბა... ღრუბელი... ახალოხი... ბალიში... თაბახი... ძათიბი... ბოზბაში... ჩოხა... შარდაგი... ძოკა... ძალამნები... ჩაი... ზეწარი... მეღი... ბალიშის პირი... წაღები... პერანგი... ჭევერი... ჭულაჯა...

ციხე-დარბაზი.

მეჭურჭლეს მიქონდა სოფელში ჭურჭელი. ზხაზედ დაძკარგა დიდი ქილა. ძილაში შეფრინდა ბუზი და მოიკალათა შიგ. მოფრინდა კოლო და შესძახა: „ციხე-დარბაზო, შენში ვინ ცხოვრობს?“—მე ბუზი ბზუილა. შენ ვილა ხარ?—მე კოლო ბზუკუნა.“—შემოდი ჩემთან. ძოლო შეფრინდა და დაბინავდა.

მოცუნცულდა თავგი: „ციხე-დარბაზო, შენში ვინ ცხოვრობს?“—ბუზი ბზუილა და კოლო ბზუკუნა. შენ ვილა ხარ?—მე თავგი წრუწუნა.“—შემოდი ჩვენთანა. შევიდა თავუნა და დაბინავდა.

მოიბრძინა კურდღელმა: „ციხე-დარბაზო, შენში ვინ ცხოვრობს?“—ბუზი ბზუილა, კოლო ბზუკუნა და თავი წრუწუნა. შენ ვილა ხარ?—„მე კურდღელი ფხიზელა“.—შემოდი ჩვენთანა. შეხტა კურდღელი და დაბინავდა.

მოიცუნტულა მელიამ: „ციხე-დარბაზო, შენში ვინ ცხოვრობს?“—ბუზი ბზუილა, კოლო ბზუკუნა, თავი წრუწუნა და კურდღელი ფხიზელა. შენ ვილა ხარ?—„მე ვარ მელია საწყალი, თქვენი ერთგული ძმობილი, მოველ თქვენ სანახავათ, ამბის გასაგებათ“. ზიცნობთ, გიცნობთ—გამოძახეს ყველამ—გასწი და იქვე წაეთრიე, საიდგანაც მოთრეულხარ. მელიას უნდოდა ძალათ შესულიყო, მაგრამ ბუზი და კოლო მისცივდნენ, მწარეთ უკბინეს, შეაშინეს და გააქცუნეს. ამის შემდეგ იწყეს ოთხივე ამხანაგებმა ძმური ცხოვრება თავის ციხე დარბაზში.

ქარი და საბძელი.

ქარმა უთხრა საბძელსა: გამიღე კარი, ბზე უნდა შემოვიტანოვო. საბძელმა უთხრა: თუ დამეხსნები, არც შენი შემოტანილი მინდა და არც გატანილიო.

ჩიტი და ფეტივი.

მომოში ფეტივი ჩაეყარე შესანახათაო,
მომოში წყალი ჩასულა დასალობათაო,
მომოდგანა ამოეყარე გასაშრობათაო;
ჩიტი ღობეზედ შემოჯდა ასაკენკათაო;
ჩიტსა ჯოხი წამოუსვი მოსაკლავათაო;
ჩიტი ბატონთან გაიქცა საჩივლეღათაო;
ჩიტმა კაცი მოიყვანა დასარბევათაო;
იმან სრულიად წამართვა რაც რამ მებადაო.

ხარი და გუთანო.

ხარმა უთხრა გუთანსა: მამბეზრდა შენი მაგდენი კვებაო. გუთანმა უთხრა: მეც მამბეზრდა შენი მაგდენი ჭმევაო.

უზრამახვილი გლეხი.

გლეხი მთელი დღე გარეთ იყო. სახლში ღამე მივიდა. ცოლმა ჰკითხა: „სად იყიალეო?“—ჭალაქის ამბებს ლაპარაკობდნენ და იქ გავერთეო. „აბა რა ამბებსა, სთქვიო“.— შორს ვიდექ, არაფერი მესმოდაო.

გ უ თ ა ნ ი.

შენი ჭირიმე გუთანო, გათლილო წმიდის ხისაო, შენ აქმევ პურსა ცოცხალსა, დამმარხველი ხარ მკვდრისაო.

ჩხუბი არაშვირზედ.

მონი ძმანი გაიყარნენ. მართი ქვევრი ღვინო უნდა გეყოთ. შევიდნენ მარანში. მე ბევრი მერგებაო, ერთმა სთქვა; არა, მე უფრო მეტი უნდა წავილოვო, მეორემ უთხრა. მოუვიდათ ჩხუბი, ერთმანეთს თავპირი დაამტკრიეს. მოხადეს ქვევრი და ცარიელი კი დახვდათ.

ბაგმოცანა: უხმო, უსულო, უენო ჩემს ნათქვამს იმეორებდა.

გ უ ლ ა დ ი.

ბაღჩაშია გაღვიხედე, მგელი სჭამდა სახედარსა, მოკსა აქეთ გამოვწიე, დახე გულის გაბედვასა.—

გაყიდული თოფი.

თოფმა სთქვა, ჩემსა პატრონსა ჩემს უკეთესი რა ჰქონდა? ჩემი ნახოცი ნადირი ყვავსა და ყორანს გაჰქონდა.

მედუქნის ხეხი.

მართი მედუქნე ნისიათ ვაჭრობდა. ბევრი იზარალა. უნდოდა ნისიაობა მოესპო, მაგრამ თავისი მუშტრის წყენაც ეძნელებოდა. ადგა და ღუქნის კარებზედ დააწერა: დღეს ნაღდათ, ხვალ ნისიათაო.

ხმალი.

პატრონ სთქვა: ხმალო, გაყიდი, ეაქარი ამიჩენია.
ხმალმა სთქვა: პატრონ, რათ მყიდი, რა წუნი შეგიმჩნევია,
მომიკლავს შენი მომკვლელი, სხვა რა დამიშავებია?

ორი სახნისი.

ერთ სამკვდლოდგან ორი ერთნაირი სახნისი გამოვი-
და. ერთი სულ ხენაში იყო, მეორე კუთხეში ეგდო. ძაი ხნის
შემდეგ ერთმანეთს შეხედნენ. ერთსა ლაპლაპი გაჰქონდა,
მეორე კი ჟანგით იყო შექმული. ჰანგიანმა ჰკითხა: აგრე რამ
გაგამშვენიერაო?— შრომამაო— მიუგო ლაპლაპამა.

ბერიკაპის ნაბზა.

ნეტავი ჩემი სასახლე მალლა მთაზედა ამეგო,
მამლელ და გამამლელისთვის ყოველ დღე კარი გამეღო;
სიტყვა არვისთვის მეწყინა, სულ ყველას გული მომეგო,
რაც მეზოვნა და მეპოვნა, სულ ლარიბებზედ გადმეგო.

სასაშბრო.

სახნისითა ხენენ, ნამგლით რაღას შერებიან? ცელითა?
ფოცხითა? კვერითა? ორთითითა? ფიწლითა? არნადითა? დანი-
თა? ცულითა? ხელეჩოთი? წალღითა? ხერხითა? საქრეფლითა?
ნემსითა? მაკრატლითა? სამართებლითა? თოფითა? ხმლითა?
ხანჯლითა? დამბაჩითა? შველა ამ ნიეთებს რა საერთო სა-
ხელი ჰქვიანთ? იარაღი. რა ნაწილები აქეთ: ნამგალსა, ფი-
წალსა, ცულსა, მაკრატელსა, თოფსა, დანასა, ხანჯალსა?

რითი გვანან და რითი გაირჩევიან: ორთითი და ფიწა-
ლი, სახნისი და საკვეთელი, ნამგალი და ცელი, ცული და
ხელეჩო, თოფი და დამბაჩა, ხანჯალი და ხმალი?

რაში დგებართ? რაში ლოცულობთ? რაში სწავლობთ?
საქონელი ზამთრობით რაში გიბიათ? შვევრები სად გიფლიათ?
პურს სადა ფქვავთ? სად აცხობთ? ბზეს რაში ინახავთ? შურ-

ძენს სადა სწურავთ? საეპქროს სადა ჰყიდიან?—სახლსა, საყ-
დარსა, შკოლასა, ბოსელსა, მარანსა, სათონესა, საწნახელსა,
დუქანსა რა საზოგადო სახელი ჰქვიანთ?—**შენობანი**. რა
ნაწილები აქეთ: სახლსა, საყდარსა, წისქვილსა და ბოსელსა?
რათი გვანან და რითი გაირჩევიან: სახლი და საყდარი, წის-
ქვილი და საწნახელი, მარანი და ბოსელი.

ანდაზები.

სული პატარა არის, მაგრამ დიდ ხეს ძირს აქცევს. შუ-
ბი პარკში არ დაიმალება. სიტყვას ბანზედ ნუ აგდებ. სანამ
თონე ცხელია, პური გამოაცხე, განელდება აღარ გამოაც-
ხობს. წისქვილის ქვები, რომ ერთმანეთს არ ეხმარებოდნენ,
ცალმა რამდენიც უნდა იბრუნოს, ვერას დაფქევს. ბუხარი
და ორი კაცი, თუ გაჭირდეს სამი კაცი, თუ მეოთხეც მიე-
მატოს, მასპინძლო, კარში გადი.

ბამოცანები.

მიდის, მოდის, იქვე კი დგას. რკინის ხარს ბამბის კული
აბია. პატარა ციციტიელსა მთიდგანა თივა ჩამოაქვს. მრმო-
ბნელი, შიგ მოზვერი, ძნელათ მოსაბრუნებელი. აქედგანა
გავიქცევი, მინდერის ბოლოს წავიქცევი. ცოცხალი სცემს
მკვდარს უწყალოთ, მკვდარი ღრიალებს საშინლათ. ჯერ დე-
და არ შობილიყო, შეილი ქალაქს მიდიოდა. ძმა ძმას ეხა-
ხუნება, თეთრი სისხლი გამოდის.

ს ა წ ე რ ი.

ნამგალი... საყდარი... ცელი... საწნახელი... სახნისი... აღ-
ვირი... ფიწალი... სადგისი... ქვეერი... სათონე... ორთითი...
გრიფილი... წისქვილი... წალდი... ქაფქირი... შილაფლაფი... თო-
ფი... საკვეთელი... ხმალი... სასახლე... ლაგამი... სამართებე-
ლი... ერბო... მაკრატელი...



ჩიტი და მელია.

იყო ერთი ჩიტი ჩიორა. იპოვა ერთ ხეში პატარა ფულურო, ჩააგო ჩალაბულა და გააკეთა ბუდე. შერმე შიგ ჩაჯდა და სამი კვერცხი დასდო. სამ კვირაზედ გამოჩიკა პატარა ჩიორაები. ღედა თავის შვილებს უზიდავდა კალიეებს, პე-



პელებს, ბუზებსა, აჭმევდა და ზდიდა. ღედა ჩიტი ღიდ სიხარულში იყო: მალე დავაფრენ ჩემ ბარტყებსაო. მაგრამ უბედურება ეწია. წყეულმა მელიამ ჩიტის ბუდეს მიაგნო, ხის ძირთან მიცუნცულდა და ჩიორას შესძახა:

ჩიტო, ჩიტო ჩიორაე!

— რაო, ბატონო მელიაე?

ერთი შვილი გაღმამიგდე,

თორემ შავ ღღეს დაგაყენებ:

სულს მოვიტან ცუნცულასა,

ხელეჩოს და წალღუნასა,

ხესაც მოვსჭრი, ხის ძირსაცა,

შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.



შეეშინდა საწყალ ჩიორასა: აიღო ერთი შვილი და გააუგდო მელიასა. მელიამ პირი წააელო, ბუჩქებში გაარბევინა და გადაყლაპა. მეორეთ მელიამ კიდევ მოიბრინა და შესძახა:

ჩიტო, ჩიტო ჩიორაე!
— რაო, ბატონო მელიაე?
ერთი შვილი გადმამიგდე,
თორემ შავ ღღეს დაგაყენებ:
სულს მოვიტან ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალღუნასა,
ხესაც მოესჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენ შეილსაცა.

ღაღანებულმა ჩიორამ მეორე შვილიც აიღო და მელიას გადმოუგდო. მელიამ პირი წააელო, ბუჩქებში გაარბევინა და გადაყლაპა. მესამეთაც მიცუნცულდა და ჩიტს შესძახა:

ჩიტო, ჩიტო ჩიორაე!
— რაო, ბატონო მელიაე?
ერთი შვილი გადმამიგდე,
თორემ შავ ღღეს დაგაყენებ:
სულს მოვიტან ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალღუნასა,
ხესაც მოესჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შეილსაცა.

მწარეთ ღაღანებულმა ჩიორამ მესამე შვილიც აიღო და მელიას გადმოუგდო. მელიამ გაარბევინა და ისიც სწრაფათ გადაყლაპა.

შბელური ჩიტი აფრინდა და მოშორდა იმ არე-მარეს. შემოჯდა ერთ ხეზედ დაძმარებული. მონადირემ დაინახა და ჰკითხა: რამ დაგაღონა ეგრე, ჩიორაო? არ გებრალეები, ერთ მაწუწკმა მელიამ შვილები სრულიად შემიჭამაო. — აბა წამო, მიჩვენე ის წყეული მელია და მე გაყურებინებ მის სე-

ირსაო. ჩიტი გაუძღვა მონადირეს და მელასთან მიიყვანა. მონადირემ დაუმიზნა თოფი და მელიას ფეხები აფშეკინა.

თ ხ ა.



ჩემსა ბებიას ლურჯი თხა ჰყავდა,
ქიკინა ბებერს მეტათ უყვარდა.
თხას სეირნობა ტყეში მოუნდა,
წვერის ცანცარით გზასა გაუღდა:
შბედურ მგზავრსა იქ ლურჯი მგლები
წინ შეეფეთნენ სულ მშვიერები;
მივარდნენ საწყალს, ყელი გამოსჭრეს,
ბებიას მარტო რქები დაუგდეს.

ცალ-უღელი ხარი.

ცხრა ძმას ცხრა უღელი ხარი ჰყვანდა. ბევრი ეგონათ. ზაიყარნენ და გაიყვეს. თვითეულს ერგო ცალუღელი ხარი. ღაღონდნენ: რა სულელობა მოგვივიდა, რომ გავიყარენითო. მერმე კი გული ამითი გაიკეთეს: სულ არაარაობას ცალუღელი ხარი სჯობიანო.

ლ რ ი.

მთაში ღორმა დაიკვეხა, ყველგან გავიკეთე ბინა,
მერცხარას თოვლი დამაკლებს, ვერცა შემოდგომის წვიმა,
მე რომ კბილებს გავილესამ, ვერ ვინ გადმიდგება წინა.

მ გ ე ლ ი დ ა თ ხ ა .

თხა მიუვალ კლდეზედ სძოვდა. მგელმა დაინახა, უნდოდა ასულიყო, მაგრამ ვერ შეიძლო. ადგა და ქვევიდგან შესძახა: რატომ ქვევით არ ჩამოხვალ, აქ უფრო სწორე ადგილია და ბალახიც უფრო კარგიაო. თხამ ჩასძახა: ვიცი რისაც ქვალი გადგია: ჩემ საკმელზედ კი არა, შენ მუცელზედ ზრუნაეო.

დაჭერილი კურდღელი.

კურდღელმა სთქვა: ჩირგში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზე-
დაო.

შევიხედე სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო,
ძორ-მეძებრები მოუღის დაგეშილი ჩემზედაო.
ღამისიეს, გამომიღგენ, გავეჭეცი განზედაო,
აღმართშია მე ვაჯობე, იმათ თავდაღმართზედაო,
მართმა წუწკმა მეძებარმა, კბილი გამკრა გვერდზედაო;
ბამწიეს და გამომწიეს, ჩამომკიდეს ცხენზედაო.
მზარეულებს მიმაბარეს კარგათ შესწვით ცეცხლზედაო,
ცალი გვერდი ცეცხლში იწვის, ცალი ერბოს აღზედაო,
შეურეთ ამ მსუნაგებსა, რა ყოფა აქეთ ჩემზედაო:
ამირიგეს, ჩამირიგეს წვრილ-წვრილ ლამბაქებზედაო,
ხორცი ხორცათ შემეჭამეს, ძელებს იმტერევენ ცერზე-
დაო.

თავისი თავის წყაველა.


ხარი ურმიდგან გამოშვებულიყო და გარბოდა. ძუღ მოგლე-
ჯილი გლეხი უკან მისდევდა და მისძახოდა: საღ მიხვალ, შე სა-
ტიელოვო? ცხენოსანმა მგზავრმა ჰკითხა გლეხსა: ვისია ის
ხარია? — ჩემი საკუთარიაო, უთხრა გლეხმა. ძაცო, მაშ
რათა სწყევლი შენ თავსაო? უთხრა მგზავრმა.

კურდღელი და მწვეპარი.



კურდღელმა ჰკითხა მწვეპარსა: რათ
იყეფები, როცა უკან მამდევო? ჩუმათ
რომ გედვენა, ხომ უფრო ადვილათ
ღამიჭერლიო. — მწვეპარმა უთხრა: ეგ
მეც კარგათ ვიცი, მაგრამ ვერ ვითმენო: როცა უკან დამარ-
ჩენ, მეტი სიბრაზე მაყეფებსო და, როცა წამოგეწევი, ღიღი
სიხარულიო.

ხ ა რ ი .



ოღრუბათობით აშენდა ციხე ქა-
ლაქი კლდებზედა,
ბარს გალავანი არტყია, ცა ახუ-
რია თავზედა,
ადამიანის შენახვა ვერაინ იღვა
თავზედა,
ხენა, ფარცხვა, ზიდვა საჩხოისი, გასჭირდა მეტათ ძალ-
ზედა.

ხარმა სთქვა პირმა ნათელმა: მე დავიწერავ თავზედა;
მოცივედნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორთავ თვალ-
ზედა


ჩამოქნეს წყვილი სანთელი მიაკრეს ორთავ რქაზედა:
წადი, ხარო, იმუშავე ერთგულათ მთა და ბარზედა:
ქქესი დღე უღელში ები, მეშვიდეს დაწე მხარზედა,
მინც კვირა უქმით შეგაბას, ხელი შეახშეს მკლავზედა.

კ ა ტ ა და კ ა ლ ლ ი .

კატამა სთქვა: ლმერთო, პატრონი დამიბრძავეო, ჯამს
მუდამ მე ამოუქამო. ძალღმა სთქვა: ლმერთო, პატრონი
გამიმრავლეო, ყველა თითო ლუკმას მამიგდებს და მე მე-
ტი არ მინდაო.

მ ე ლ ი ა და თ ხ ა .

თხას წყალი მოსწყურდა. ჭვევით ხევში წყარო დაინახა.
ვაი-ვაგლახით ჩაბობღდა და მუცელი წყლით გაიჭაკნა. შე-
მოუდგა აღმართსა, მაგრამ ამოსვლა ველარ შეიძლო, მეტათ
დამიძიმებულისო. მელიამ დაინახა და უთხრა: აი ტუტუცი! შენ
რომ იმოდენა ჭკუა გქონდეს თავში, რამ სიგძეც წვერი გას-
ხია, ჩასელის წინეთ მოიფიქრებდი, შეგეძლო უკან ამოსე-
ლა, თუ არაო?



ს ა ს ა უ ბ რ ო .

ბლავილი რამ იცის? ხარმა, ძროხამა, ცხვარმა. შროყინი რალამ იცის? ჭიხვინი? კიკინი? კნავილი? ჭყვიტინი? ეს ცხოველები სადა სცხოვრებენ? ამიტომ რა სახელი ჰქვიათ? **შინაური ცხოველები.** პიდეე რა შინაური ცხოველები იცით? შირი და აქლემი.— რომელი შინაური ცხოველის შეილსა ჰქვიათ ხბო? ზაქი? ლეკვი? გოჭი? კვიცი? ბატკანი ანუ კრავი? თიკანი? კოზაკი? მუტრუკი? რასა-ჰქვიათ ღეკეული? მოზვერი? ბურვაკი?

რა გამოსადეგია: ხარი, კამეჩი, ცხენი, ძროხა, თხა, ცხვარი, კატა, ძაღლი, ვირი, ღორი, აქლემი? რამდენი ფეხი აბიათ ყველა ამ ცხოველებსა? ამიტომ რა საერთო სახელი ჰქვიათ?—**ოთხფეხნი.**

რასა სკამს ხარი? კიდეე რომელი შინაური ცხოველები სკამენ ბალახსა? ძაღლი რასა სკამს? პიდეე რომელი შინაური ცხოველები სკამენ ხორცსა? რითი ზრდიან თავის შეილებს შინაური ცხოველები? რომელ ოთხფეხებსა აქეთ გაყოფილი ჩლიქები? რომლებს გაუყოფელი? რომლები იცოხნიან? რომლები არ იცოხნიან?

რა ნაწილები აქვს ძაღლსა? ცხვარსა? აქლემსა?—

რითი გვანან და რითი გაირჩევიან: კატა და ძაღლი, ძროხა და ცხვარი, ხარი და კამეჩი, თხა და ცხვარი, ვირი და ცხენი, ცხენი და აქლემი, ძაღლი და ღორი?—

ა ნ დ ა ზ ე ბ ი .

ქულა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერებდა. ქამეჩის მოქიდავე ხარს რქა არ შერჩება. მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვია. მრკემალი, რომ კლდეზედ უცებ გადავარდეს, მთელი ცხერის ფარა თან გადაჰყვება. თხისა წინიდან გეშინოდეს, ცხენისა უკანიდამა. მართი წლის ბერწობისათვის ფური არ დაიწუნება. ძროხამ იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა წიხლი და სულ დაღვარა. ასეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზედ მეტს იწველიდესო. ბედაური ცხენი მათრახს არ დაიკრავს. ძვიცი, რომ დედის წინ ხტომას დაიწყებს, მგელი შესჭამს. ძვიცი იყიდე და დედა უკითხე. ნაჩუქარს ცხენს კბილი არ გაეშინჯება.—

ძალლსაც თავის კარზედ დიდი გული აქვს. ძალლის ჯუდი შვიდ წელიწადს კალაპოტში იყო, გამოიღეს, ისევ გაბრუნდა. ავი ძალლი თივაზედ იწვა, არც თითონა სჭამდა, არც სხვას აქმევდა. მიმპარავი ძალლი უარესია მყეფარაზედ. ბრმა ლეკვიც კი დედისკენ მიიწევს. ძალლი სამკედლოდგან რას გაიტანს. მჩხავანა კატა თავეს ვერ დაიჭერს. კატას თევზი უყვარს და წყალში ფეხის დასველება კი ეზარება. კატამ შეჭამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო. ლორს უთხრეს: ქეროში ქერი გაყრიო.— ლორმა უთხრა: მე კი პირი არ მიმიწვდება და თუნდ იყვეს, თუნდ არაო. მართმა ტალახიანმა ლორმა ასი ლორი გასვარო.— ლორმა სთქვა: რაც გოჭები გავზარდე, წმინდა წყალი არ მისვამსო. მირს რქა არ გამოუვიდა, თავი პატარა ეგონა, ხბორებში გაერია. ინდოეთში ვირი ხეზედ გავიდაო; ამის მთქმელს უთხრეს: ეს ვირი და ეს ხე, აბა აქაც გავიდესო. აქლემს უთხრეს: კისერი მრუდე გაქვსო, და სხვა რაღა მაქვს სწორეო? აქლემის საპალნე ისე არ დაპატარავდება, რომ ვირის საპალნე აღარ გამოვიდეს. აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გასრისეს.—

ზ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

მთლა, ოთლო, ოთხო ბოძო, ზევით მთაო სათიბავო, ქვევით წყარო სადინარო. მთხნიძმანი, სერზედ მსხდომნი, ერთ ქვევრს აცარიელებენ. მრთი რამა სულიერი ლურჯი არის მგლისავეთა, გრძელი ყურები ასხია—მშიშარა კურღ-ღელსავეთა, ღონიერი ქუსლები აქვს ბედაური ცხენივეთა, ველარაფერს გააგონებ, თუ გაკერპდა ჯიქივეთა. ცოცხალია ბალახსა სძოვს, მოკვდება—ღენოხსა სვამს.—წაიქცა ჯირკვი, მიეხვია ჭინჭველა. ძენესის და არა სტკივარა. მძებს და არა დაჰკარგვიარა. მონხნი არიან, ძმანი არიან, ბაღჩას ჩადიან, ჩაიმღერიან.

ს ა წ ე რ ი.

სასწავლო ნივთები... სათამაშო ნივთები... ხის ავე-ჯი... ჭურჭელი... საჭმელები... სასმელები... საცმე-ლი... საფენი... ლოგინი... იარაღი... შენობანი... ში-ნაური ოთხფეხნი...

ბალახის მკამელი შინაური ოთხფეხნი: ხორცის მკამელი ოთხფეხნი: რძის მძღვეელი ოთხფეხნი: ხორცის მძღვეელი ოთხფეხნი: ტყავის მძღვეელი ოთხფეხნი: საპალნის მზიდა-ვი ოთხფეხნი: მცოხნავე ოთხფეხნი: არა-მცოხნავე ოთხ-ფეხნი: ჩლიქებ გაყოფილი ოთხფეხნი: ჩლიქებ გაუყოფელი ოთხფეხნი:—

თ ი კ ნ ე ბ ი და მ გ ე ლ ი.

იყო ერთი თხა. ზაიკეთა ტყეში ქოხი და გაიჩინა შვი-ლები. შოველ ღღეს თხა შორს ფიჭვნარში დაიარებოდა სა-ძოვნელათა. შვილებს კი ეტყოდა ხოლმე: „შვილებო, კარე-ბი მაგრა ჩაკეტეთ და სხვას ნურავის გაუღებთ, თორემ ხიფა-თი დაგემართებათ“. როცა უკან მობრუნდებოდა, რქებით კარებს დააკატუნებდა და შესძახებდა ხოლმე:

თიკნებო, ჩემო შეილებო, გამიღეთ ჩქარა კარები,
მე თქვენი დედა მოვდივარ, მომაქვს საესე ძუძუები,
მე ვიყავ შორსა ფიჭვნარში, ეძოვე ბალახი რძიანი,
თან ცივი წყაროს წყალი ესეი, სრულად გავივსე ჯიქანი.
რძე ძუძუებს გამოჟვანავს, ჩარბის უკანა ჩლიქებზედ,
ჩლიქებიდგან ქვემოთ მიდის, იღვრება დედა-მიწაზედ.

თიკნები თავის დედის ხმას იცნობდნენ ხოლმე და კარს
გაუღებდნენ. თხა თავის შეილებს რძით დააძლობდა ხოლმე
და ისევე გასწევდა საძოვარზედ. მართხელ მგელმა თხას ყუ-
რი დაუგდო და იმის სიტყვები დაისწავლა. როცა თხა ტყე-
ში წავიდა, ქოხის კარებთან მიძუნძულდა და თავის ბოხის
ხმით თიკნებს შესძახა:

თიკნებო, ჩემო შეილებო, გამიღეთ ჩქარა კარები,
მე თქვენი დედა მოვდივარ, მომაქვს საესე ძუძუები.
მე ვიყავ შორსა ფიჭვნარში, ეძოვე ბალახი რძიანი,
თან ცივი წყაროს წყალი ესეი, სრულად გავივსე ჯიქანი.
რძე ძუძუებს გამოჟვანავს, ჩარბის უკანა ჩლიქებზედ,
ჩლიქებიდგან ქვემოთ მიდის, იღვრება დედა-მიწაზედ.

თიკნებმა იუცხოვეს მგლის ხმა და გამოსძახეს: „ტყუილად
გასჯილხარ, ვერ მოგვატყუებ; შენი ბოხი ხმა როდი გავს
დედი ჩვენის წვრილ ხმასა; წაეთრიე, საიდგანაც მოთრეულ-
ხარ“. პირსარიელი მგელი ისევე მშვიერი გაბრუნდა უკანა.

მოვიდა თიკნების დედა და თავის შეილები აქო: ტყვი-
ანათ მოქცეულხართ, შეილებო, კარები, რომ გაგელოთ,
მგელი სულ დაგჭამდათო; კვლავაც აგრე გაიარეთ ჩემ
სიტყვაზედ და ხიფათს ყოველთვის ასცდებითო.

მდინარის ნაამბობი.


წყალსა მოჰქონდა ნაფოტი, ალვის ხის შემონათალი, —
ღადექ, წყალო, და მიაშბე, მოყერისა შემონათვალი!
— შენი მოყვარე ტანწვრილი შუა გზას ენახე დაჭრილი,
ღაფჯექ და ბევრი ვიტირე, ზედ მივაყარე ქვა წვრილი.

მგელი და მემცხვარეები.

მგელმა ცხვარი მოიტაცა და შექამა. მემცხვარეებმა ხე-ვის კუნჭულში მიიმწყყდიეს მგელი და კომბლებით ცემა დაუწყეს. მგელმა უთხრა: ტყუილათ მცემთ, ჩემი რა ბრალია, რომ ლურჯი ვარო, — ღმერთმა ასეთი გამაჩინაო. მემცხვარეებმა უთხრეს: სილურჯისათვის კი არა გცემთ, ცხვრის შეჭმისათვისა გცემთო.

საწყალი მელა.

საწყალი მელა ჩიოდა: არ მამივიდა ძილია, მრთსა საქათმეს მივაგენ, გამოუთხარე ძირია, იხესა, ბატსა და ქათამსა—ყველას გავეკარი კბილია. უკუ ვიხედე, მამდედა პატრონი მზირის შევილია, ბადმამკრა, გადმამიშვილა, ცამდის ავასხი ტვინია; მაგრამ ტვინს ვილა ჩიოდა, ცოლ შევილი დამრჩა ქერივია, სოლიც მალე გათხოვდება, ობლები დამრჩა წერილია, ობლებიც გაიზდებიან, თავი დავკარგე გმირია.



ლომი, დათვი და მელია.

ლომმა და დათვმა მკედარი კურდღელი იპოვნეს და დაიტაკნენ. მორივე მარტო თავისთვის ჩემულობდა. დიდხანს

იბრძოლეს, დაილაღნენ და დაქანცულები მიწაზედ დაეყარნენ. მელია თურმე შორი ახლოდგან უთვალთვალეზდა. იღროვია, მოიტაცა კურდღელი და მოკურცხლა. ღარჩნენ პირდაღებულები ლომი და ღათეი.

წადირობა.


ანდუყათარ სანადიროთ საქართველო შეჰყარაო,
მშველიც მოჰკლა, ჯეირანიცა, კურდღელმა კი დასცარაო.

— ჩამომეხსენ, მაჩაბელო, ნუ ხარ ცუდი მასხარაო,
არ მიხალო ცხენი ცხენსა, არ მამიკლა ჯათარაო,
ცხენი სამას თუმნათ მიღირს, ორას თუმნათ ავშარაო. —
ზაქანა მაჩაბელმა ცხენი ცხენსა უხალაო,
ანდუყათარ გადმოვარდა, თავი ქვასა ახალიაო.
ღედას კაცი მიუვიდა ანდუყათარ მომკედარაო;
— ანდუყათარს რა მოჰკლაედა, თუ ღვინით არ დამთვრაო? —

ლოყასა ხელი გაიკრა, ცხარე სისხლი დაღვარაო.
მამას კაცი მიუვიდა ანდუყათარ მომკედარაო;
— ანდუყათარს რა მოჰკლაედა, თუ ღვინით არ დამთვრაო,
მაინც ავი კაცი იყო, ჯანაბას თუ მამკედარაო.

მგელი და წერი.

მგელს ყელზედ ძვალი დაადგა და იხრჩობოდა. დაუძახა წეროს და უთხრა: შენ, ჩემო ნათლიაე, გრძელი ნისკარტი გაქვს, ჩამიყაე ყელში, ამოიღე ძვალი და დაგასაჩუქრებო. წერომ ჩაუყო ნისკარტი, ძვალი ამოაცალა და უთხრა: აბა დამსაჩუქრეო. მგელმა კბილები გააკრაქუნა და უთხრა: განა ის კი არ გეყო საჩუქრათ, რომ თავი არ მოგვლიჯე, როცა ჩემ კბილებ შუა იყოეო?



სასაუბრო.

მგელი სადა სცხოვრობს? პიღვე რა ცხოველები ცხოვრობენ ტყეში და მინდორში? მელა, დათვი, ირემი, კურდღელი, მშველი, ჯიხვი, ციყვი, კვერნა, თხუნელა, ზღარბი, თაგვი. ამ გარეულს ცხოველებს რა სახელი ჰქვიათ! ნადირნი.



რომელი ნადირის შვილსა ჰქვიათ ლეკვი? ბელი? ბა

ქია? ღლაპი? რომელმა ნადირმა იცის ღმუილი? წკაპწკაპი? ჩხაილი? ბურტყუნი? ბლავილი? ჭყვილი? ჭყვიანი? წრუწრუნი?

რომელი ნადირები არიან დიდები? შუატანისანი? პატარა ტანისანი? რქიანები? ხორცის მჭამელნი? ბალახის მჭამელნი? მცოხნაენი? მაცნატუნებლები? ჩლიქებ გაყოფილები? კლანჭიანები? ხეებზედ მარდათ ამსელელნი? რომლები არიან გამოსადეგნი გემრიელის ხორციით? ტყავით? რქებით? რომლები არიან მტაცებლები? ჭინახულის მაზარალებელნი? სასარგებლონი? რომლებს უყვართ სოროებში ცხოვრება?

რითი გვანან და რითი გაირჩევიან: მელა და კურდღელი, ძაღლი და მგელი, დათვი და კამეჩი, კამეჩი, ირემი და ხარი, კურდღელი და კატა?

ანდაჯები.

მელამ თავის კული მოწმათ მოიყვანა. მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდა. მელა მახეში გაება, თავი მოიმძინარა, სიზმარი იქმნებოდა. მგელი ცხვარში დაერია, ვაი ერთის პატრონსაო. მგელს მგლობა ერქვა, ტურამ კი ქვეყანა ამოაგდო. მგელს წანალები ეცოტავენბოდა, პატრონს კი ებევრებოდა. აღრე ამდგომსა კურდღელსა ვერ მოეწევა მწევაარი. კურდღელმა სთქვა: სანამ გამამახტუნებენ, მანამ უფრო მეშინიანო. თავგმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო. თავგი ორმოში შიმშილით არ მოკვდება. თავგებმა სთქვეს: კატას ეყვანი შევაბათ, რომ ველარ მოგვეპაროსო, არჩიეს, მაგრამ შემბმელი ვერაინ ამოარჩიეს, ყველას ეშინოდათ ირემმა ირემს ბალახი აუშვირა: არც მე მაკლია, არც შენო, მაგრამ ერთმანეთის გულის დადებოდა.

გამოცანები.

ერთი რამა სულიერი მიწა მიწა მძრომელია, კაი ვაჟკა-



ცისათვისა თავს წამამდგომელია, სამჯერ გითხარ მის სახელი, აბა მითხარ რომელია.

ს ა წ ე რ ი .

მელა... კამეჩი... ირემი... თხუნველა... ძაღლი... თავი... რძე... ცხვარი... დათვი... აქლემი... სკამი... კურდღელი... კატა... მქადი... კვერნა... ქობი... ზღარბი... ღორი... საქრეთელი... ვირი... ფარდაგი... ლეიბი... ჯიხვი... ტურა... ლეინო... თხა... ქათიბი...

უშვილო კაცი და თავი.

იყო ერთი უშვილო კაცი. წავიდა გზასა. ნახა ერთი ლამაზი თავი. ძაცმა ინატრა: ნეტამც ეს თავი ქალათ იქცეს, შინ წავიყვან და შევილათ გავზრდი. აუსრულდა ნატვრა, იქცა თავი ქალათა, წამოიყვანა შინა და შევილათ გაზარდა. როცა ქალი სრული წლოვანი შეიქნა, ძაცმა გათხოვება დაუპირა; ჰკითხა: ვის მიგკეო? ძალმა უთხრა: ისეთ ვისმე მიმეცი, იმაზედ ღონიერი არაეინ იყვესო. ძაცი წავიდა მზესთან და უთხრა: ყველას ათბობ და ანათებ, ყველაზედ ღონიერი ხარ, ჩემი ქალი უნდა შეგერთოვო. მზემ უთხრა: ჩემზედ ღონიერი ღრუბელია, გადამეფარება და სულ დამფარავს ხოლმეო. წავიდა კაცი ახლა ღრუბელთან: ყველაზედ ღონიერი ყოფილხარ, შენ უნდა ითხოვო ჩემი ქალიო. ღრუბელმა უთხრა: ჩემზედ ღონიერი ქარია, წამამიბერავს და სულ დამფანტავს ხოლმეო. წავიდა კაცი ქართან: ქარო, ყველაზედ ღონიერი ყოფილხარ, შენ უნდა ითხოვო ჩემი ქალიო. ძარმა უთხრა: ჩემზედ ღონიერი კლდეა, ხან აქედგან ვუბერავ, ხან იქიდგან, მაგრამ ვერას კი ვაკლებო. წავიდა კაცი კლდესთან: ყველაზედ ღონიერი ყოფილხარ, შენ უნდა შეირთო ჩემი ქალიო. ძლდემ უთხრა: ჩემზედ ღონიერი თავია, ძირს მითხრის და მანგრევესო. ღაბრუნდა კაცი შინ და

უთხრა თავის ქალსა: ყველაზედ ღონიერი თავი ყოფილა, იმას უნდა მიგცეო. ქარგიო, უთხრა სიხარულით ქალმა და მიეთხოვა თავგსა.

ანდაზა: ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა.

ბამოსანა: ერთი რამ კელეპტარია, დღისით ყველასთვის ანთია, ღამე კი გაქრობილია. ღა ძმასთანა სტუმრათ მიდის, ძმა კი ემალება დასა.

მონადირე და დათვი.

ერთ დღეს დათვს თოფი ვესროლე, დაიწყო დიდი ღრიალი, მომეარდა, ტოტი შემომკრა, ქოჩორზედ შეეკმენ ტრიალი; დამლეწა და მიმანტერია მარჯვენა ბეჭი ფთისაო, იმან მე ჩემი დამმართა, გული ვის დაეწვისაო. ქარგი არც მე დავაყარე. სიკედილს მივეცი ისაო; ჭაღებსა გახარებიათ, დათვი მოგვიკლა ტყისაო, აღარ შეგვიქვამს ყურძენსა, არც თაფლსა, აღარც თხილსაო.




ბებერი და ქათამი.

იყო ერთი ბებერი. ჰყვანდა ერთი ქათამი. შოველ დღეს თითო კვერცხს უღებდა, მაგრამ ბებერი ცოტაობდა. იმას უნდოდა ქათამს დღეში ორისამი კვერცხი დაედო. მგონა მომეტებული საჭმელი უფრო ბევრს დაადებინებსო. დაუწყო ბევრი საკენკის ძლევა, მაგრამ ქათამი მეტათ გასუქდა და ერთი კვერცხიც აღარ დაუდო.

ანდაზა: ბევრის მდომი ცოტასაც დაჰკარგავსო.

ბამოსანა: უსულო ვნახე ორსული, სულიერისა მშობელი, შეილსა შობს, დედა მოკედება, ვინ არის გამამცნობელი? ერთი პატარა საყდარია, რამდენიც უნდა უარო, კარებს ვერ უპოენი. ერთი პატარა საყდარია, ის რომ დაინგრეს, მთელი ქვეყანა ველარ ააშენებს.



მელია და მამალი.

მრშათ დილა გათენდა, რა ავი
ლარი დგებოა,
ის ჩვენი წუწკი მელია, საომრად
ემზადებოა;
წავიდა იქ მიტუნტულდა, სადაც მა-
მალი ჯდებოა.
— პატარა ხორცი მიბოძე, მელას
გზა გაველებოა.
— შენ ჩემ ხორცს როგორ შეირ-
გებ, ყელს ძვალი დაგადგებოა,
ჩემს პატრონს კარგი თოფი აქვს, მეხივით გავარდებოა.
— მეც კარგათ ვიცნობ შენს პატრონს, უყვარს მუცელზედ
გდებოა,
თოფი კახას უკიდია, ჩახმახი უქანგდებოა,
თუნდ მუგუზალი დააღოს, მაინც არ გავარდებოა.

კრუხი და ძაჭკაჭკი.

კრუხს წიწილები კალოზედ გამოესხა. ძაჭკაჭკი დაჯდა
შორი ახლოს და ბოლოს ქნევით დაუძახა: ნათლიაე, ძა-
ლიან მებრალეები, რომ მაგდენი შეილების გარდაში დიდი
ჯაფა მოგდისო; მე მამაბარე რამდენიმე შეილი, ჰაერში ფრინ-
ვას ვასწავლი, ჩემ შეილებს გავაცნობ და მალალ ბუდეში
დავზრდიო. კრუხმა უთხრა: მგლისათვის ბატკანი რომელ
ცხვარს მიუბარებია, რომ მე შენ შეილები მოგაბაროეო.

მრი ყვინჩილა.

მრი ყვინჩილა წაიკიდა. მართმა მეორეს აჯობა. დამარ-
ცხებული ყვინჩილა გაიქცა და საბძელ ქვეშ შეეფარა. მა-
მარჯვებული ყვინჩილა საბძელზედ შეფრინდა და თავმოწო-
ნებით დაიყოლა: „ყიყლიყო.“ უცებ გაჩნდა ქორი, ისარივით
დაეცა მყვირალას, ჩაუყარა მაგრა კლანჭები და წაიღო ეახ-
შმათა.

ანდაზა: მამრევის მამრევი არ დაიღევა.

მ კ ვ ე ხ ა რ ა .

აქეთ გორასა წიხლსა ვკრამ და იქით გორას ძრას ვუზამ, აღიდებულსა დიდ მტკვარსა დაეაყენებ და ყლაპს ვუზამ, მცრამეტ ფუთს რკინას დაეღეჭამ კევივითა და ყლაპს ვუზამ.

მურღი და მამალი.

მურღმა მამალი მოიპარა, კალთაში დამალა, მაგრამ ბოლო კი უჩანდა. პატრონს ეფიცებოდა, არა ვიცირაო. პატრონმა უპასუხა: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებსო.


ბ ა ტ ი .

ბატი წყალში დასურავდა და თავის თავს ელაპარაკებოდა: მე სწორეთ საკვირველი ფრინველი ვარო,— მიწაზედაც დავდივარ, ჰაერშიაც ვფრინავ და წყალშიაც დავსურავო. მაიგონა წერომ და უთხრა: შე საწყალო, არც სიარული გივარგა, არც ფრენა იცი ხეირიანი და არც სურავო. ისევ ისა სჯობდა ერთი რამე გცოდნოდა კარგათ, მინამ ბევრი რამე ცუდათაო.

ანდაზა: უქკუო ადამიანსა ცოტა გაუკვირდებო.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

პაკანი რამ იცის? ყივილი? ყაყანი? ყიყინი? კიკივი? ლულუნი? შათამსა, მამალსა, ბატსა, იხესა, ინდოურსა და მტრედსა რას ეძახიან?— შრინველებსა. რათ ეძახიან ფრინველებსა? სადა სცხოვრობენ ეს ფრინველები? ამიტომ რა ჰქვიანთ? შინაური შრინველები. რომელი ფრინველის ბარტყსა ჰქვიან წიწილა? ჭუჭული? ჭუჭია? ხუნდი? როგორ აჩენენ შვილებს ფრინველები?



რა ნაწილები აქვს ფრინველსა? ჩისათვის ზრდის კაცი



შინაურ ფრინველბსა? როგორ იყენებს მათს ხორცსა? ბუმ-ბულსა? ჯერცხებსა? — რომელმა შინაურმა ფრინველმა იცინა წყალში ცურვა? რათ ეადვილებათ ბატებს და იხეებს ცურვა? რომელმა შინაურმა ფრინველმა იცის მარდი ფრენა? რათ ეადვილება ჩქარა ფრენა მტრედსა? რათ ეძნელებათ ფრენა სხვა შინაურ ფრინველბსა? რითი გვანან ერთმანეთსა და რითი გაირჩევიან: ქათამი და ბატი, იხვი და მტრედი, ინდოური და ბატი.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

ქათამი რომ წყალს დაღვეს, ლმერთს შეხედავს. მს ქათამი ჩვენსა კაკანებს და სხვაგან კი კვერცხსა სდებს. ქათმისთვის უკითხავთ: საიქიოს რა ამბავი მიიტანეო? — რალა ამბავიო: ცხვარი დაკლეს, ზედ წამაკლეს, ძროხა დაკლეს, ზედ დამაკლეს, თხა დაკლეს, ზედ დამაკლეს, არა დაკლეს, მაინც წამაკლესო. მამალმა სთქვა: მე კი ვიყიველ და თუნდ გაათენდეს, თუნდ არაო. უღროვოთ რომ მამალი ყივილს დაიწყებს, თავს მოსჭრიან. მტრედს მისი სიმშვიდით ნისკარტი მოსჭრეს. შრინველსა ფრთები ამშვენებს, ადამიანსა გონება.

გ ა მ ო ო ო ა ნ ა.

ორჯელ შობილი ერთხელა კვდება. ერთ ტიკკორაში ორფერი ღვინოა, თეთრი და ყვითელი; რამდენიც უნდა აქყაუნო, ერთმანეთში ვერ აურევ. ამპარტავანი თათარი დაიარება, ყვირისა, ნამეტნავათ მედიღურობს, არ ეშინიან ჭირისა, შრისტე ლმერთსა მოგაგონებს, გამფთხოზი არის ძილისა.—

ს ა წ ე რ ი.

ხორცის მკამელნი ნადირნი... ბალახის მკამელნი ნადირნი... ქლანქიანი ნადირნი... მკანატუნებელი ნადირნი... სოროს

მთხრელნი ნადირნი... მტაცებელი ნადირნი... ბეწვიანი ნადირნი...

დასწერეთ, რითი გაირჩევიან ფრინველი და ოთხფეხი?

ძალლი და მამალი.

მართი ძალლი და ერთი მამალი დაძმობილდნენ, სოფელი ავაშენოთო. ძალლმა ჰკითხა: როგორ ავაშენოთო? მამალმა უთხრა: შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებაო. წავიდნენ ტყეში. ძალლმა იყეფა, იყეფა და დაეძინა. მამალი ხეზედ შეჯდა, ყივილი დაიწყო. მელას ხმა ესმა, მოვიდა და მამალს ჰკითხა: მანდ რას აკეთებო? მამალმა ჩამოსძახა: სოფელს ვაშენებთო. მელამ უთხრა: ჩამოდი, სახლის ადგილი მამიზომეო. მამალმა უთხრა: მამასახლისი მანდა წევსო, გააღვიძე, ეგ მოგიზომავსო. მელა მამლის ნდომით შესცდა, ველარა გაიგორა, ძალლთან მივიდა. წამოდგა ძალლი, მელას კუდი მოსწყვიტა. ღაკოდელი მელი გაიქცა, სისხლიანი გორაზედ გადმოდგა და დაუძახა: მე ხომ ჩემი ჰკუთისა დამემართაო და თუ თქვენ მაგ საქმით სოფელს ააშენებთ, თქვენც შეიტყობთო.

მწყერი და მწყემსი.

ძანაზედა მივდიოდი, ამიფრინდა თვალ წინ მწყერი, ქომბალი უტებ ვესროლე, მტკნარათ წაეწყვიტე კისერი; წინ დავიხედე, წიოდნენ ბუდეში მისი ბარტყები,—
თითქო მწყევლიდნენ, მქოლვიდნენ, რათ დაგვარჩინე ობლები?

ძორი და იხვი.

მართმა ქორმა ერთი იხვი დაიჭირა; ჭამას უპირებდა. ამ დროს ზევიდგან მონადირისაგან შეშინებულმა კაკაბმა ჩამოუყარა. ძორი წაეტანა. ამასაც დავიჭერო, იხვმა იდროვა

ქორს კლანჭებიდგან გაუსხლტა და უშველა თავსა. მერც
კაკაბი დაიჭირა ქორმა და იხვიც დაჰკარგა.—

ანდაზა: ორი კურდღლის მღევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს.

შვავი და კაჭკაჭი.

ერთ ხეზედ ყვავი და კაჭკაჭი ისხდნენ. ჰრელი კაჭკაჭი
ხის ტოტებზედ მოუსვენრათ დახტოდა და გაუწყვეტლივ
ჩხაოდა-ყბედობდა. შვავი კი გაჩუმებული იჯდა. კაჭკაჭმა
ჰკითხა: რას გაჩუმებულხარ, ნათლიავ, იქნება არა გჯერა,
რასაც მე გიამბობო?—შენი არაფერი მჯერაო, უთხრა ყვა-
ვა: ვინც შენსავით ბევრსა ყბედობს, ის ბევრსაცა სტყუისო.
ანდაზა: შბელი ვინ მოღალა და მუნჯმაო.

ძმარა, მამალი და მტრედები.

ზღებს წისკვილში ტომრებით პური მიჰქონდა. ერთი
ტომარა დახეული იყო. მარცვლები გამოცვივდა და გზაზედ
დაიბნა. მტრედები დასხდნენ და კენკა დაუწყეს. მოვარდა
მამალი და გარეკა. მტრედებმა გასწიეს და ძერასთან უჩი-
ვლეს. ძერამ თავისებური სამართალი იხმარა: ჯერ მამალი
გაგლიჯა, მერე მტრედები წაახრჩო.

ანდაზა: მაის გავეყარე, უის შევეყარე.

მიმინო და მტრედი.

მიმინო გაცოფებული მისდევდა მტრედსა. თავებრუ დახ-
ვეულმა ველარა გაიგორა და მახეს წააწყდა. დაიჭირა მონა-
დირემ მიმინო და მოკვლას უპირებდა. შე უწყალოვ, რა და-
მიშავებია შენთვის, რომ მკლამო?—უთხრა მონადირეს მი-
მინომ.—იმ საწყალომა მტრედმა რაღა დაგიშავა, რომ მოსაკ-
ლავათ მისდევდიო?—უთხრა მონადირემ და მოუგრიხა კისერი.

საბრალო დედაბერი.

საბრალო დედაბრისასა თავენი ყანასა მკიანო,

ლომნი უგრეხენ ულოსა და ვეფხენი შეუკერიანო;
ღენი ურემსა აზიან, ირმები ძნასა ჰყრიანო,
მშველნი კვერებში შებმულან, კალოს გარს დარბენიანო.
ზედ ანგელოზნი უსხედან, წვრილს ხმაზედ დასძახიანო,
ჰინკები მარდათ უქცევენ, ყანასა გაჰფიცხიანო,
თახნი მისწევენ კალოსა, მეღები კუღით გვიანო;
წერონი ანიავებენ და ბატნი დაჰკმაზიანო.
ღათეებს ჰკილიათ ტომრები, ორმოში პურსა ჰყრიანო,
მგლები წისკვილში გაგზავნეს, პურს მალე დაუფქვიანო.
შაშვი ფქვილს მტკიცამს, გნოლი ზელს, კაჰკაჰნი ამო-
ჰქნიანო,

ტრედნი ჩააკრენ ლაფაშსა და გერიტნი ამოჰყრიანო.
მარიები ამზადებენ, იხენი სუფრასა შლიანო.
ზეცას ტოროლა გაგზავნეს, ფრინველნი მოჰკრიფიანო;
შენს მადლსა ჩიკენი ნუ გინდა, სუფრასა აგვიშლიანო;
სილამაზითა ხოხობი, შუაში ჩაისვიანო,
ბულბული გალობისათვის სულ თავსა დაისვიანო,
საწყალი ბერი ქედანი ბოლოში მოიგდიანო,
მართათ სმენ, სტამენ, ლხინობენ, ჰარალეს დასძახიანო.

გერიტი და მტრედი.

გერიტი მახეში გაება. იწყო საცოდავით ფთხრიალი;
ცდილობდა როგორმე თავი დაეხწია. მის ახლო იჯდა ახალ-
გაზდა მტრედი. შევლის მაგივრათ დაუწყო გულმოსაკლავი
დაცინვა: არა გრცხვენინან, შუადღისას მახეში გაებიო; მე აგ-
რე აღვილათ ვერ მამატყუებდნენო. მართიც ვნახოთ, თეი-
თონ ამ მტრედმაც საცოდავი ფთხრიალი იწყო. თურმე
დაწრულ ძუში გაბმულიყო.

ანდაზა: ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.

მწყერი და ღამურა.


ზალიაში დამწყედელი მწყერი მარტო ღამლამით ჰუკ-

ჭუკობდა. ღამურამა ჰკითხა: რატომ დღისით არ ჭუკჭუკებო?
— ძიღეც დღისით ჭუკჭუკმა ჩამაგდო ამ ვაგლახშიო, უპასუხა
მწყერმა.— მე კკუა წინეთ უნდა გეხმარნა, თორემ ახლა რა-
ღას გიშველისო, უთხრა ღამურამა.—

ანდაზა: შრემი რომ გადაბრუნდება, გზა მასუკან გამოჩნდება.

ფასი სიღიღუხედ როლი ჰქილია.


სოფლელმა მებატონემ ქალაქში ბუღბუღი ხუთ თუმ-
ნათ იყიდა. შიღვაზედ დაესწრო იმისივე სოფლის გლეხი.
ზღეხი რომ შინ დაბრუნდა, დაიჭირა დედა ბატი და წაიყ-
ვანა მებატონესთან: ბატს არ იყიდი, ბატონოვო?— როგო-
რაო? ჰკითხა: ათ თუმნათაო. — ძაცო, რას გაგიყებულ-
ხარო. — თუ ერთი წიწკნა ჩიტში ხუთი თუმანი მიეცი, ეს
ამოდენა ბატი ათ თუმნათაც იაფიაო.—



არწივი და ხვავი.

მშიერს არწივს დიდი ლოკოკინა ევაონა; ცდილობდა
გატეხნა და შიგ მჯდომი მატლი შეეჭამა, მაგრამ გატეხა
ვერ მოეხერხებინა. შევემა დაინახა და ეშმაკობით უთხრა:
მე შენი ვიყვე სულ მალლა ცაში ავიტანდი, იქიდან ძირს

ჩამოვადგებდი და ისე გაიტყებდიო. შაბრიყვდა არწივი და დაუჯერა ყვესა. მაგრამ რამწამ ლოკოკინა ძირს დაეცა და დაიმჩხერა, მაშინვე ძირს მჯდომი ყვავი მივარდა, გადაყლაპა გემრიელი მატლი და მოცხრილა. ღარჩა სახტად მოტყუებული არწივი.



ს ა ს ა უ ბ რ ო .

რომელმა ფრინველმა იცის ჭყივილი? ჭიკჭიკი? ჭუკჭუკი? ჩხავილი? რომელი იძახის ყვავა? კუკუ? გუგუ? ეს ფრინველები სად სცხოვრობენ? ამიტომ რა საერთო სახელი ჰქვიათ? **გ ა რ მ უ ლ ი ფ რ ი ნ ვ ლ ე ბ ი**. ჭიდეე რა გარეული ფრინველები იცით? — ფრინველებში რომლები არიან დიდი ტანისანი? შუატანისანი? პატარა ტანისანი? რომლებს უყვართ სოფლის ახლო ცხოვრება? რათ ეტანებიან სოფელს ჩიტები, მერცხლები და კაჭკაჭები? რომლები არ ეკარებიან სოფელსა? რომლები იტაცებენ და სჭამენ სხვა პატარა ფრინველებსა და პატარა ნადირებსა? რომელი ფრინველები სჭამენ მარტო სხვა და სხვა თესლეუ-

ლობას და ჭიაღუასა? რომლებმა იციან ცუდი ფრენა? მარლი ფრენა? რომელი ფრინველები დაფრინავენ გუნდ-გუნდათ? ცალცალკე? რომელი ფრინველები აკეთებენ ბუდეს ბალახებში? ჩირგვებში? ხეებზედა? რომელი ფრინველები მიდიან საზამთროთ სხვა ქვეყნებში? რომლები არიან ბინადრები და მუდამ ჩვენში ცხოვრობენ? რომელი ფრინველია გალობაში გათქმული? ღამისახელეთ მგალობელი ფრინველები! რითი გვანან და რითი გაირჩევიან: ჩიტო და მწყერი, მერცხალი და ტაროლა, ყვავი და კაჭკაჭი, გუგული და ოფოფი, ყორანი და არწივი? —

ა ნ დ ა ზ მ ბ ი .

ჩიტო ბლღნათ არა ღირდა, უკან დევნა მეტი იყო. ჩიტო სადაც გაიზდება, მისი ბაღდადი ის არის. მართი მერცხლის ჭიკჭიკი ზაფხულს ვერ მოიყვანს. შვავმა ყვავს უთხრა: აი შე სკინტლიანოვო. შვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგია. შვავსაც თავისი ბახალა მოსწონს. შველა ფრინველი ხეზედ ზის, მწყერი მიწაზედ გოგდება. შაშვმა იჩიელა: თხუთმეტნაირი სიმღერა ვიცოდით, მაგრამ ისეთმა ალაღმა დამიქროლა, რომ სულ ერთიანათ დამავიწყდაო. მინ ალაღ-ალაღს იძახდა და ვინა მწყერსა იჭერდა. არ გათეთრდება ყორანი, რა გინდ რომ ხეხო ქვიშითა. შორს ყვავით ვერ შეაშინებ. შორო, ბეერისა მდევნელო, ბეერჯელ დარჩები მშიერი. შვავს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცეს. სადაც შავარდენი ბუდობს, მტრედი ვერ გაიხარებსო.

გ ა მ ო ც ა ნ მ ბ ი .


მალლიდგანა წამოვიდა კაბა კუბა კაბა ჭრელი, სულ იმასა დაედევნა ქვეითი და ცხენოსანი. საკვირველი მდგმურია: ჩვენთან ცხოვრობს ზაფხულში, არც არავის რას კითხავს, არც ქირას გვაძლევს სახლში. მართი რამა სულიერი კუდიანი და ჭრელია, ქათმის პატარა შვილთათვის სინსილა გამწყვეტე-

ლია. მართი რამ უცხო ფრინველი მთას მიაღგება გმირულათ, თავს ხურავს წითელი ქუდი, ტანთა აცვია ბებრულათ, მას თავის პირი ცულათ აქვს, ახალი გამოპირულათ, ხმელს დაჰკრავს, ნედლი გამოაქვს მას თავის სარჩო გმირულათ.

ს ა წ მ რ ი.

მარეული დიდი ტანის ფრინველები: შუატანის ფრინველები: პატარა ფრინველები: მტაცებელი ფრინველები: მგალობელი ფრინველები: მარდათ მფრინავი ფრინველები: ბალახში ბუდის მკეთებელი ფრინველები: ბუჩქებში ბუდის მკეთებელი ფრინველები: ხეებზედ ბუდის მკეთებელი ფრინველები: ზამთარში წამსვლელი ფრინველები: ბინადარი ფრინველები: მაზარალებელი ფრინველები: სასარგებლო ფრინველები:

რითი გაიჩევიან კაქკაქი და ბატი?



მამალი და კატა.

მართი მამალი და ერთი კატა დამოზილდნენ. იწყეს ერთათ ცხოვრება. კატა სანადიროთ ტყეში დადიოდა, მამალი კი შინა რჩებოდა. როცა კატა წასვლას დააპირებდა, მამალს ეუბნებოდა: „შინ იჯექი, თავი კარში არ გამოყო, თორემ მე-

ლია მოგეპარება და შეგკამს*. მართელ კატა ტყეში წავიდა. ზაჩნდა მელია, ფანჯარასთან მიცუნცულდა და ტკბილათ შესძახა:

ჰიყლიყო მამალო, ოქროს ბიბილოვანო,
მშვენიერ ქოჩრიანო, ლამაზ ლაბაბიანო!

შანჯრიდგან გადმომხედე, საკენკი დაგიყარო.

მამალმა სთქვა: მოდი ერთი გადავიხედავ, ასე ტკბილათ ვინ ლაპარაკობსო. თივი გამოყო, მელიამ პირი სტაცა და გაარბევინა. მამალმა საცოდავთ მორთო ყვირილი:

წყეულსა მელას მივეყვარ დაბურულისა ტყისკენა,

მიმარბევინებს საჩქაროთ შორეულისა მთისკენა,

პატაე, ერთგულო ძმობილო, გამოექანე ჩემსკენა.

პატამ მოჰკრა ყური მამლის ყვირილსა, გამოეკიდა მელას, დაეწია, გაგდებინა მამალი და მოიყვანა შინა. — „ზესმის, ჩემო ძმობილო! — უთხრა კატამ — ხვალ მე უფრო შორს წავალ, მელიას ნულარ დაუჯერებ, თორემ შევდღეს დაგაყენებს.* წავიდა კატა სანადიროთ. მელია ისევ ფანჯარასთან მიცუნცულდა და ტკბილის ხმით დაიწყო:

ჰიყლიყო მამალო, ოქროს ბიბილოვანო,

მშვენიერ ქოჩრიანო, ლამაზ ლაბაბიანო!

შანჯრიდგან გადმომხედე, მარცვლები დაგიყარო.

მამალს სინსილი მისდიოდა მარცვლების დასანახავად, მაგრამ თავი შევიმაგრა. მელიამ უფრო საცდენი სიტყვები მოიგონა და დაიწყო:

ჰიყლიყო მამალო, ოქროს ბიბილოვანო,

მშვენიერ ქოჩრიანო, ლამაზ ლაბაბიანო!

შრმები მიგორავენ, გასდით ფეტვი ყვითელი,

ზადმოფრინდი, აკენკე საქმელი გემრიელი.

მამალმა ველარ მოითმინა, უნდოდა თვალით მაინც დაენახა თავისი საყვარელი ფეტვი და გამოჰყო თავი. მელიამ სტაცა პირი და გაარბევინა. მამალმა კიდევ საშინელი ყვირილი გააბა:

წყეულსა მელას მიყევარ დაბურულისა ტყისკენა,
შიმარბეიენებს საჩქაროთ შორეულისა მთისკენა.

ძატავ, ერთგულო ძმობილო, გამოექანე ჩემსკენა.

ძატა შორს იყო, მამლის ხმას ძლიეს მოჰკრა ცოტათი
ყური, გამოუდგა მელასა, როგორც იყო მეწეია, გააგდებინა
მამალი და მოიყვანა შინა. — „მამალო, უთხრა კატამ, ხვალ მე
უფრო შორს უნდა წავიდე, გაუთხილდი არ გაცდინოს მე-
ლამ და თავი არ გამოჰყო, თორემ რამდენიც უნდა იყვი-
რო, მე ველარ გამაგონებ და დაილუბები.“ ძატა მეორე ღი-
ლით ისევ სანადიროთ წავიდა. მელამ იდროვა და ისევ ფან-
ჯარასთან ტკბილათ შემოსძახა:

შიყლიყო მამალო, ოქროს ბიბილოვანო,

მშვენიერ ქოჩრიანო, ლამაზ ლაბაბიანო!


აგერ მთიდგან დაეშვა დიდი გროვა ქათმისა,

წინამძღოლი არა ჰყავთ ეშინიანთ ქორისა.

მამალს ტანში ქრიალმა დაუარა; ძალიან უნდოდა ცა-
ლი თვალით მაინც დაენახა ქათმის გროვა, მაგრამ კატის
სიტყვები მოაგონდა და თავი შეიმაგრა: „არა, ეხლა არ გავ-
ყოფ თავსა — სთქვა მამალმა — როცა მელა წავა, მაშინ ვადვი-
ხედავ“. მელია მაინც კიდევ ცდილობდა მამალი შეეცდინა,
მაგრამ მამალმა გასძახა: „ტყუილათ ნუ ატუზულობხარ, გასწი,
დაიკარგე, მე შენ ველარ მამატყუებ“. — „მე შენთან მოსატყუ-
ებელი განა რა მაქვს? — ბაკვირვებით უთხრა მელიამ, — გინდ
გამოიხედე, გინდ ნუ, მე რა? მშვიდობით, შენთვის ალარა
მცალიან.“

მელია გამოცურცულდა და იქვე კუთხეში მიიმალა. მა-
მალს რომ მელისას ხმა არ ესმოდა, სთქვა: აბა ერთი ვადვი-
ხედო, ის ეშმაკი მელია წავიდა, თუ აქ არისო? მამალმა ფან-
ჯარაში გამოჰყო თავი, მელია უცებ სწვდა კისერში და გაი-
ტაცა ტყისკენა. შებდურმა და უგუნურმა მამალმა ბევრი იყ-
ვირა, მაგრამ კატას ველარ გააგონა, ძალიან შორს იყო წა-
სული.

კუ და არწივი.



კუ აუტყდა არწივსა ფრენა მასწავლევო. არწივმა უთხრა: არ შეგშვენის, ვერ ისწავლიო. კუ უფრო ჩამოეკიდა: გინდა თუ არა, უნდა მასწავლოვო. არწივმა დაავლო კლანჭები კუსა, მაღლა ჰაერში აიტანა და გაუშვა: აბა ისწავლე ფრენაო. კუ ძირს ტყვიასავით წამოვიდა, დაეცა დიდ სიბ ქვაზედ და სრულიად დაიმჩხვრა.

დაჭერილი მელა.


სუცუნა მელა მოსტირის, ზამთარი მოდის ძნელია;
 მარჩიე, გამოვარჩიე, ყვინჩილს ვატანე ხელია,
 მისმა პატრონმა შემიტყო, მოავლო კეტსა ხელია,
 მათი ისეთი მიკივლა, უცბათ მამწყვიტა წელია;
 იმწამს შეჭყარა თემია, ერისგანი და მღვდელია;
 წინ ხუცესი შემეყარა, მან დამიქნია ხელია,
 იმას შენდობა მოესთხოვე, მან მამიწვდინა ხელია;
 დარბაზ შიგნით შემიყვანეს, ქალები ვნახე ბევრია;
 ქალები ტყავს მიშინჯავენ — წითელია, თუ კრელია?
 მაშინდელს შეშინებულსა ახლაც არა მძევს ფერია.



გველი და გლეხი.

შესრიალდა გველი გლეხთან და უთხრა: მეზობელო, მოდი ახლა მეგობრულათ ვიცხოვროთო; შენ ჩემი შიში აღარ უნდა გქონდეს, ხომ ხედავ სულ სხვა ვარ, ამ გაზაფხულზედ კანი გამოვიცვალეო. გლეხმა კეტს ხელი დაავლო და უთხრა: კანი ახალია, გული ისევ უწინდელიაო; დაარტყა თავში და სული გააყრევინა.

ლომი და ბაყაყი.



ლომი იღვა ქაობის პირსა. ბაიგონა ბაყაყის ყიყინი; იფიქრა: დიდი რამ მხეცი უნდა იყვეს ასე მალლა, რომ ჰყვირისო. საომრათ მოემზადა. უცებ ბაყაყი ნაპირს გამოცოცდა. ლომმა ფეხი დაადგა, დააქყვირა და გაჭყლიტა; სთქვა: თვალში არა სჩანს, მე კი შემემზინდაო.



მეთევზე და თევზი.

მეთევზემ დაიჭირა წყალში თევზი. თევზმა უთხრა: გამიშვი წყალში, ხომ ხედავ პატარა ვარ, ერთი ლუკმაც არ გამოვალაო; გამიშვებ, გავიზრდები, მაშინ დამიჭერ და სარფა უფრო ბევრი გექნებაო. მეთევზემ უთხრა: წყალში თევზსა და ჰაერში ფრინველსა ფასი როდი სძევსო.

მგელი და მემცხვარი.

მგელმა სთქვა: მთაზედ მემცხვარეს შემოეშალა ცხვარიო, თიკანს, რომ პირი დავაღლე, თხამ დაიძახა ვაიო, იმ ჩამოსახრჩობ მურასა ჩემსკენ ეჭირა თვალიო. მემცხვარე გადმოეშველა ეჭირა შინდის კავიო: ბადმომკრა, გადმომიჭირა, მომტება თეძოს თავიო, ძლივს გავასწარი რა ყოფით, დღე დამაყენა შავიო. მაცადე, შეილო, მემცხვარე, მოგსლოდეს ტკბილი ძილიო, ძაღლები შინ გაგპაროდნენ, ღია დამიხვდეს კარიო, შენ ფარეხში შევესულვიყო, მეწყვიტოს თხა და ცხვარიო, ღილაზედ გამოსულიყავ, გეგლიჯოს თმა და წვერიო, ქაქკაჭები დაგჩხაოდნენ, გეღოს სიკედილის ფერიო.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

ქალმახი რა არის? დამისახელეთ **თ მ ე ვ ზ ე ბ ი!** მითხარით



რა ნაწილები აქვს თევზსა? ოთხფეხი დარბის, ფრინველი ფრინავს, თევზი? ოთხფეხ ბალანი ასხია, ფრინველს ბუმბული, თევზსა? ადამიანი ლაპარაკობს, ფრინველი გალობს, ოთხფეხი ჭყვირის, თევზი? თევზი უხმოა, მუნჯია. ადამიანსა, ოთხფეხებსა, ფრინველებსა ცხელი სისხლი აქვსთ, თევზსა? შეილებს როგორ აჩენს თევზი? შეილებს გაჩენაში ოთხფეხებსა ჰგავს თუ ფრინველებსა? მანებელია ადამიანისთვის თევზი თუ სასარგებლო? რითია სასარგებლო? როგორ იჭერს თევზებსა ადამიანი? რითი გვანან და რითი გაირჩევიან კალმახი და ორაგული, ფიხული და მურწა?



რომელმა ცხოველმა იცის ყაყანი? სრიალი? რომელი ცხოველი ზის მაგარი ძვლის ბუდეში? ბაყაყსა, გველსა და კუსა რა საერთო სახელი ჰქვიათ?—**მ მ მ წ ა რ მ ა მ ა ლ ნ ი**. ძიღვე რა ქვეწარმავალი იცით! ხელიკი. რა ნაწილები აქვს გველსა? ბაყაყსა? ხელიკსა? ძუსა? რათ აქეთ ცივი ტანი? რომლები არიან უნებლები? საშიში და მანე რომელიღაა? რითია საშიში გველი? შველა გველსა აქვს უხამი? რითი გვანან და რითი გაირჩევიან: ბაყაყი და კუ, ხელიკი და გველი?

ანდაზები.

თევზმა სთქვა: სალაპარაკო ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო. თევზი მარხვაში, ცხენი აღმართში. წყალში თევზი არ დაფასდება. თევზი ეძებს ღრმა წყალსაო. ადამიანი კარგსაო.

გამოცანები.

სირის, სირის ქათამო, სველი ფრთები გასხია, ბუდიღვან,



რომ გადმოხვალ, ფიცხლავ სული გაგცვივა. შრთები აქვს, არა ფრინავს; უფეხრა და დარბის. ნადირი რამე მინახავს უფრთო, უნისკრო ფრინველი, სახლი აქვს, ცეცხლი ვერ დასწვავს, ძნელია მისაგნებელი, ყოველი კაცი მას დასდევს ერისკაცი და მწირველი.


ს ა წ ე რ ი.

მრაველი... ბველი... ძალამი... ბუ... ხრამული...
ჩოხა... საღვინე... შიხული... ძალამანი... ბაყაყი...
ძალმახი... შაშვი... მელა... ხელიკი... ზურგიელი...
ხონჩა... ტარალანა... ჯამი... ტურა... ბალიში... ძო-
ქი... თაბახი... ჩხიკვი... ინდოური... სტაქანი... ძე-
რა... იხვი...

ჩიითი განირჩევა ოთხფეხი და თევზი? თევზი და ფრინველი?

მელია და თხა.

მელია მინდორზედ მიდიოდა. მალლა ყვავებზედ დარჩა თვალები და ჭაში კი შლაპა გასძვრა. იმის ბედათ ჭაში ცოტა წყალი იდგა, დახრჩობისა ფიქრი არ იყო, მაგრამ მალლა ამოსვლა კი არ შეიძლებოდა. იდგა წყალში მელია, ღონობდა და სწუხდა. მართი ცენახოთ მოდის ბაკაბუკით თხა და ბატონურათ მოაბიჯებს; მოდის, წვერს აცანცურებს და გრძელ რქებს იქნევს. ღანდობილა გადაუხვია გზასა, ჩაიხედა ჭაში, დაინახა მელია და ჩასძახა: მანდ რას აკეთებ, მელიავო? — ვისვენებ, ჩემო გვრიტო! ტკბილათ ამოსძახა მელიამ, — მანდ მალლა ცხელა და იმიტომ აქ ჩამოვხტი. უჰ, რა მშვენიერი სიგრილეა აქ რომ იცოდე! ცივი წყალი რამდენიც გინდა! თხას დიდი ხანია წყურვილით პირი უშრებოდა. „წყალი მართლა კარგია?“ ჰკითხა თხამა. — მშვენიერებაა, — უპასუხა მელამ: ან-



კარასავით წმინდა და ყინულივით ცივი; ჩამოხტი აქ, გინდა, ორივე დაგეტყვი.

მოუვიდა თხას ტუტუცობა და ჩახტა ჭაში. ღახე ამ წვერიან ტუტუცსა, ჩამოხტომაც ვერ მოახერხა, სულ ერთიანათ გამზუნზლა,—გაწყრომითა სთქვა მელამა. შეახტა მელა ზურგზედ თხასა, ზურგიდგან რქებზედ მოექცა, რქებიდგან მალლა ახტა და მოჰკურცხლა ტყისკენ. ღარჩა შიგ უგუნური თხა. ძიდელამ შიმშილით სული ამოსძვრა. ბოლოს ძლივს მიაგნეს, მოსჭიდეს რქებზედ ხელი და ამოიყვანეს მალლა.

ბუზი და ეტლი.

ღრი ბედაური ცხენი ნიავსავით მიაქროლებდნენ ეტლსა. ჭეიშიან გზას საშინელი ბუქი ასდიოდა. ბუზი გაექანა, დასკუპდა ეტლზედ, იფიქრა, ვითომც ის მიაჩბევიანებს ეტლსა და თავმოწონებით მორთო ძახილი: ერთი შეხედეთ რა კორიანტელი დავაყენეო.—

ბუზი და სპილო.

ბუზს უცებ მოასწრო შემოდგომის სიცივემ. მიიხედა მოიხედა და დაინახა ახლო სპილო. ზაექანა და ყურში შეუძვრა. ძალიან თბილათ ეჩვენა ეს ადგილი. მთელი ზამთარი შიგ გაატარა. როცა გაზაფხულდა, გარეთ გამოფრინდა, მიუბრუნდა სპილოსა და მადლობა გადაუხადა. სპილომ უთხრა: ვინ ხარო? შენი არც შემოსვლა გამიგიაო და არც ვასვლაო.

შოშია.

ძვირა სალამო დაღამდა, მოახლე გარბის რბენითა: შოშია სადლაც წავიდა, თავს გადგვიარა ფრენითა, შრთა რატომ არ დავაჭერით, ეს ჩვენ ავათა ექენითა;

ბალიავ, უცხოთ ხელქმნილო, გათქმულო მთელსა მართ-
ლოშია,

იმას რატომ არ ეცადე, რომ არ გაგეშვა კარშია.

ასტირდა საწყლათ გალია თავისა აოხრებასა,
რა ღირსი ვიყავ საწყალი მე შოშიასა ხლებასა:
მაი ამ ამბის მსმენელსა, შოშიას დამკარგავსაო,
შოშიას მომლოდინესა, მე საწყალ გალიასაო.

ბატონი შეილი ასტირდა, შფოთავს დიდის წუხი-
ლითა,

იმას იგონებს მღვიძარე, არ დაიძინებს ლულითა,
იმას მაინც არ გაუშვებ, თუნდ იყვეს მალლა მთაშია,
ან იმის ძებნით მოეკედები, ან ჩაეარდები ზღვაშია.

მ ხ ვ ნ ე ლ ი ბ უ ზ ი .

ღაქანცული ხარი საღამოზედ ძლივს მოათრევდა გუ-
თანსა. მის რქის წვეროზედ დასკუპებულიყო ბუზი. ბუზივე
შემოეყარათ გზაზედა. ღაო, საიდგან მოდიხარო?—ჰკითხა ამ
ბუზმა. იმან კი ცხვირი მალლა აიღო და ამპარტაენულათ
უთხრა: საიდგანაო? ჩვენ ეხნავედითო.

ჰ რ ი ჰ ი ნ ა და ჰ ი ა ნ ჰ ე მ ლ ა .

შემოდგომის კაი დარი იყო. დასველებული ჰური ჰიან-
ჰველებს ზევით ამოეყარათ და აშრობდნენ. მშიერი ჰრი-
ჰინა მივიდა და სთხოვა: ცოტაოდენი საქმელი მიწილა-
დეთო. ჰკითხეს: ზაფხულში რას აკეთებდი, რატომ საზამთ-
როთ საზრდო არ შეჰკრიფეო?—ზენაცვათ, სად მეცალა
მაგისტვის, სულ სიმღერას გავძახოდიო, უთხრა ჰრიჰინამ.—
თუ შენახვის დროს მღეროდიო, ახლა რომ გშიან, იხტუ-
ნეო, უთხრეს ჰიანჰველებმა.

ჰ ი ა ნ ჰ ე მ ლ ა და შ უ ბ ძ ა რ ი .

ჰინჰველას აეკიდებინა ოთხი თავის ოდენა სიმძიმე,

მიათრევდა და თან ამბობდა: ჩემოდენა ჯაფაში სულიერი არ არის, მაგრამ ქება კი არავესგან მესმისო; აი უღონო და ბზუილა ფუტკარი კი მარტო ყვავილებზედ დაფხრიალებს, ჯაფა არც კი შეუძლიან, მაგრამ ყველა იმის ქებაშიაო; მეტი უსამართლობა კიდევ იქნებაო? მფრინავმა ფუტკარმა გაიგონა და უთხრა: ეგ იმისთვის ხდება, რომ შენი ჯაფა არა ვისთვის არის გამოსაყენებელი, ჩემი შრომა კი მასიამოვნებელია აღამიანისათვის და ლეთისათვისაცაო.



თ ა გ ვ ი ღ ა კ ა ტ ა .

თაგვი ავით გამხდარიყო, ტანში იყო ლერწვითაო,
 ლაგვო ქვეშა ლოგინი, ბუმბულს იწვა ბეწვითაო;
 კატამ ეს რომ გაიგონა, ლმერთს შეჰქანავლა ხვეწნი-
 თაო,

მუხლებზედ ბევრი იცემა, თმა იგლიჯა წეწვითაო.

აღვა კატა წამობრძანდა თავის დიდი ჯართაო,

თაგვისა კარსა ჩამოხტა ფირუშის კარავითაო.

თაგვი იწვა მხარ-თეძოზედ, ფიცხლავ ფეხზედ წამოხ-
 ტაო,


პარი კლიტით ჩაუკეტა, შიგნიდგან ეუბნებაო:

რა გინდაო, ყურ-დილაო? — შენთან მოველ ყურ-
 ცქვითაო.

რა გინდა რომ ავით ვიყვე, შენი ნახვა არ მინდაო.

აღვა კატა გამობრუნდა თავის დიდი ჯართაო,

მუხლებზედ ხელი დაიკრა, სულ თაგვები დაგვიუთხაო.



ს ა ს ა უ ბ რ ო.

თაფლს რა გვიკეთებს? ბზუკუნი რამ იცის? ბზუილი? კრიჭინი? მსელს რა აბამს სახლებში? ტკბილის რამის დახვევა რას უყვარს? იმ ცხოველს რა ჰქვია, რომელიც ლოგინში მწარეთ ჰკბენს ადამიანებსა? იმ ცხოველს რაღა ჰქვია, რომელიც ხანდახან გუნდ-გუნდათ დაეცემა ხოლმე მინდორსა და მოსავალსა სტელეპავს? შუტკარსა, კოლოსა, ბუზსა, კრიჭინასა, ობობასა, ჭიანჭველასა, რწყილსა და კალიასა რა საერთო სახელი ჰქვიათ? — მწეპეპე. როგორი ტანი აქეთ მწერებსა? სისხლი? რამდენი ფეხი აბიათ? — მქესი, ობობას კი რვა. რამდენი თვალი აქეთ? — ორი, ობობას კი თორმეტი. რომელ მწერებს აქეთ ფრთები და შეუძლიანთ ფრენა? რომლებმა იციან მარდი ხტომა? მარდი სირბილი? რომლები არიან მანებებელი? ბუზებს რომელი მწერი ხოცავს? რომელი მწერი ჰყავს ადამიანს გაშინაურებული? რათ ინახავს შინ ფუტკარსა? რისგან აკეთებს ფუტკარი თაფლსა და ფიჭასა? რომელი მწერები სცხოვრობენ ერთათ ჯალაბობით? ცალცალკე? როდისა ვხედავთ ჩვენ მწერებსა? ზამთარში სადღა არიან? როგორ აჩენენ შვილებსა? რითი გვინან და რითი გაიჩევიან: ფუტკარი და ბუზი, ბუზი და კოლო, კრიჭინა და ჭიანჭველა, ობობა და კალია? —

ა ნ დ ა უ ე ბ ი.

ბუზი ბევრი ბზუის, ფუტკართან ყველა სტყუის. შველა

თავისას ჩიოდა, მენახირე ბუზანკალსა. წაიქცა ჯირკვი, მიეხ-
ვია ჯინჭველა. ჰიასაც რომ ფენი დაადგა, ისიც კი ხმას
ამოიღებს. ძოლოც კი წააქცევს ცხენსა, თუ დიდი მგელი
უშველის.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

ჭერში თავღალმა მარღათ დადიან, ჩამოვარდნისა არ
ეწინიანთ. მალლა კუთხეში მახე აგია, არც ხელით არის გა-
კეთებული, არც თავგებისთვის დამზადებული. შავი არის
შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა, პატრონს ღამით ათამაშებს
კამანჩა და სტვირივითა. სუსტი, სუბუქი ფრინველი არ ით-
ხოვს სასმელ-საჭმელსა, კაცსა საზრდოსა უტკბილებს და
ღმერთსა უნთებს სანთელსა.

ს ა წ მ რ ი.

ძოლო... ბველი... ჰიანჭველა... ღოში.. ნემსი... პური...
ძალია... შუტკარი... ძეჩა... ბაღდადი... ბაყაყი... რწყილი... ბაღ-
ლინჯო... შარვალი... მბობა... წინდა... ჰრიჭინა... მარანი...
ტოროლა... ტილი... ლომი... ბრიფილი... ძოჭი... შუბი... ტას-
ტი...

რითი გაირჩევიან კალმახი და ფუტკარი?

მელია და მწყერ-ჩიტა.

მელიამ ლეშს მიაგნო და ღონიერათ მიაძღა. ბაუჭირ-
და მონელება. შეხებევწა მწყერ-ჩიტასა: ოლონც კი ეს საჭმე-
ლი მომანელებინე და ჩემ ღლეში შენ შევილებს ხელს არ
ვახლებო. ძარგო, უთხრა მწყერ-ჩიტამა: მე აფრინდები და
შენ უკან მამყეო. აფრინდა და გამოიყენა უკან მელია. ხან
მინდორზედ არბევინა, ხან ჩირგვებზედ ახტუნა, ხან წყალში
შეატოპინა. იმდენი არბევინა, მინამ ფერდებს დაახეთქამდა.
მოინელე თუ არაო? — ჰკითხა მწყერ-ჩიტამა. — მოვინელეო,

მაგრამ ახლა სიცილი მამინდა ძალიანაო; ერთი გულიანათ მაცინე და შენ შეილი-შვილებსაც ხელს არ ვახლებო. ძარგი, წამამყეო, უთხრა მწყერ-ჩიტამა. მიიყვანა კალოზედ და ძნაში დამალა. თითონ მიფრინდა და ხარს რქაზედ დააჯდა. ზღეხმა სახრე მოუქნია, უნდოდა მოეკლა, მწყერ-ჩიტა სწრაფათ გაუსრიალდა, სახრე ხარს მოხვდა რქაში და მოსტეხა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა. მერმე მწყერ-ჩიტა მაწვნის ქოთანზედ დაჯდა. ჭეა ესროლეს, მწყერ-ჩიტამ აიცილინა, მოხვდა ქოთანსა, ქოთანი გატყდა და მაწონი კალოზედ დაიღვარა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა. მესამეთ მწყერ-ჩიტა ყმაწვილს დააჯდა თავზედ. შმაწვილმა სახრე მოუქნია, უნდოდა მოეკლა, მოირტყა თავში და მორთო ღრიალი. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა. მიფრინდა მწყერ-ჩიტა და ჰკითხნა: კაი სეირი გაჩვენე თუ არაო? ამ დროს მელიას კიდევ მოშვივნოდა, წათანა პირი, უნდოდა მწყერ-ჩიტა დაეჭირა და შეეჭამა. მწყერ-ჩიტა აფრინდა, მელიას ზემოთ ძნაზედ დაჯდა და უთხრა: ერთი სეირი კიდევ უნდა გაჩვენოვო. მიეპარნენ მწყერ-ჩიტას, დაუქნიეს დიდი სახრე, აიცილინა მწყერ-ჩიტამა, მოხვდა მელას შიგთავში და ფეხები აფშეკინა. აფრინდა მწყერ-ჩიტა და გასწია თავის ბინაზედ.

ცალთვალი ირემი.

იყო ერთი ცალთვალი ირემი. ცალი მხრიდგან მიპარვისა ეშინოდა და ძოვნის დროს დიდს სიფრთხილეში იყო. ბოლოს იფიქრა: წავალ ზღვის პირსა, გამოთხრილ თვალს ზღვისაკენ ვიქ, საღს მინდერისკენ და სიფრთხილე აღარ მომინდებაო. სწორე ასე მოიქცა. მონადირემ შენიშნა ირემის დაუდევრობა, ზღვიდგან ნავით მიეპარა, ესროლა ისარი და მოჰკლა ირემი.

ანდ აზა: სიფრთხილეს თავი არას დროს არ ასტკივდება.

კ ა ტ ა .

სახლის უკანა დედა კატუნა
იჯდა კუნჭულში დაღონებული;
მივიდა მასთან ხედი ღრუტუნა
და ჰკითხა: რათ ხარ დამმარებული?
— ახალმა რძალმა ჩუმათ შეჭამა
ღილით შემწვარი ქათმის ბარკალი,
ბრალი მე დამდო, ცილი დამწამა,
მიმაბეგვინა ალალ-მართალი.

ძაღლი და ჩრდილი.

ძაღლი ხიღზედ მიდიოდა. პირში ხორცი ეჭირა. ღაინა-
ნანა თავისი ჩრდილი წყალში, ეგონა იქ სხვა ძაღლს მი-
აქვს ხორციო; ჩახტა წყალში და ხორცი პირიდგან გაუშვა,
თავის ჭკუაში იმ ძაღლისათვის უნდა ხორცი წაერთმია. ამ
დროს მისი ხორციც წყალმა წაიღო და დარჩა პირცარიელი.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

მე ძმა მყავს შავი სახისა, არ არს ჩემი დედმამისა,
ხან კვდება, ხანა ცოცხლდება, არის სხვა და სხვა ტანისა.
მართი რამ უცხო მავალი გვერთით ჩნდა გამიკვირდო,
თუ გავიქეცი გამამყვა, თუ დავდექ, დადგა ისაო,
თუ ხელში ავიღე რამე, მან ბარგი აიკიდაო,
თქვენნი ჭირიმე მიშველეთ, ეს რა ვადამეკიდაო.

ძაღლი და ძროხა.

მართი ძაღლი დაწოლილი იყო თივის გროვაზედ. მივი-
და შიმშილისაგან დაბნედილი ძროხა და ცოტაოდენი თივა
უნდა ეჭამა. ძაღლი კბილების ღრენით მივარდა ძროხასა და
გააგდო იქით. ძროხამ უთხრა: შე უმგზავსო ძოვრო, რათა
გაქვს იმდენათ შური თვალი, რომ შენტვის გამოაუყენებელი
თივაც კი არ გემეტება მშიერი ძროხისათვისო?

ანდაზა: აგი ძაღლი არც თვითონა სჭამს, არც სხვას აჭმევსო.

ც რ უ.

ბავშვი ცხვრებს აძოვებდა. თითქო მგელი დანახაო, დაიწყო ყვირილი: მიშველეთ მგელიო. ზღვებში გაიქცენ, ნახეს ტყუილი იყო. ასე მოატყუა მეორეთ და მესამეთ. მეორთხეთ მგელი მართლა მიუფარდა. ბავშვმა მორთო ყვირილი: არიქა, მიშველეთ, მგელიო. ზღვებს ეგონათ კიდევ გვატყუებსო და ყურიც არ ათხოვეს. მგელი უშიშრათ დაერია ცხვრებში და დიდი ნაზნევი ქნა.

ანდაზა: ტყუილის მთქმელს რა სარგებლობა აქვსო? ის სარგებლობა—მართალსაც აღარ დაუჯერებენო. ტყუილს მოკლე ფეხები ასხია.

მთიური წყარო.

შუილ-ხუილით გაღმოდის
კამკამი მთიური წყარო,
თითქო მთა-ბარს ჩაჰკითხოვდეს,
მოწყენილი რათა ხარო?
აბა წყარო, მარღო წყარო,
თამაშობით მომდინარო,
ბუჩქი, ყვავილი, ბალახი
მინძლო კარგა გაახარო.

უსუნო ყვავილი.

მინდორში იდგა მშვენიერი უსუნო ყვავილი. ბავშვს მოეწონა, მოგლიჯა და თავის ვარდის კონაში ჩაარჭო. პატარა ხანს უკან უსუნა და იგრძნო, რომ ამ ყვავილს ვარდის საამური სუნი მისცემოდა. ბავშვი დაფიქრდა და სთქვა: ახლაკი მივხვდი—დღეა ჩემი რათ მიჩრჩევს კარგ ამხანაგებში ყოფნასაო.

ანდაზა: შავი თეთრთან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.

მოუშიშრებელი კითხვა.

ბლესს ურმით თივა მიჰქონდა. შემოეყარა წინ მეორე გლესი. ზამარჯვება! — გაგიმარჯოსო. — მე რა მივაქვსო? — შეშაო. რას ამბობ, კაცო, რის შეშა, თივა უძევს ურემზე-დაო. — აბა, რომ კარგათ ხელდავ, რაც უძევს, რალას შეკითხე-ბიო? მაშინ მკითხველმა გლესმა თავი მოიქექა და სთქვა: მართალს მეუბნება, რას ეეკითხები, როდესაც ურემზედ ჩე-მი თვალითა თივასა ეხედამო.



მინდორში ბასვლა.

მწვანე მინდორი ბიბინებს, თავისთან მიწ-
ვევს სტუმრათა,
ბევრს მშვენიერსა ყვავილსა მე მპირდება სა-
ჩუქრათა;
წავალ და შევეკრავ კონებსა, ათას ფრათ აყვავებულ-
სა,
მოურბევინებ ჩემს დებსა, ვასიამოვნებ მათ გულსა.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

ბალახის ქვემო ნაწილს რა ჰქვიათ? შესვებზე რა ამოს-
დის? ლეროზედ რა ასხია? მაშ რამდენი ნაწილი ჰქონია ბა-
ლახსა? საჭმელს ბალახი საიდგან იღებს? რითი იღებს მიწი-
დან საჭმელსა? როგორა ჩნდებიან ბალახები? რომელი ბა-
ლახების ძოვნა უყვარს შინაურ საქონელსა? რომელ ბალა-
ხებს იყენებს ადამიანი საჭმლათა? რომელი ბალახები იხმა-
რებიან წამლათა? რომელი ბალახები არიან შხამიანები? რი-
თი გვანან და რითი გაირჩევიან: იონჯა და სამყური, პიტნა
და აბზინდა, სატაცური და სვინტრი, გვირილა და ვარდკა-
ჭაჭა?



მარდიც ბალახია? მაშ რა არის? დამისახე-
ლეთ შვპვილ მბი! ია, ყაყაჩო, ნარგიზი,
იასამანი, ზამბახი, ტუხტი. რითი გაირჩევიან
ყვავილები ბალახებისაგან? როდის იშლებიან
ყვავილები? შევლაზედ აღრე რომელი ყვავი-
ლი იშლება? ია. როგორი ფერისაა ია? მარ-
დი? ყაყაჩო? იასამანი? ნარგიზი? ზამბახი? ტუხტი? რომელ
ყვავილებს აქვს კარგი სუნი? რომლები არიან უსუნონი? რო-
მელი ყვავილი იზღება ეკლიან ბუჩქზედ? შეადარეთ ვარდი
და ია, ნარგიზი და იასამანი, ყაყაჩო და ზამბახი?

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

სხვისა ხელით ნარს ნუ მოგლეჯ, ეკლიანი ბალახია.
თივაში ცეცხლი არ დაიმალება. იამა გზობა შობითა, ვარ-
დმა გაგზარდა ქებითა, ნარგიზმა ძუძუ გაწოვა, მას გევხარ
სუნელობითა.—

ბ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.


ბაზათხულზედ მინდორში მე მინახავს ყვავილი,
მწვანე ფეხი აბია, აქვს მტრედის ფერი თვალი,
ბალახებში ძლივსა სჩანს, არ იცქერის მდიდრულათ,
სუნი სდის მშვენიერი, თუმცა ყვავის თავმდაბლათ.

აბა ოთხი ასოთი დასწერეთ ხმელი ბალახი!—

ს ა წ ე რ ი.

იონჯა... ია... ლრუბელი... იასამანი... მყაუნა...
ნარგიზი... სვინტრი... ტუხტი... ხეკაკუნა... ზამბახი...
სატაკური... ლენცოთა... სპილო... რძიანა... ლამბა-
ქი... პორკოტი... სამყური... მუთაქა... წინდები... ბეი-
რილა... ლომი... ნიბლია... შაფა... შორი... ჭინჭა-
რი... ბალბა... შოშია...

დასწერეთ, რა სარგებლობა აქვს ადამიანს ბალახებისაგან?



მელია და წერო.

მელია დაუმეგობრდა წეროსა და ერთხელ სადილათ დაჰპატიჟა. მელიამ სადილათ მოამზადა ოსპის თხელი შექამადი, დაასხა ლამბაქზედ და წეროს უთავაზა: მიირთვი, ნათლიავ, მიირთვი, ჩემო ბატონო, შექამადი ჩემი ხელით გამიკეთებიაო! წეროს შიოდა, შექამადის ჭამა ძალიან გულით უნდოდა, გრძელ ნისკარტს მალმალა სცემდა ლამბაქზედ, მაგრამ პირში ვერაფერი მოიგდო. მელია კი შექამადს მარჯვით სღებავდა თავისი გრძელი ენითა. სწრაფათ მოტვლია მელიამ მთელი ლამბაქი და წეროს უთხრა: უკაცრავად ნუ ვიქნები, ამაზედ მეტი აღარაფერი გახლავსო.— ამისიც მადლობელი გახლავარ, ხვალ მე მეწვიე სადილათაო, უთხრა წერომ მელიასა.

მეორე დღეს მელია ეწვია წეროსა. წერომ მუხუდოს შექამადი გააკეთა, მალალ და ვიწრო ყელიან ქოთანში ჩაასხა და ხონჩაზედ დადგა. მიიწვია მელია სუფრაზედ და უთხრა: გულიანათ მიირთვი, ჩემო საყვარელო ნათლიავ, შექამადი თვითონ ჩემის ხელით გამიკეთებიაო. მელიას შიოდა, შექამადის ჭამა ძალიან გულით უნდოდა, ქოთანს ხან აქედგან ურბინა, ხან იქიდგან, ხან ლოკავდა, ხან სუნავდა,— მაგრამ პირში კი ვერაფერი მოიგდო. წერო კი იდგა თავის მალალ კლანჭებზედ, ჰყოფდა ქოთანში თავის გრძელს კისერსა და მარდათ ამოჰქონდა მუხუდო. წერომ მალე დააცარიელა ქოთანი და უთხრა მელიას: უკაცრავათ ნუ ვიქნები, ამაზედ მეტი აღარაფერი გახლავსო. წავიდა შინ მელია მზიერი და შერცხვენილი.

ა ნ დ ა ზ ა: რასაც დასთესავ, იმასვე მომკი. როგორიც მოხვალ სვინაო, ისეთი წახვალ შინაო. ბური და გული სტუმარსა; წავა შინ მოაგონდება.

მანდილოსანი და გოგონები.

იყო ერთი მანდილოსანი. ჰყვანდა ორი გოგო. შოველ-

თვის მამლის ყვილისას აღვიძებდა და ერთს ჯარაზედ არ-
თვევინებდა ძათსა, მეორეს თითისტარზედ ახვევინებდა. ზო-
გოებს აღრე აღგომა ეჯავრებოდათ და ჰსთქვეს: მოდი, მამა-
ლი მოვკლათ და ჩვენი მანდილოსანი ისე აღრე აღარ გა-
გვალვიძებსო. აღგენ და მოკლეს. მაგრამ უარესი მოუვიდათ.
მანდილოსანს უძილობა სჭირდა, გვიან აღგომისა ეწინადა
და გოგოებს მამლის ყვილზედ უფრო აღრე დაუწყო ღვიძება.

გ ა მ ო ს ა ნ ე ზ ი.

ერთი პატარა ბაჭია, სირბილით არის მაკეა. ძალლი წევს
და კული ღრინავს.

თავზედ გვირგვინი აღგია მორთული მეფესავითა,
შებებზედა აქეს ღვებები, ცხენზედ მჯდომ მხედარსავითა,
შოველ კაცს აღრე აღვიძებს ერთგულ ყარაულსავითა.

ცხვირი მაღლა ვის მიაჰვს?

მამა და მისი შვილი მომწიფებულ ყანაზედ მიდიოდ-
ნენ. შვილმა ჰკითხა: მამილო, ეს რისგან არის ზოგი თავ-
თავი ძირს არის დაშვებული, ზოგი კი მაღლა აშვერილიო?
მამამ უთხრა: რომელი თავთავებიც სავსეა მარცვლებითა,
ისინი თავდაღუნულნი არიან და ცარიელი ფშუტა თავთა-
ვები კი ყალხსა დგანანო.—ჰო, ახლა კი მივზედი, ჩვენი სო-
ფლის მწერალს რათ მიაქვს ცხვირი მაღლაო, სთქვა ბავშმა.

ქერი და პური.

ქერმა უთხრა პურსა: წავიდეთ იქ სადაც ბევრი ოქრო
არის და ღვინი ვნახათო. პურმა უპასუხა: ქერო, შენ ულ-
ვაში გძელი გაქვს და ჰქუა კი მოკლეო: რისთვისა ვსდიოთ
უკან ოქროსა, როცა ის ჩვენ მოგვენახავსო?

მ კ ვ მ ხ ა რ ა თ ა ლ გ ა მ ი.

თალგამმა ღაიკევხა: მე და თაფლი ერთათ ძალიან გემ-



რიელები ვართო. მათელმა გაიგონა და უთხრა: დაიკარგე იქით, უმსგავსო მკვეხნა, მე უშენოთაც კარგი გემო მაქვსო.

შავარდენი და მტრელი.

ლურჯი მტრელი დანდობილა მიფრინავდა ბუდისკენა, შავარდენმა თვალი მოჰკრა, სწრაფათ გაეშვა მისკენა; ნისკარტი ჩაჰკრა შიგ თაფში, ტანი ბლუჯა კლანჭებითა, მალლა ცაში მოსდო ბურტყლი, ძირს მუხა ღება სისხლითა. მწარედ სტიროდა ლულუნა ბარტყების დაობლებასა; მოსთქვამდა, რა ეშველებათ, ვინ უზამს მათ დედობასა?

მგელი და პირი.

მგელი მიუხდა ვირსა, უნდოდა შეეჭამა. პირმა უთხრა: ვიცი შემჭამ და ეს ანდერძი ამისრულე: ჩლიქში ლურსმის ნატეხი მაქვს და იგი ამოიღეო. მგელმა პირი ჩლიქთან მიიტანა, უნდა ლურსმანი ამოეღო. პირმა წიხლი ჰკრა, კბილები ჩამტერია. პირი ველარ შეჭამა მგელმა; თქვა: მამა ჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯილაო?

ყ ვ ა ვ ი .

ქვაეი გაამპარტაენდა: ყვაობა არ მინდა, ფარშავანგი უნდა გავხდეო; ჩაირჭო გარეშემო ფარშავანგის ფრთები და გაერია ფარშავანგებში. ჯერ ვერ იცნეს. მაგრამ უცებ წამოსცდა თავისი „ყვაა.“ მისცივიდნენ ფარშავანგები და სულ გაძიძგნეს. ტიტველა ყვაეი წავიდა თავის ყვაეებთან. მაგრამ იმათაც იუცხოვეს და ქისტის კვრით გამოაგდეს. შარშავანგიც ვერ გახდა, ყვაეებშიაც გამოწყდა.

ღათვის სიზმარი.

ღათემა სთქვა: სიზმარი ენახე, რაც რომ თავს გადამხდებოდა, სიმინდი ბევრი შეეჭამე, ხილათ არ გამიხდებოდა, ხელი შეეუწყე სკებში თაფლს, ესვლიპე, ვინ მიმიხდებოდა.

სულ დავიარე სევები, სადაც რამ მეგულებოდა,
 აქ-იქ ძროხები დავბოცე, ხორციც კი მამწყინდებოდა;
 თხილები ბევრი ვამტყრიე, გული ბევრს არა სდებოდა.
 მელორის ტყეში გადაველ, იქ ღორი მეგულებოდა;
 ერთი ბურვაკი შეეჭამე, შხამათაც შემერგებოდა;
 სოფლის ბოლოს რომ ვადედი, ვიცოდი არ შემრჩებოდა;
 ლამაზ-ლამაზი ბიჭები თოფ-იარაღში სხდებოდა,
 ლამაზ-ლამაზი მწვერები თითის ფრჩხილებზედ დგებოდა;
 ზამიგდეს ისრეთს მინდორსა, თვალი არ გადასწვდებოდა;
 ისრეთს ხეფ-ხეფში ჩამაგდეს, ქორი ვერ ჩაფრინდებოდა;
 დამაზილეს ბევრი ტყვია, სიკვდილი მამსურდებოდა;
 იქ დადგა სისხლის მორევი, ზედ წავი მოცურდებოდა,
 მოვიდა ყვავი, ყორანი, სვამდა და არ ილეოდა.
 ორბებმა გამინაწილეს, სვავი ძვალ-ძულით ძღებოდა.

თავისი თავის დასჯა.


იყო ერთი ბოროტი კაცი. მიდიოდა გზასა, კიტრებსა
 სკამდა, ნათქვევებზედ აფურთხებდა, გზაზედ ჰყრიდა და ამ-
 ბობდა: ჩემი მეზობელი გამოივლის, აჰკრებს და შესქამსო.
 მალე ისევ უკან დაბრუნდა და წყალი ძალიან მოსწყურდა;
 დაუწყო თავის ნათურთხ ნათქვევებს კრეფა, სკამდა და ამ-
 ბობდა: ამაზედ როდი დამიფურთხებიაო.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

რა მცენარეებს სთესავს გლეხი ნახნავეში? პურსა, სი-
 მინდსა, ღომსა, ქერსა შვრიასა და ფეტვსა. რა საერთო სა-
 ხელი შეიძლება დეარქვათ?—ს ა პ უ რ მ მ ც მ ნ ა რ ე მ უ ბ ი. რა
 ნაწილები აქვთ საპურე მცენარეებსა? როდის სთესვენ საპუ-
 რე მცენარეებსა? რა ამინდზედ მოჰყავს კაი მოსავალი ნა-
 თესსა? რომელმა საპურე მცენარემ უფრო დიდი გამოსავა-
 ლი იცის? რათ იცის სიმინდმა დიდი გამოსავალი? როდისა
 მწიფდებიან პური, სიმინდი და სხვანი? როგორ იყენებენ



გლეხები სიმინდსა, ქერსა, შერასა, ფეტვსა, ღომსა? რითი
გვანან და რითი განიჩევიან: პური და სიმინდი, ქერი და
შერია, ფეტვი და ღომი?



ხახვს სადა სთესვენ? ჩამომითვალეთ **გოსტინის მცენა-**
რეები! სტაფილოსი რა არის საჭმელი—თავი თუ ფოჩი? ძარ-



თოფილისა? ქომბოხტოსი? ნიერისა? ჭარხლისა? ბოლოკისა?
 თაღამისა? ნიახურისა? წიწმატისა? შინძისა? შონდრისა?
 მხრახუშისა? რეჰანისა? რომელი ბოსტნის მცენარეები ის-
 ხამენ საქმელ ნაყოფსა? კიტრი და ცერცვი, ნესვი და სა-
 ზამთრო. რომელი ბოსტნის მცენარეა ძილის წამალი?—
 რითი გვანან და რითი განირჩევიან: ხახვი და სტაფილო,
 ბოლოკი და კიტრი, ნესვი და საზამთრო.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

მითი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერ. ძედელს
 რომ ცერცვი შეაყარო, ზედ არაფერი დადგება. ახალ კიტრს
 და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი, მალე გაიფუტება. ნიორმა
 ძმარშიაც სამი წელიწადი შეინახა თავისი სიმყრალე. თუ
 ნიორი არ გიქამია, პირი რათ გიყარს?

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

ათასნი ძმანი, ერთათ შეკრულნი, დედის გულზედა
 მწკერივით აწყვიან. შეიქნა ხმა და ძახილი, მრავალი წაიქ-
 ცვეისა, უწყალოდ ჰყრია დაჭრილი, სისხლი არ დაიღვრებისა.
 ასლამაზა მე მქვიან, ასი ტყაფი მაცვია, აბრეშუმის ქოჩორი
 თავზედ გადამასხია.— ჩავადგე ოსპის ოღენა, ამოჯდა კოჭბის
 ოღენა. მოკი სვამს, ხბო იბერება. შავი არის შაშვივითა,
 თეთრი არის ყველივითა, კულა არის თაგვივითა. შავსა მი-
 წას მიაყრიან, მწვანეთ ამოუფა ძირი, რტო მრავალი გაეზრ-
 დება, ფოთოლი აქვს მეტად ხშირი, მწვანე, მკვანხე ხილი
 იცის, საქმელია მეტად გრილი.

ს ა წ ე რ ი.

სიმინდი... წიწმატი... ჭარხალი... მრავალძარღვა...
 შეტვი... ახალუხი... სტაფილო... მუხუდო... ძალია...
 აქლემი... აბზინდა... ცერცვი... შერია... რძიანა... ია...
 სატატური... მიმინო... შინძი... ლომი... რწყილი... ბო-

ლოკი . . . შვაფი . . . ზეწარი . . . ჰაფქირი . . . შლაფი . . . ხაშხა-
ში . . .

დასწერეთ, რითი გვანან ერთმანეთსა სიმინდი და ცერ-
ცი და რითი გაირჩევიან?

დათვის და გლეხის ამხანაგობა.

ზღეხი და დათვი დამეგობრდნენ. დათესეს სანახევროთ
ქარხალი. ზღეხმა უთხრა: ძირები მე და თავები შენაო.
ძალიან კარგიო, უთხრა დათვმა. მშვენიერი ქარხალი მოუ-
ვიდათ, ღეროებზედ მოეჭიდნენ ქარხალს და მიწიდგან ამო-
იღეს. შერამე ძირები და ღეროები ერთმანეთს მოაშორეს.
ძირები გლეხმა წაიღო, თავები კი დათვს მისცა. დათვმა ნახა,
რომ მოტყუებული იყო, ბევრი იბუზღუნა, მაგრამ რაღას
იქმოდა, პირობა ასე იყო. ზღეხმა მეორე წელიწადსაც უთ-
ხრა დათვსა: მოდი, სანახევროთ კიდევ დაეთესოთ რამეო. ქარ-
გიო, უთხრა დათვმა: მაგრამ იმ პირობით კი, რომ ძირები ჩემი
იყვეს და თავები შენიო. ქარგიო, უთხრა გლეხმა, და ხორბა-
ლი დათესა. მშვენიერი ყანა მოვიდა. ზღეხმა თავისი თავთა-
ვები დასჭრა და ცარიელი ხმელი ღეროები ძირიანათ დათვს
დაუგდო. მეორეთ მოტყუებულ დათვს ბრაზები ყელში მოს-
დიოდა, მაგრამ რაღას იქმოდა, პირობა ასე იყო. მას აქეთ
მოიშალა გლეხის და დათვის მეგობრობა.

ირემი და მანახი.

ირემი მონადირეებს ვაზებში დაემალოთ. მონადირეებმა
თვალიდგან დაჰკარგეს ირემი და ასცდნენ. — ირემს გაეხარდა
და კორტნა დაუწყო ამ ვაზების ფოთლებსა. ფოთლებმა
ნძრევა იწყეს. მონადირეებმა შენიშნეს ესა და სთქვეს: ირე-
მი უთუოთ იქ დაგვემალო; ესროლეს თოფი და დასჭრეს
ირემი. ქვდებოდა ირემი და თან ამბობდა: ახია ჩემზედ: ფო-

თლებმა მე დამმალეს, სიკეთე მიყვეს და მე კი მათ კორტნა
დაუწყეო.

ბერიკაცი და ნამუხანი.

ერთი ღრმით მოხუცებული ბერიკაცი ბაღში ვაშლებს
ანამყნედა. მივიდა მასთან ერთი ყმაწვილი და უთხრა: ბიძია,
რას ეწვალები, შენ ხომ მაგის ნაყოფს ველარ მოესწრო-
ბიო? — შუტკარიც კი მარტო თავისათვის არა შრომობსო,
უპასუხა ბერიკაცმა და დააქქერდა ყმაწვილსა. ყმაწვილი მი-
ხვდა თავის კითხვის უფუნურებასა, შერცხვა და გაწითლდა.

ბალი და ჩიტები.

დადგა თიბათე, დამწიფდა ბალი,
მასზედ შემოსხდა ჩიტი მრავალი;
თითქო სუფრაზედ — ხეზე ჩამწკრივდნენ,
ჭიკჭიკით, ლხინით ჭამას შეუდგნენ;
არ შეისმინეს ბალის ჩივილი,
მთლათ გაუკენკეს ნაყოფი ტკბილი;
როცა კი გაძლნენ, წამოიშალნენ,
ჭივილ-ხივილით ველს გაიშალნენ.

მუხა და ლერწამი.

დიდი მუხის ახლო ამოსულიყო წერილი ლერწამი.
მუხა ზევიდგან ამპარტავენულათ დასცქეროდა და გულმოსა-
კლავად დასცინოდა ლერწამსა: შე საწყალო, პატარა ნიაფიც
კი გერევა, ძირამდისინ გარხვეს და მიწამდისინ გზნეკავსო;
პატარა ღონიერი ქარი რომ ამოვიდეს, ბუმბულივით თან
წაგიღებსო. საწყალი ლერწამი გაჩუმებული იყო. ერთიც
ენახოთ ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, ლერწამი დაიხნი-
ქა, დედამიწას გაეკრა და გადაჩჩა. მუხა კი ამპარტავენულათ
გაფშეკილი იდგა. ჭარმა დაიგრიალა, ღონივრათ მოაწვა მუ-
ხის მაღალს და განიერს ტოტებსა და ამოგლიჯა ძირიანათა.

გაფრევა ტყისკენ.

ბავსწიოთ მწვანე ტყისკენ, ვიჩრდილოთ და ვისერი-
ნოთ,

ჩიტები — მოჭიკჭიკენი ენახოთ და ვისიამოვნოთ;

მათს ფთხრიალს, ფრენას ვუცქიროთ, გავიმხიარულოთ გუ-
ლი,

ბუდეებისა კეთებას სიამით ვადვენოთ თვალი.

ძაღლის უშრქანი.

პატარა ვანო ტყეში საქონელს აძოვებდა. მათ ჩირ-
გვზედ დაინახა მოშაო მრგვალი ხილი. ეს უთუოთ აღუბა-
ლია, იფიქრა ვანომ; მოგლიჯა ერთი მარცვალი და შექამა.
სოტა არ იყოს ეგემა. დაიწყო ქამა და მთელი ჩირგვი გა-
კრიფა. უცებ გულმა რევა დაუწყო და მუცელმა გლეჯა.
ძლივს მოახწია შინა. დედამ რომ მიზეზი შეიტყო, მაშინვე
თბილი რძე ასვა, უნდოდა, რომ პირის ღება ასტეხოდა, მაგ-
რამ ვერა უშველარა. საწყალი ვანო მოკვდა, რადგანაც
უხამიანი ძაღლის ყურძნით იყო გამაძღარი.

ვ ა უ ლ ი.

ვაშლი, ყლოტზედა მიბმული,

მალა გამოჩანს ფოთლებში,

შიგა წევს გაწითლებული,

თითქო ყმაწვილი აკვანში.

ღიღი ხანია შეჰყურებს

ქვევიდგან პატარა ბავშვი,

მალ-მალ იმასა ინატრებს,

ნეტავ ჩამოვარდეს ვაშლი.

თითქო ქარმა შეიბრალა

შემატქერალი ზევითა,

ღონივრად დაიგრიალა,

ვაშლი ჩაუგდო ქვევითა.

დასტაცა ყმაწვილმა ხელი
მაშლსა, წითლად დაბრაწულსა,
შთხრა მადლობა მრავალი
ძარსა გაძლიერებულსა.

ხეების ბაასი.

ხეები შეიბნენ, ჩვენგანი ვინ უფრო კარგიაო. მუნამა სთქვა: ყველას მე ვჯობივარ: ფესვები ღრმათა მაქვს მიწაში გადგმული, ღეროც მსხვილი მაქვს, მაღალი ტოტები ცაში იტკირებიან, ქარიშხალი სხვა ხეებივით თავს ვერ მიღრეკსო.

მაშლის ხემ ბალიდგან გასძახა: შენ რკოს მარტო ღორები კადრულობენ და ჩემი წითელი ნაყოფი მეფის სუფრასაც ამშვენებსო.

შიქვმა ორივეს ასე უპასუხა: თქვენ ორივენი ზამთარში საცოდავად ტიტვლდებით და მე კი მაშინაც მწვანე კოკოჩანებითა ვარ შემოსილიო; გლესს ბუნარსაც ვუხურებ, სახლებსაც ვუნათლებ და სადგომსაც ვუშენებო.

მარწყვის ქება.

მარწყვმა სთქვა: მოვალ პირველად, მე ვერა მისწრებს
ხილია,
შერად მგზავსი ვარ ლალისა, მერმე საჭმელათ ტკბილია,
წინეთ რა მისწრობს ტყემალი, მჟავე არის და გრილია.
მისგან ჩივიან ყოველნი, ესჭამეთ—მოგვეკეთა კბილია.

კიტრის ქება.

კიტრმა სთქვა: რალა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა, ტკბილი და მჟავე არა ვარ, კაცი რათ მემოყვრებისა? ბრილი ვარ, კაცსა გაებერავე, თავი მე არ მექებისა. მინცა ჩემითა გაძლება, ცივება შეეყვრებისა.

ს ა ს ა უ ბ რ ო .



რა არის ვაშლის ხე? რათ ეძახიან ხეხილსა? ღამისახელეთ ხეხილ მებო! სადა ღვანან ხეხილგები? შინა რგავს მათ ვენახებში და ბაღებში? რისთვისა რგავს? რა ნაწილები აქვს ხეხილსა? როდის იციან აუვაეება ხეხილებმა? რომელი ხეხილები ისხამენ მოწითალო ყვავილსა? შეთრი ფერისასა? რომელი ხეხილები მწიფდებიან ადრე? გვიანა? რომელი ხეხილების ნაყოფია ტკბილი? მჟავე? რომელი ხეხილების ნაყოფსა აქვთ ნაჭუჭი? ქურკა? რითი გვანან და რითი გაირჩევიან: ვაშლი და მსხალი, კაკალი და წაბლი, კომში და ატამი, ბროწეული და ლეღვი, ბალი და ტყემალი?



რა არის მუხა? რატომ ხეხილს არ ეძახიან? ღამისახელეთ უბრალო ხე მებო! საცა ბევრი ხეები ღვანან, იმ ადგილს რა ჰქვიან? სიმაგრით რომელი ხე სჯობია სხვებსა? რომელ ხეებს ხმარობენ შენობაზედ? რომელი ხეების შეშაა უფრო კარგი? რომელი ხის ფესვებსა ხმარობენ სანათათა? რომელი ხეები არიან მწვანეები ზამთარ-ზაფხულ? რა სარგებლობას აძლევს კაცსა ტყე? რითი გვანან და რითი გაირჩევიან: მუხა და ფიჭვი, ნერგი და ვერხვი, ნაძვი და წიფელი, ბზა და იფნი? ხეების გარდა ტყეში კიდევ რაები ღვანან? ჩირბ მებო. რა ჩირგვები იციან? შხილი, ხემაყვალა, კვრინჩხი. იმ ადგილს რა ჰქვიან, რომელიც ჩირგვებით არის დაფენილი? შალა. რითი გვანან და რითი გაირჩევიან: კაკალი და თხილი, ხემაყვალა და კვრინჩხი, ჩირგვი და ხე?

ა ნ დ ა ზ მ ბ ი .

შურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს კუნელსა. ასის



წლის ბებერმა იანვარში მარწყვი მოინდომა. ბალი წვერში გამწარდება. შურძნის სიყვარულით ლობეს ჰკოცნიდნენ. მწიფეს ესროდნენ, მკვანხე ცვივოდა. წნელს სანამ პატარაა, მინამ მოგრეხენ, გაიზდება, აღარ მოიგრინება. ხეხილს მალე ამყენებენ, მაგრამ მის ხილს გვიან სჭამენ.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

აქლემზედ მალალი, ქუდზედ დაბალი. შიგნიდგან ათასი, გარედგან ატლასი. ძანი რბილია, ცილა ტკბილია, გული ძვალსავით გამაგრებული. სა ვლრიკე, ვარსკვლავი ვკრიფე. შიგ შუა ტყეში ცომი ლეივდება. სიცხის დროს ქურქი ასხია, სიცივის დროს ტიტველია. — თერთათ დავხელე, წითლათ მოექსოვე, შავათ ამოვსჭერ. მრთი ქათამი მყამს, ფეხებით წყალსა სვამს, თავით კვერცხსა სდებს.—

ს ა წ მ რ ი.

ბროწეული... ძვრინჩხი... შერხვი... ძამა... ძირტკბილა. შნაბი... ძომბოსტო... თხილი... მუხა... ბოლოკი... ნაცარქათამა... ხემაყვალა... ნადვი... წაბლი... ხვართქლა... წალდი... შრთხლი... ხაშხაში... ნაკერჩხალი... ხმალი... მფოფი... სპილო... ბზა... შოცხვერი... თელა... ძომში... ლომი... წიფელი.

ღასწერეთ, რითი გვანან და რითი გაიჩქევიან მუხა და კაკალი?

მეზობრობა დათვისა და გლმისა.

მრთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდნენ. მიიწვია კაცმა დათვი და ლხინი აჩვენა. დათვი დაეთხოვა და გამოსალმა. ძაცმა აკოცა და ცოლსაც აკოცნინა დათვისათვის. ღედა-კაცს დათვის სიმყრალე ეცა, გააფურთხა და სთქვა, პირმყრალს სტუმარს ვერ ვეწყობიო. დათვმა გასწია თავის



გზაზედ. ზამოვიდა ცოტა ხანი. ძაცმა აიღო ცული, გაიყო-
ლა თან ცოლი და წავიდა ტყეში: შეშას მოეკრებ და წამო-
ვიღებო. მოვიდა დათვი, მიესალმა თავის მეგობარსა და შეექ-
ცნენ ერთათა. მერმე დაუჭინა დათვმა კაცსა, გინდა თუ არა
ერთი ცული დამკარი თაეში და დამჭერიო. ძაცმა უარი
უთხრა. დათვი არ მოეშვა. ადგა კაცი, დაჰკრა ცული და
გაუტეხა თავი. დათვი ტყეში შევიდა და კაცი შინ წამოვი-
და. მეორე თვეს კიდევ ერთად შეიყარნენ. დათვმა უთხრა:
შენ რომ ცული დამკარი ის კი გამიმთელდაო, და შენი
ცოლის ენით დაჭრილი გული კი ისევა მტკივაო.

ძალღი და კატა.

მრთხელ ძალღი და კატა ერთმანეთს წაეკიდნენ,
შიცხლავ დასაბეზღებლათ პატრონთანა შეცვიედნენ;
ძატამა სთქვა: ბატონო, ფეხის ქუსლში მიკბინა;
ძალღმა უთხრა: ამ წუწკმა, პირისახე დამფხაჰნა
ბატონო, მაგ მსუნაგმა მწვადი ჩუმათ შესთქელიფა.
— მე კი არა, ღმერთმანი, მაგან რძე სულ შესელიპა.
დაიკარგეთ, ქურდებო! პატრონმა დაუტყვიელა
და ორიე ჯოხის ცემით სახლიდგან გამოლალა.

ძუნწი.

ძუნწმა ძროხა დაკარგა; სთქვა: ღმერთო, ძროხა მაპო-
ვინენე, გლახაკს გავაძღობ და ობოლს შეემოსამო. წავიდა
საძებნელათ მინდორში. ბევრის ძებნის შემდეგ ძროხა დაი-
ნახა ტყიდგან გამოსული. ძუნწი სიხარულით ცას ეწია.
როცა შინ მოიყვანა, მეზობელმა ჰკითხა: გლახაკის გაძღო-
მას და ობოლის შეემოსეას როდის აპირობო? — ძროხა მე რო-
დი მიპოვინა, ტყიდგან თვითონ მოდიოდლო, უთხრა ძუნწმა.

ლომი და თაგვი.

ლომს ეძინა. თავგმა ტანზედ გადაურბინა. ლომმა გა-

მოიღვიძა და დაიჭირა. **თაგემა** უთხრა: გამიშვი და შეგიწყა-
ლეთო. **ლომმა** გულიანათ გაიცინა და გაუშვა თაგვი.

ბაეიდა ცოტა დრო. **მონადირეებმა** დაიჭირეს **ლომი** და
თოკით ხეზედ მიაბეს. **თაგემა** გაიგონა **ლომის** ღრიალი, მიი-
ბინა, გადაღრღნა თოკი და უთხრა **ლომსა**: გახსოვს, ადრე
რომ დამცინეო? ახლა ხომ ხედავ, რომ პაწაწინა თაგვსაც
შესძლებია მოწყალება დიდი **ლომის**თენიაო.

მელია და ყურძენი.



მშიერი მელია შეძვრა ვენახში. **დამკრახული**
მტევნები სიმწიფისაგან **დნებოდა**. **მელიას** თვა-
ლები აენთო და **კბილებმა** **კაწკაწი** დაუწყო.
მაგრამ, **დახე** **მელიას** **ბედსა**, **მტევნები** **მალლა**
ეკილა. **მაზებს** ხან **აქედგან** **ურბინა**, ხან **იქიდ-**
გან, ხან **ლოკავდა**, ხან **უკანა** **ფეხებზედ** **დგებოდა** და **ეტო-**
ტინებოდა; **მაგრამ** **თვალეები** **ტყუილათ** **დაებრიცა** **ზევითა**,
კბილებში **ვერაფერი** **მოიგდო**. **ბოლოს** **უკან** **გამობრუნდა**
და **გულის** **გასაკეთებლათ** **წაიბუტბუტა**: **ეჰ**, **ჯერ** **მინც** **ისევ**
მეკახეა, რომ **მეჭამა** **კბილებს** **მამჭრიდაო**.

ანდაზა: **ძატა** **ვერ** **შესწვდა** **ძეხესაო**, **პარასკებია** **დღესაო**.

მამალი და მარბალიტის თვალი.

ზაფხულის **ერთსა** **დილასა** **ნაგავსა** **ქექდა** **მამალი**,
სდილობდა **მშიერი** **კუჭისთვის** **ეპოვნა** **პურის** **მარცვალი**.
შეცრათ **ჰპოვა** **ყვილამ** **თეთრი** **მარგალიტის** **თვალი**;
მწყინა, **გაბრაზიანდა**, **ფიცხლავ** **აარიდა** **თვალი**.

სთქვა: **ეს** **ნივთი** **ფუქსავატი** **განა** **რისა** **მაქნისია?**

სულ **სულელები** **ყოფილან**, **ვინც** **რომ** **ამბობს** **ძვირ-**
ფასია.

მე **ას** **წილათ** **მიჩვენეიან** **ფეტვის** **მარცვალი** **ყვითელი**,
თუმცა **ასრე** **არ** **ბჭყრილობს**, **მაგრამ** **არის** **გემრიელი**.

ლომი, ვირი და მელია.

ლომი, ვირი და მელია სანადიროთ წაყიდნენ. ბევრი ნადირი დაიჭირეს. ნანადირევის გაყოფა ლომმა მიანდო ვირსა. ვირმა სამ თანასწორ ნაწილად გაჰყო და უთხრა: აიღეთო. ლომი გაბრაზიანდა, ვირი შექამა და მელიას უბძანა ხელ-ახლათ გაეყო. მელიამ მთელი ნანადირევი ლომის წინ დააგროვა, თავისათვის კი ერთი წიწკნა დაინარჩუნა. ლომმა უთხრა: აი კკეიანი! ვინ გასწაელა აგრე კარგათ გაყოფაო? შეკმულმა ვირმაო, უპასუხა მელიამ.

ანდაზები: ძალა აღმართსა ხნავს. საცა ძალა შევა, იქ სი-მართლე ბანიდგან ავა.

კაცი და ოქრო.

ერთმა კაცმა ძალიან ბევრი ოქრო დაფლა მიწაში. შოველ დღე მიდიოდა და იმ ადგილს ნახევდა ხოლმე. ერთმა სხვა კაცმა შეამჩნია ესა და სთქვა: მოდი, მივალ, იმ ადგილს მოვსთხრი და ენახავ—რა უძვეს იქ კაცსაო. მივიდა ღამე, მოთხარა მიწა, ნახა ოქრო და ამოიღო. მის მაგიერათ ლოდი დამარხა. პატრონს მოუხდა მეორე დღეს თავის ოქროს ნახვა, მივიდა, მოთხარა და ოქროს მაგიერათ ლოდი ნახა. დაიწყო ტირილი და ვაება. მივიდა მომპარავი, ჰკითხა: რასა ჰსტირიო? იმან უთხრა: ოქრო დაეფალი, დახარჯვა არ მიწოდოდა, მოუპარავთ და ლოდი დაუფლავეთო. უთხრა იმ კაცმა: ვაი შენ, რასა სტირიო? მანდ მიწაში თუნდ ოქრო გდებია, თუნდ ქვა, თუ არ მოიხმარებდიო.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

შეაბები რისა კეთდება? სპილენძისა. მოფს რითი სტენენ? ტყვიითა. ცული რისაა? რკინისა. ძაი დანები რისა კეთდება? შოლადისა. თეთრი ფული რისაა? ვერცხლისა. შვითელი ფული? ოქროსი. შეაბებს შიგნიდგან თეთრათ რას

აკრობენ? ძალასა. სარკეს უკანა პირზედ ბჭყრიალა რა უს-
ვია? სინდიკი. შევლა ამ ნივთებს რა საერთო სახელი ჰქვი-
ანთ? **ლითონები**. მათში რომლები ძვირფასებია და რომ-
ლები იაფები? შულის გარდა რა ნივთებს აკეთებენ ვერცხლი-
საგანა? ოქროსაგანა? — რა ნივთები კეთდება რკინისაგანა?
შოლადისაგანა? სპილენძისაგანა? — რომელი ლითონი უფრო
საჭირო და სასარგებლოა? შრკინოთ რის გაკეთება არ შეე-
ძლებოდა კაცსა? სადა პოულობენ ლითონებსა? მიწაში.

შეადარეთ ვერცხლი და ოქრო, რკინა და სპილენძი,
ტყვია და კალა.

ტალიც ლითონია? არა, ტალი ქვაა. ღამისახელეთ **ჰჰჰ-
ბი**. სიპი ქვა, თლილი ქვა, მარმარილო, შიფერი. რისთვის
არიან საჭირონი ქვები? აღმასი რაღაა? ძიდევე რა ძვირფასი
ქვები იცით? — შირუზი, მარგალიტი, ლალი, ბრილიანტი, ია-
გუნდი, ზურმუხტი. რისთვის ხმარობენ ძვირფას ქვებსა? მო-
სართობათა. რომელი ძვირფასი ქვითა ჰსჭრიან მინასა? — შე-
ადარეთ ტალი და სიპი ქვა, მარმარილო და შიფერი, ფირუ-
ზი და მარგალიტი!

ღედამიწის ზემო პირს რა ჰქვიან? ნიადაგი. რომელ ნი-
ადაგსა ჰქვიან ქვიშნარი? თიხნარი? ლამი? — რომელშიაც
თანასწორათ ურეგია ქვიშა და თიხა. შავი მიწა? რომელ-
შიაც ბევრი ურეგია დამპალი მცენარეების და ცხოველების
ნაშთენები. მელი? შეადარეთ ქვიშნარი და თიხნარი, ლამი
და შავი მიწა. —

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

მგორავ ქვას ხავსი არ მოეკიდება. მოვიდა სეტყვა და
დახვდა ქვა. მით ადგილას გდება ქვასაც ხავსს გაუჩენს. ჭვა
რომ თავის ადგილიდგან დაიძვრება, გამსუბუქდება. ზაუთ-
ლელი სჯობს აღმასი გათლილსა ფირუზანასა. ჰკვერე რკი-
ნა, სანამ ცხელია. რკინას ჟანგი სქამს, კაცის გულს დარ-
დი. ბევრი ცემით რკინაც გატყდება. მითი რეგენი მოიქ-



ნებს ძვირფასს აღმასს და ზღვაში ჩააგდებს, ათასი ჭკვიანიც რომ მოვიდეს, ველარ ამოიღებენ.

გ ა მ ო ც ა ნ ა .

ქვეშენელში დაბადებულან ორნი ძმანი თეთრ ყვითელნი, ჯოჯოხეთში მონათლულან, ამოსულან განწმენდილნი; შეელანი იმათ მოყვრობენ, ბებრები, გინდა ყმაწვილნი, მაკრებათ გადაქცეულან, არიან ქვეყნის მყიდველნი.

ს ა წ მ რ ი .

ბალი... ქვიშარი... რკინა... იაგუნდი... მელი... სინდი-
კი... ალუბალი... სპილენძი... მარმარილო... ალუჩა... თიხ-
ნარი... ძალა... სათონე... ლალი... შიფერი... შარშავანგი...
ზურაფხტი... ტყემალი... ჩერქესკა... შონდარი... ბეელი... მშვე-
ლი... ტყავი... შორანი... ოქრო... იონჯა... მერცხლი... ბრი-
ლიანტი...

ღასწერეთ, რითი გაირჩევიან და რითი გვანან ქვა და მცენარე?

გ ლ ე ხ ი კ ა ს ი და მ ე ლ ი ა .

თავი ზამთარი იყო. მელიას ძალიან მოშივნოდა და გზებზედ წანწალებდა. სდილობდა ცოტა რამე მაინც მიეძლია ცარიელი მუცლისათვის. უცებ თევზის სუნი ეცა. თიბრუტივით უკან მიბრუნდა და დაინახა, რომ ერთ გლეხს თევზით საესე მარხილი მოჰქონდა, ჭილობ გადაფარებული. მელიას კბილებმა კაწკაწი დაუწყო. რა კარგი იქნება, რომ ამ თევზს ერთი ღონივრათ მივაძღვო. ხერხიც მაშინვე მოიგონა. ზაწვა ზედ შუა გზაზედ, კუდი გვერდზედ გადააგდო, ფეხები გაჭიმა, თვალები დახუჭა და სრულიად მკვდარს დაემგზავსა. შივიდა გლეხი ახლოსა, დახედა მელასა და სთქვა: რა კაი დროს მამკვდარა ეს მელია, ჩემ ცოლს ქათიბის ბეწვი აკლდა და შეუსრულდებოა. მოავლო მელიას კუდზედ ხელი, გადისროლა მარ-

ხილში და გადააფარა კილოში. თვითონ ხარს გვერდზედ მოუდგა და გასწია. მელიასაც ის უნდოდა: მარხილი ძირში გახვრიტა და იქიდგან თევზის ყრა დაიწყო. თევზი რომ სულ გადმოყარა, თვითონაც ჩუმათ გამოძვრა. ზღეხი მოვიდა შინ და თავის ცოლს ახარა: თევზიც ბევრი მოგიტანე და ქათიბის ბეწვიცაო. ზადახადა მარხილსა და ცარიელი კი დახედა.

ი რ ე მ ი .

ირემმა ჩაიხედა წყალში და თავის ჩრდილი დაინახა. ძალიან მოეწონა თავისი გრძელი და ტოტიანი რქები. მერმე ფეხებზედ დაიხედა და სთქვა: რა ლამაზი ვიქნებოდი ეს წერილი და თხელი ფეხები რომ არ მაუშნოებდნენო. უცებ გამოხტა ლომი და გაექანა ირმისკენ. ირემი ტრიალ მინდორზედ ისარივით გაეშვა. მაგრამ როცა ტყეში შევარდა, რქები გაეხლართა ხის ტოტებში და ლომმა დაიჭირა ირემი. იღუპებოდა ირემი და ამბობდა: აი შე სულელო ჩემო თავო! რასაც იწუნებდი, იმათ ხიფათს გადაგარჩინეს და რაც მოგწონდა, იმათ კი დაგლუპესო.

რ ა დ რ ო ა ?

ჰაერში სითბო ტრიალებს,
ტყე იმოსება ფოთლითა;
მინდორი მწვანეთ ლაღანებს,
მაზი იღვრება ცრემლითა;
მერცხალი, ახლად მოსული,
მშხით დამღერის ტყე-ველსა;
მდინარე ადიდებული
შმატებს შუილს-ქუხილსა;
ღგება დრო სითბოიანი,
მალხინებელი ყოველისა.

მ უ შ ა რ ა .


მთვარიანი ღამე იყო. სოფლის ტოლი ბიჭები კალო-ზედ იყვნენ მოგროვილნი და ლაზღანდარობდნენ. სანდრომ უთხრა: თქვენზედ ხელის გასვრა არ მინდა, თორემ ყველას ერთათ დაგლახავდითო. ტოლებს გული მოუყიდათ, მისცვიდნენ და სანდრო გალახეს, მერმე მასხარათ აიგდეს: ჩვენ უძღვეველ მღევს გაუმარჯოსო. მთვარიანი ღამე არა ყოფილიყო, მე თქვენ გიჩვენებდითო, უთხრა მუქარით სანდრომა. — რას გვიჩვენებდითო? ჰკითხეს. რასაო? დავიმალებაო.

კ უ ღ ა მ ე ლ ი ა .

მელია მახეში გაება და კული მოიწყვიტა. ახლა რალა მეშველება, ფიქრობდა მელია: სირცხვილით სადღა გამოვჩინდებიო? იფიქრა, იფიქრა და მოიგონა ხერხი,— მოჰკრიფა ყველა მელეები და ასე უთხრა: რა საჭიროა ჩვენთვის კული, ტყუილად გვამძიმებს და სირბილს გვიშლისო; ყველას გირჩევთ კულები ჩემსავით დაიგლიჯოთო. მართმა უფრო ჰკვიანმა მელამ უპასუხა: შეილოსან, მტყუანს ეწიოს გაცხარებული ტყვია, შენ მაგას არ იტყობდი, თუ კულა არ გამხდარიყავიო. ქულა მელამ გაკმინდა ხმა და შერცხვენილი გაიპარა.

რ ა ღ რ ო ა ?

მინდორი გახმა, კორდი გაყვითლდა,
 ჭალა მიყრუვდა, ტყე მთლად გატიტვლდა;
 აღარ დასჭყვივის ტოროლა ველსა,
 აღარც მერცხალი უმღერს სოფელსა;
 აღარ ამშვენებს მტევენები ვაზებს,
 არც აკუნწლია ხილი ხეხილებს.
 ხშირი ღრუბლებით ცა იმოსება,
 ცხოველი სითბო მზესა აკლდება;
 წვიმა წვრილდება, ქარი ცივდება
 და ბუხარშია ცეცხლი გვიტკება.



მონადირე კურდღელი.

მრთხელ დიდი მხეცები ერთათ შეიკრიბნენ და სანადიროთ წავიდნენ. ღაიჭირეს დიდი ირემი, წაქციეს და იწყეს გაყოფა. ზანდა საიდგანლაც კურდღელი, მოირბინა, ყურში პირი დაავლო ირემს და ეწეოდა. შე ბრუტიანო, ნადირობაზედ კი არსად იყავ და ახლა გააქყიტე თვალეზიო? დაუძახეს აქეთ იქიდგან.—ღახე ამ უმადურებსა! მაშ ტყიდგან ნადირი ვინ დაათხზო და ზედ თქვენ წინ ვინ გამოაგდოეო? მოსწრებით უთხრა კურდღელმა. ამ მოსწრებულმა კვებნამ ისე გულიანათ გააცინა მხეცები, რომ ერთი ნაჭერი კურდღელსაც არგუნეს.

მარილი და ღრუბელი.

მარილით დასაპალნებული ვირი წყალში უცებ წაიქცა. მარილი დადნა, საპალნე ბევრათ შემსუბუქდა და ვირი ადვილათ ადგა. ის კარგია, შენმა მზემ, იფიქრა ვირმა,—წყალმა კიდევ გამაგრილა და საპალნეც შემიმსუბუქა; კვლავისათვის ამას კარგად დაეიხსომებ. რამდენიმე დღის უკან ამ ვირს ღრუბლები აჰკიდეს და იმავე გზაზედ წაიყვანეს. შუა წყალში რომ შევიდა, ვირი განზრახ წაიქცა. მგონა საპალნე ახლაც შემიმსუბუქდებაო. ის კი არა, ღრუბლები წყლით გაი-

ქვინთა, საპალნე საშინლათ დამძიმდა. უგუნური ვირი ვე-
ლარ წამოდგა და დაიხრჩო წყალში.—

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი: მიწაში დაბადებულა, შორის ქვეყ-
ნიდამ მოსულა, ერთ მინუტაზე გამქრალა, როცა წყალზედ
დაცემულა. ას მუცლიანი ბებერი სულაც არ ხმარობს საქ-
მელსა, ლოთი კი ისეთი არის, ვერ მოაქარბებ სასმელსა.

მ ა რ ს კ ვ ლ ა მ ს ა .

ამოდი, შუქურ ვარსკვლავო, მანათობელო დამისა!
ამოდი და გამინათე ხშირი სიბნელე ზამთრისა,
თორემ ნამქერში მოგვედები, დაგრჩები დასაძრახისა.

მ ზ ე , ყ ი ნ ვ ა და ქ ა რ ი .

ზღვები გზას მიდიოდა. შემოეყარნენ წინ მზე, ყინვა და
ქარი. ზღვებმა არ იცოდა ვისთვის დაეკრა თავი. ბოლოს ქა-
რი იჩრია და თავი იმას დაუკრა. მზეს გული მოუვიდა და
გლვებს უთხრა: დამაცა, მე შენ დაგხრაკამო. — ნუ გეშინი-
ან, უთხრა ქარმა, მე დაუბერამ და ავაგრილეფო. დამაცა
მე შენ სრულიად დაგძრამო, დაუყვირა წყრომით ყინვამ
გლვებსა. ქარმა უპასუხა: რა დიდ გულზედა ხარ? მე ჩავდ-
გები და უუჩს მოგტეხამო.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

ჩასა ჰქვიან ღლე? ლამე? დამისახელეთ ღლის ნაწილ-
ბი. ჩამოთვალეთ ლამის ნაწილუბი! ღლისით რა ანათებს
და ათბობს ქვეყანას? ლამით კი არაფერი ანათებენ? როდის
უფრო მეტათ ათბობს ქვეყანას მზე: დილით და საღამოთი,
თუ შუადღისას? რათ ათბობს შუადღისას მომეტებულათ და
დილით და საღამოთი ნაკლებათა?

რითი გაიჩრევიან ღლე და ლამე?

როცა ცხელა, იმ დროს რა ჰქვიან? როცა ცივა? რო-
ცა თბილა? როცა გრილა?—ზაფხულსა, ზამთარსა, გაზაფ-

ხულსა და შემოდგომასა რა საერთო სახელი ჰქვიათ?—**შე-
ლიწადის დრონი.** რათა ცივა ზამთარში? ზაფხულში რა-
ლათა ცხელა? როდის არის დიდი დღეები და პატარა ღამე-
ები? დიდი ღამეები და პატარა დღეები? როდისა სწორდება
დღე და ღამე? რითი გაირჩევიან ზამთარი და ზაფხული, გა-
ზაფხული და შემოდგომა?

ბალახს რა თევში სთიბამენ? პურს რა თევში მკიან?
მკათათვეს რა თევ მისდემს? თიბათვე, მკათათვე და მარია-
მობისთვე რომელი დროს თევებია? **ზაფხულის თვეები.**
სიმინდის მოქრა და ყურძნის კრეფვა რომელ თევში იცი-
ან? მაქარს რომელ თევში აყენებენ? ღვინობისთვეს რა
თევ მისდევს? მწკენისთვე, ღვინობისთვე და გიორგობისთვე
რომელი დროს თევებია? **შემოდგომის თვეები.** შრისტეს და-
ბადებას რა თევში ეუქმობთ? ახალი წელიწადი რომელ თევ-
ში ღვება? დიდი ქარები რომელმა თევმ იცის? შრისტიშო-
ბისთვე, იანვარი და თებერვალი რა დროს თევებია?—**ზამ-
თრის თვეები.** თებერვალს რა თევ მისდევს? რომელ თევ-
ში იმოსება მინდორი ბალახითა და ტყე ფოთლითა? რომელ
თევში გაიშლებიან ხოლმე ყვავილები? მარტი, აპრილი და
მაისი რა დროს თევებია? **გაზაფხულის თვეები.** ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული ერთათ რას შეადგე-
ნენ?—

წელიწადს რამდენი დრო აქვს? თვე რამდენილა აქვს?
თვეს რამდენი კვირა აქვს? დამისახელებთ კვირის დღეები!
თვეს რამდენი დღე აქვს? წელიწადსა? დღესა და ღამეს რამ-
დენი საათი აქვს? საათში რამდენი მინუტია? მინუტში რამ-
დენი წამია?

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონა. დილას
ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლათ იქცევი, თუ
ხანი დაგიგვიანდა, სპილენძათ გადაიქცევი. **გაზაფხულისა**
7

თავზედა ხეს ფურცელი გამოუვა. ზაზაფხული დადგაო, ხე-
ში წყალი ჩადგაო, ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი გადგაო.
აგერ მოდის გაზაფხული დედა-მიწის დამფარველი, ააყვავა
ტყე და ველი, მინდორს დასდვა კაი ფერი. თებერვალი ბე-
რავსო, მარტი ტყავსა ჰკერავსო, აპრილი გაჩქარებულა, სახ-
ნის-საკვეთს ფერავსო. მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს
ნურც აქებ და ნურც აძაგებ. ხენაში პირობა სჯობიან მკაში
პირობასა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი .

მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგდო შავი მოზვერი. შვიდ-
ნი ძმანი, ხანით ტოლნი, სახელებით ირჩევიან. თორმეტმა
არწივმა, ორმოც-და-თორმეტმა კაქკაქმა, სამას-სამოც-და-ნუთ-
მა ჩიტმა ერთი კვერცხი დადეს. მართსა აღვისა ხეზედა თორ-
მეტი ტოტი აბია, სცივია და სცივია ფურცელი, ისე იმდენ-
ნი ასხია. მართი რამ ქვეყანაზედ ყოველ თვეს იბადება, მინამ
თვე დადგებოდეს, ის კიდევაცა კედება. შენოთ ლაპარაკობს,
უფეხოთ მარდათ დარბის, კაცთან ხშირათ ბაასობს, თუმცა
უსულთა არის. აბლი, ბაბლი, ვერცხლის ტახტი, მზით ავი-
ლე, მთვარით დავდგი.

მართს ქვეყანას ორთა ძმათა ორთავ ერთი ფერი აქვთო,
მართი მუდამ სიყრმეზედ დგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო,
მართს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთს კი მარტო ტახტი
აქვსო.

ს ა წ მ რ ი .

მრუშათი არის დღე კვირისა... ზაფხული... იანვა-
რი... პარასკევი... ზამთარი... ღილა... მაისი... შუალა-
მე... შემოდგომა... მკათათვე... შუადღე... ზაზაფხუ-
ლი... სტაქანი... ბინდი... შაფათი... არწივი... სალა-
მო... ძაბა... თიბათვე... სამშაფათი... თებერვალი... ხუთ-
შაფათი... მნკენისთვე... აპრილი... საწერელი... ხმა-

ლი... რკინა... ლენობისთვე... ჭვიშნარი... მარტი...
ლამი...

დასწერეთ, რას აკეთებენ გლეხები: ზაფხულში, ზამთარში, გაზაფხულზედ და შემოდგომაზედ?

ღ ა რ ი ბ ი ზ ლ ე ხ ი .

იყო ერთი საწყალი გლეხი. იმის ბედზედ არ მოიპოვებოდა არც სახნავი, არც სათესი, არც კარი და არც ჭერი. წავიდა გზასა. ბადაუხვია მინდორზედ და ჩირგვის ძირში დაინახა მძინარე კურდღელი. აიღო ხელში ქვა და თავის გულში ამბობდა: მოვკლამ ამ კურდღელსა, გავყიდი და იმ ფულით ვიყიდი გოჭსა. ზოქს გავასუქებ, გადიქცევა დედა-ლორათ და დამიყრის თორმეტ გოჭსა. ზოქები გაიზრდებიან, დიდ ღორებთ იქცევიან და თითო მათგანი დამიყრის თორმეტ გოჭსა. ზამიხდება დიდი ფარა ღორისა და მდიდარი შევიქნები. ზეაკეთებ კაი სახლსა, შევიერთავ კაი ცოლსა და ბატონურათ დავიწყებ ცხოვრებასა. მე თვითონ როდილა ვიკადრებ მუშაობასა; დავიჭერ მუშებსა, დავადგები თავსა და დაუყვირებ ხოლმე: „გაისარჯეთ, კარგათ გაისარჯეთ, თორემ მე თქვენ გიჩვენებთ!“ ჩვენმა გლეხმა ეს სიტყვები კარგა მალლა წამოიყვირა. ჰურდღელმა თვალეები ჭყიტა, წამოვარდა და მოუსვა ტყისკენ. ღარჩა ჩვენი ფიქრიანი გლეხკაცი ისეთივე ღარიბი, როგორიც იყო.

ა ნ დ ა ზ ა : ღვინო არსად იყო, ეშმაკები კი ტიკებს ალბობდნენო.

შ ა ნ ა .

შანავ, ჩემო ყანაო, ოქროს გევხარ განაო?
მზე, წვიმა გზღის მალლაო, თავთავს ივსებ ჩქარაო.
ტანათ მაღალი ხარო ალვის ხესავითაო,
როცა ქარი ბერავსო, დელავ ზღვასავითაო.

ზევით მგალობელიო ტოროლა ტრიალებსო,
როგორც ვარდს ბულბულიო, მალლიდგან დაგხარებსო.
ჰანავ, ჩემო ყანაო, ოქროს მგზავსო ყანაო,
რას დაღონებულხარო, თავსა ლუნავ რათაო?
ნამგალს ელი განაო, ყანავ, ჩემო ყანაო!

ოთხი სურვილი.

ნიკომ ყინულზედ პატარა ციგით ბევრი იცურავა, მერმე გაწითლებულმა და გახარებულმა მამასთან მიიღბინა და უთხრა: ახ, რა კარგია ზამთარი! ნეტავი სულ ზამთარი იყვესო. — შენი სურვილი ჩემ ჯიბის წიგნში ჩასწერეო, უთხრა მამამ. ნიკომ ჩასწერა.

ღაღა გაზაფხული. ნიკომ პეპელეებს ბევრი სდია, ბევრი ყვავილები მოკრიფა და ლამაზი კონები შეკრა; მერმე მამასთან მიიღბინა და უთხრა: რა მშვენიერია ეს გაზაფხული! ნეტავი სულ გაზაფხული იყვესო. მამამ ნიკოს ეს სურვილიც თავის ჯიბის წიგნში ჩააწერინა.

მოვიდა ზაფხული. ნიკო და იმისი მამა ყანაში ერთად წავიდნენ. ბავშვი მთელი დღე დიდ სიხარულში იყო: ხან წყალში ბანაობდა, ხან მარწყვსა ჰკრეფავდა და ხან მწყრებს დასდევდა; საღამოზედ რომ მამასთან მოვიდა, უთხრა: უჰ, დღეს მე რამდენი ვიჭეიფე! რა კარგი იქნებოდა, სულ რომ ზაფხული ყოფილიყო! მს სურვილიც ნიკოს მამამ თავის წიგნში ჩააწერინა.

ღაღა შემოდგომა. ბაღები მწიფე ხილით საესე იყო; ვენახებში დამკვრახული მტევნები ვაზებზედ დნებოდა. ნიკომ თავიანთ რთველში ბევრი აკიდოები ასკრა და საღამოთი მამას უთხრა: შემოდგომა ყველა დროს სჯობნებიაო! მაშინ მამამ ჯიბიდგან წიგნი ამოიღო და ნიკოს წააკითხა იმისი ჩაწერილი სიტყვები. ნიკო მაშინ ცხადათ მიხვდა, რომ ყველა დრო თავის რიგზედ კარგი ყოფილა.

გაუმგებული ჩიბი.

ბუშინ გაეულე გალიის კარი
ჩემს დატყვევებულს უცხო ფრინველსა,
და ჩვეულებრივ სიმღერა მტკბარი
მოჰფინა ეშხით ტყესა და ველსა.
ბაფრინდა იგი, შემოაჯდა ხესა,
შესტრფიალებდა მშვენიერ ღღესა.
იმ სიმღერაში მლოცავდა მეცა
ღლისით, ბინდისას, დილით, ღამეცა.

ქოლო და ლომი.

ქოლომ ლომი საომრათ გამოითხოვა. ლომს სიცი-
ლათ არ ეყო. ქოლო გაგულისდა, გაექანა და შიგ ცხვირში
ეცა. დაუწყო მწარე კბენა ტიტველა ცხვირში და ტუჩებში.
ლომს ძალიან ემწარა. დაიწყო ფეხების ცემა ცხვირ-პირზედ,
ეგონა კოლოს მოვარტყამ და მოეკლამო. მაგრამ კლანჭე-
ბით თავპირი სულ დაიკაწრა და კოლო კი ვერ მოიშორა.
ბოლოს ლომი საცოდავით დაქანცული დაეცა მიწაზედ.

ბამარჯვებულმა კოლომ მხიარულის ბზულით გასწია,
მაგრამ ამ დროს უცებ წააწყდა ობობას ქსელსა და შიგ
გაემა. მივარდა ობობა და წუწნა დაუწყო. ქედებოდა კოლო
და ამბობდა: ძრიელ ლომს მოვეერიეო და დახე წუწკი ობო-
ბასაგან კი ვილუპებო.

მარტი და აპრილი.

მარტმა სთქვა: თოვლ-ჭყაპს ვაპირობ, ღმერთო, მიმართე
ხელიო,

ცხვარი და ძროხა გავწყვიტო, არ ვუშვა ჭაკი ცხენიო,
წრანტე, ხეები ავამსო, არ სჭამდეს ტურა, მგელიო.
აპრილმა შემოუთვალა: მარტო, ხარ ჭკუა თხელიო,
სახნის-საკვეთი დავსწკიპოთ, გუთანს ვუმართოთ ხე-
ლიო,

შერემს შევადვით უღელი, შევებათ ყოყინებო, ზერ ქერები დავათაოთ, მერმე ყანებს ყყოთ ხელიო.

ს ა ს ა უ ბ რ ო.

როცა კაცი რასმე ყიდულობს, ფასათ რას აძლევს? რისაგან კეთდება ფულები? რომელი ფულები კეთდება სპილენძისაგან? ბროშა, კაპეკსა, სამ კაპეკსა და შაურსა რა საერთო სახელი ჰქვიათ? **შავი ფული**. რომელი ფულები კეთდება ვერცხლისაგან? შაურიანსა, უზალთუნსა, სამშაურიანსა, აბახსა, ორაბაზიანსა და მანეთსა რა საერთო სახელი ჰქვიათ? **თეთრი ფული**. დამისახელებთ **მძროს ფულელები!** ჩამომითვალეთ **ქაღალდის ფულელები!** მანეთში რამდენი აბაზია? **უზალთუნი?** **შაურიანი?** **ქაპეკი?** **ბროში?** და სხვა.

მს რა არის? **არშინი** რამდენ გოჯათ არის გაყოფილი? რამდენ დიუმიმათა? **სამი** არშინი რას შეადგენს? **საყენს** რამდენი ფუტი აქვს? **მრთ** ფუტში რამდენი დიუმიია? **ხუთი** საყენი რას შეადგენს? **არშინი**, **საყენი** და **ვერსი** რისათვის იხმარებიან? **საზომათა**. ამიტომ რა საერთო სახელი ჰქვიათ? **ზომა**.

მს რა არის? **ბირვანქა**. **მც-და-მეთორმეტე** ნაწილსა გირვანქისასა რა ჰქვიათ? **ლოტში** რამდენი მისხალია? **მრმოცი** გირვანქა რას შეადგენს? **შუთსა**. **მისხალი**, **ლოტი**, **გირვანქა** და **ფუთი** რისათვის იხმარებიან? **საწონათა**. ამიტომ რა საზოგადო სახელი ჰქვიათ? **წონა**. **ლიტრა** რასა ჰქვიათ? **ჩარეკი?** **პურს** რითი რწყვენ? **რვა** ჩანახი რას შეადგენს? **ძოდსა**. **ღვინოს** რითი რწყვენ? **ჩარეკა** რასა ჰქვიათ? **თორმეტი** თუნგი რას შეადგენს? **ჩანახსა**, **კოდსა**, **ჩარექასა** და **თუნგსა** რა საერთო სახელი ჰქვიათ? **საწება**.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

ცალფულში რომ მოატყუო, მანეთსაც აღარ განდო-

ბენ. შუღს ანგარიში უყვარს. სხრაჯერ გაზომე, ერთხელ მოსტერი. აღამიანის გვამში ავთმყოფობა კოდობით შედის და მისხლობით გამოდის.

გ ა მ ო ს ა ნ ა

პატარა და მრგვალი, ღარბის სულ ციხეებში,
მთელს ქვეყანას გარს ურბენს, მუდამ არის საცვალში,
არცა არის საჭმელი, არც სასმელი, საცმელი,
მაგრამ უიმისოთა შესწუხდება ყოველი.

ჩ პ ა რ ა გ ა მ ო ს ა თ მ მ ე ლ ი: საყდარშია თეთრი
მტრელი, ფრთა თეთრი და ფრთა ფარფატი.

ს ა ვ ე რ ი.

მერსი... ლიტრა... ბროში... თიბათვე... შხალთუნი...
ბირვანქა... წიფელა... აბაზიანი... არშინი... ჩანახი... პოლო.
შუტი... პოდი... ლოტი... ხახვი... მისხალი... ბოჯი... თუნ-
გი... დიუიმი... მანეთიანი... ბულებული... ხუთმანეთიანი...
ზღმარტლი... ჩარეკი... ხურმა... მრშაფათი... ზაფხული...
შუადლე... შემოდგომა... ათთუმნიანი.

ღასწერეთ, რამდენი ფულით შეიძლება სამი მანეთის
მითელა?

მ ო ტ მ ი ნ ე მ ა კ ა ი ს ა მ ო ნ ე ლ ი ა.


ერთი მამლაყინწა და ერთი ქათამი დამეგობრდნენ.
სხოვრობდნენ ერთათ და ძმურათა. ერთხელ გაზაფხულზედ
მამლაყინწა ბალში გაიქცა და კუხე მაყვალს კენკა დაუწყო.
ჭათამი უკან დაედევნა და ეუბნებოდა: ნუ სკამ, ძმობილო,

მაგ მწვანე მაყვალსა, მოითმინე, სანამ დამწიფდებოდეს, თორემ გაწყენს. მამლაყინწამ არ დაუჯერა, მაყვალი ბევრი კენკა და გახდა ავათა. ძლივსლა მოაწია შინ. „მაიმე, ვაიმე, — ყვიროდა მამლაყინწამ, — უბედურობა მეწია, ვკვდები, დაო, ვკვდები!“ მათამმა პიტნის ჩაი დააღვინა, ოფლი მოაღინა და თავისი ძმობილი მოარჩინა.

მამლაყინწამ, რომ მორჩა, მაშინვე მინდორში გაიქცა აქა-იქა ირბინა, იხტუნავა, გახურდა და ოფლი დაასხა. ამ დროს წყალი მოსწყურდა და ცივი წყლის დასაღვეათ რუზედ გაიქცა. მათამმა დაინახა და დაუძახა: მოითმინე, ძმობილო, პატარა ხანსა, დაისვენე, ოფლი შეიშრე და მაშინ დალიე წყალი, თორემ გაცივდები და ავათ გახდები. მამლაყინწამ ქათამს არ გაუგონა, დაღალულ გულზედ ცივი წყლით გაძდა და მაშინვე ციებამ ძაგძაგი დააწყებინა. მათამმა ძლივს-ძლივობით შინამდის მოიყვანა, დააწვინა და ექიმთან გაიქცა. ექიმმა მწარე წამლის სმა დააწყებინა. მამლაყინწამ ლოგინში ბევრი იკენესა, მაგრამ საზამთროთ მაინც მორჩა. როცა კარზედ გამოვიდა, რუ გაყინული დაინახა. მამლაყინწამ ყინულზედ ცურაობა მოინდომა, ქათამი კი ეუბნებოდა: დაიცადე, ძმობილო, ჯერ ყინული თხელია, გასქელდეს და მაშინ იცურავე რამდენიც გინდა, თორემ ჩაგემტვრევა და დაიხრჩობი. მამლაყინწამ ახლაც არ გაუგონა თავის ღობილსა და ყინულზედ ცურაობა დაიწყო. შინული ამ დროს ჩატყდა, მამლაყინწამ ჩაეარდა შიგა და დაიხრჩო.

ბერიკაცი და სიკვდილი.

ბერიკაცმა ტყეში შეშა მოაგროვა, დიდი კონა შეჰკრა, წამოიკიდა ზურგზედა და წამოიღო შინ. მანძილი დიდი იყო. ბერიკაცი დაიქანცა, დააგლო ძირს შეშის კონა და სთქვა: ახ, შე ოხერო სიკვდილო, სადა ხარო? სიკვდილი იმწამსვე გაჩნდა ბერიკაცთანა და უთხრა: აი აქა ვარ, რა გინდაო? ბერიკაცი შეშინდა და უთხრა: შეშის აწყვის შეგლა მინდაო.



მ მ რ ც ხ ა ლ ი .

ჩემს ფანჯრის ზევით მერცხალი
ბუდეს უკეთებს შეილებსა;
პირითა მოაქვს ბუმბული,
შეხებით ზიდავს ჩალებსა,
მზის ამოსვლიდამ ჩასვლამდინ
საქმიანობს დღესა მთელსა.
თან დილიდამ საღამომდინ
ამბობს გალობასა ტკბილსა,
საღამოზედ დაისვენებს
სწუყეტავს სიმღერას მაღალსა,
პატარა თავს ფრთის ქვეშ იდებს
და ეძლევა ტკბილსა ძილსა.
მაგრამ რამწამს ირაყრაყებს,
იწყებს კიკჭიკს მხიარულსა,
მინდორსა, ველსა აღვიძებს
და კაცს უხალისებს გულსა.

მართული პატარა ძალი.

მაროს დედა ავით გაუხდა. მკიმმა მწარე წამალი დაუ-
ნიშნა. დედას წამლის დაღევა მეტად ეზიზღებოდა. მარომ
უთხრა: დედილო, გენაცვა, ეგ წამალი მე მამე, შენ მაგიერათ
მე დავლეო.

კეთილი ძმა.

შემოდგომა იყო. მენახში გლეხი მსხალსა ჰკრეფავდა. სანდრო ვენახის კარებთან იდგა და უტკეპროდა. ზღვებმა სანდრო დაინახა, დაუძახა და ერთი დიდი გემრიელი მსხალი მისცა. სანდროს უნდოდა ჩაეკბინა, მაგრამ რაღაც მოაგონდა და შინისკენ გაჰკურცხლა. შინ ამასა ჰყვანდა ავათმყოფი და. „ღედილო, კეკეს მსხალი არ ეკმევა?“ — ჰკითხა სანდრომ დედასა. — როგორ არა, შვილო! — უთხრა დედამა. სანდრო ერთ წამსვე დაიბადა თავის დის ლოგინთან. მისცა მას მსხალი და სიამოვნებით უტკეპროდა, როცა კეკე გულიანათ სკამდა მსხალსა.

ბამგონე პატარძალი.

ღედამ ქალი გაათხოვა და ასე დაარიგა: ყველას გამგონე უნდა იყვე და ყველაფერში უნდა დაეკითხოვო. მართლით დედამთილმა პატარძალი წყალზედ გაგზავნა. რითი მოვიტანო წყალიო? დაეკითხა პატარძალი. ცხრილითაო, ხუმრობით უთხრა რძალმა. პატარძალმა აიღო ცხრილი და გასწია წყალზედა.

ქალის სიზმარი.

ქალმა თქვა: სიზმარი ვნახე დამდეგ ენკენისთვისას: ცა წითლათ—ყვითლათ ელავდა, სეტყვას ისროდა ქვისასა, თავზედ მაქცევდა ჩარდახსა, დახურულ ყავარისასა. წინა სანთელსა მიქრობდა, ჩამოსხმულ კელაპტრისასა; ბალში ხეხილსა მიმტერევედა, დარგულსა ალვის ხისასა, ნეტავ ვიცოდე რა არის—სიკვდილს იტყვიან ქმრისასა?

მამა და შვილები.

მართ ადგილს ჩვეულება ჰქონდათ: კაცი რომ დაბერდებოდა, გოდორში ჩასვამდნენ და კლდეზედ გადაადებდნენ. მართი ბრმა ბერიკაცის შვილებმა მოინდომეს მამისათვის

გოდრის დაწვნა. ბერიკაცს ესმოდა იმათი ლაპარაკი და ჰკითხბა: რას აკეთებთო? შთხრეს: არაფერსაო, გოდორსა ვწნავთო. მიცი ვისთვისაც გინდათო, მაგრამ ისეთიც კი დასწანით, რომ თქვენ შეილებსაც გამოადგესო. შეილები გონზედ მოვიდნენ და მაშინვე ხელი ანებეს ამ საქმესა.

მეფე და მხატვარი.

იყო ერთი ცალ-თვალი მეფე. ჰყვანდა მას ერთი ხელოვანი მხატვარი. მეფეს უნდოდა ამ მხატვრისათვის მიზეზი რამე ეპოვნა. შობანა: უნდა ჩემი სახე დამიხატოვო. სთქვა მხატვარმა თავის გულში: ახლა კი მოვიდა ჩემი უკანასკნელი დღე, თუ ბრმა დავხატო, მომკლავს—როგორ მაკადრეო, თუ ორ თვალი დავხატო, თავს მომკრის, როდის არის ჩემი მგზავსიო. იფიქრა და ეს ღონე მოიგონა: დახატა ირემი, მეფეს ხელში თოფი მისცა, ცალი თვალი დაუხუჭა და დამიზნებული გამოხატა. მთართვა მეფესა. მეფემ მიზეზი ევლარა ჰპოვა და გადარჩა მხატვარი.

ქურდი მკერვალი.

ერთი მკერვალი იყო ძალიან ქურდი. რაც ნაქსოვსა სჭრიდა, ყველასაგან ბევრს იპარავდა. ერთ ღამეს ნახა სიზმარი: პირში ხე ამოსვლოდა, ყველა ნაპარავი ნაჭრები ზედ ეკიდა. ბაეღვიძა, შეშინდა. შეიღოს უთხრა: როდესაც პარვა შემატყუო მაკრატლის ტარების დროსა, ხე მამაგონეო. ერთმა დიდებულმა ოქროს ქსოვილი გამოაჭრეინა. სულმა კიდევ წასძლია და პარვა იწყო. შეიღმა ხე მოაგონა. მწყინა მკერვალსა, მაკრატელი პირში ჩასცა და ეგრე უთხრა: ამისთანა ნაქსოვი როდი ეკიდა იმ ხეზელაო.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

ჩამომითვალეთ ნ ა თ მ ს ა მ მ ბ ი ! მის ეძახით დიდი-დედასა? პაპასა? ბიძასა? დეიდასა? მამიდასა? ბიძა-შვილსა? ძმის-

წულისა? დისწულისა? სიძესა? ჩაღლსა? მისა ჰქვიან დედამითი-ლი? მამამითილი? მაზლი? შული?

მისა ჰქვიან სენა, ნათლისდღა, ნათლისმამა, ნათლია, ნათლული? რა საზოგადო სახელი ეწოდებათ ყველა ამათა? **ნ ა თ ლ ი ე ბ ი .**

სკამებსა, სტოლებსა და ხის ავეჯულობას ვინ აკეთებს? სახლებს ვინ აშენებს? ჩკინის ნიეთებს ვინ აკეთებს? შვებებსა? პარსვა, თმის გაკრეჭა და სისხლის გამოშვება ვინ იცის? შუდებს ვინა ჰკერავს? წაღებსა? ტანისამოსსა? შურჭლის გამკეთებელს რა ჰქვიან? სახეების დამხატავსა? ვერცხლის და ოქროს ნიეთების გამკეთებელსა? შეელა ამათი საზოგადო სახელი რა არის? **ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი .** რა იარაღითა და როგორ ხელოვნობენ: ღურგალი, კალატოზი, მჭედელი, მკერვალი და სხვ.?

რას აკეთებენ: მღვდელი, მასწავლებელი, უეზდის უფროსი, მსაჯული? ამათ რაღა საზოგადო სახელი ჰქვიანთ? — **მ ო ს ე ლ ე ბ ი .**

შეადარეთ ერთმანეთსა: ღურგალი და კალატოზი, მეწაღე და მეჭურჭლე, მღვდელი და მასწავლებელი!

იმ ადამიანს რას ეძახიან, რომელიც მუდამ გარჯილობაშია? **მ ხ ნ ე ს ა .** რომელსაც გლახაკი, ავათმყოფი და ყველა უბედური კაცი ებრალება და შველის? **მ ო წ ყ ა ლ ე ს ა .** რომელიც ყველას წყენას ერიდება? **მ შ ე ი დ ს ა .** რომელსაც თავისი ქონება არავისათვისა შურს? **შ ხ ე ს ა .** რომელიც ყოველთვის სამართლიანათ ლაპარაკობს და იქცევა? **პ ა ტ ი ო ს ა ნ ს ა .** მხნეობას, მოწყალეობას, სიმშვიდეს, სიუხვეს, სიპატიოსნეს რა საერთო სახელი ჰქვიანთ? **ს ა თ ნ ო ე ბ ა ნ ი .**

როგორ ადამიანს ჰქვიან ზარმაცი? შურიანი? სრუ? ბოროტი? ძუნწი? შურდი? ამპარტევანი? სიზარმაცეს, სიშურეს, სიცრუევს, სიბოროტეს, სიძუნწეს, სიამპარტევნეს რა საერთო სახელი ჰქვიანთ? **ბ ი წ ი ე რ ე ბ ა ნ ი .** შეადარეთ ერთ-

მანეთსა: სიზარმაცე და მხნეობა, უხეობა და ძუნწობა, სიმშვიდე და სიბოროტე.

ანდაზები.

აჲი შვილი დედ-მამის მაგინებელია. ძარგი შვილი დედის გულის ვარდიაო. შვილმა რომ დედის გულისათვის ხელის გულზედ ერბო-კვერცხი მოიწვას, მის ამაგს მაინც ვერ გადაიხდის. ძმა ძმისთვისა, ამ დღისთვისა. მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამოიხანე. მართი თხილის გული ცხრა ძმათ გაიყვეს. ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევე ძმები იყვნენ. ის ურჩევიან მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა. ჭალსა დედა გაუშინჯე, სამოსელსა ნაწიბური. როგორიც მღვდელიო, იმისთანა ერიო.

მეჭურჭლეს საითაც უნდა, ყურს იქით გამოაბამს ჭურჭელსა. აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი, ორივე ქურდები არიან. ზარმაცისათვის ყოველ დღეს უქმეა. სულათ ყოფნას, ცუდათ შრომა სჯობიან. შურდი ფიცზედ მზათ არის. შურდმა ერთი ცოდო ჰქნა, დამკარგავმა ათასი. შურდს რა უნდა და ბნელი ლამეო.

გ ა მ ო ს ა ნ ე ბ ი.

ის რა სულიერია, რომ დილით ოთხფეხზედ დადის, შუადღისას ორზედ და საღამოზედ სამზედ? ის ვინ არის, სულ არ არის, არც თავისთვის, არც სხვისათვის; რასაც იზოვნის, ინახავს იმ ერთი შავი დღისათვის. არც თავის თავზედ დახარჯავს, არც სხვაზედ, არცა ღვთისათვის; გადაბრუნდება, მოკედება, დარჩება ეშმაკისათვის?


ჩ ძ ა რ ა გ ა მ ო ს ა თ ი მ მ ე ლ ი: თათარი თეთრ თუთას თეთრ თეფშზედ ჰყრიდა.

ს ა წ ე რ ი.

პაპა... სენა... ღალაქი... მასწავლებელი... ბეჯითობა... შურდობა... მარიამობისთე... მოწყალება... მღვდელი... ღურგალი... ნათლიმამა... რძალი... უზალთუნნი...

მული... ქალატოზი... მსაჯული... ძირკიტა... სიუხვე... სი-
შურე... ღოში... სიპათიოსნე... სიძე... მხატვარი... სიმშვი-
დე... შერცხლი... მარტი... კომბოსტო... ჩაი... სამყური...
შკედელი...

ღასწერეთ, რისაგან და როგორ აშენებს ქალატოზი სა-
ხლებსა?



ფუტკარები საზოგადოებად.

ღადგა გაზაფხული; თოვლი მზემ მინდვრებში გააქრო. ბაყეითლებულ შარშანდელ ბალახებში ჩნდებოდა ნორჩი, მწვანე ყლორტები. აოკრები ხეებზედ იშლებოდა და გამოჰქონდა ახალგაზდა ფოთლები.

აგერ ფუტკარი გამოერკვია თავის ღრმა ზამთრის ძი-
ლიღგან, გაიწმინდა თვალეები თავის ბანჯგელიანი ფეხებითა
და გააღვიდა თავისი ამხანაგებიც. ზამოიხედეს ერთათ გარეთ
შესატყობლათ: მოშორებიათ თუ არა თოვლი, ყინული და
ცივი ქარი?

შუტკრებმა ნახეს, რომ მზე ცხადათ ანათებს, ყველგან
ნათელა და თბილა; გამოძერნენ სკებიღგან და გასწიეს ვა-
შლთან ბზუილ-ბზუილით.

— მაშლო, ვაშლო, შესძახეს ფუტკრებმა, — ხომ დასა-
ნაყრებელი არაფერი გაქვს საწყალი ფუტკრებისათვის? ჩვენ
მთელ ზამთარს შიმშილში ვიყავით.

— ჯერ არა, უპასუხა ვაშლომა, — თქვენ ძალიან აღრე

მოფრინდით; ჩემი ყვავილი ჯერ ისევ კოკორშია დამალუ-
ლი. აბა სცადეთ და ბალთან მიდით.


მიბზუილდნენ ფუტკრები ბალთანა. — საყვარელო ბა-
ლო, ყვავილი ხომ არ გექნება ფუტკრებისათვის?

— ხვალ იკითხეთ, მეგობრებო, უპასუხა ბალმა: დღეს
არც ერთი ყვავილი არა მაქვს გაშლილი და როცა გამე-
შლება, დიდის სიამოვნებით გაგიმასპინძლდებით.

ბასწიეს ფუტკრებმა ტიულპანთანა; ჩაჰხედეს მის
ქრელ თავში, მაგრამ სუნსაც მოკლებული იყო და თაფლ-
საცა.

დაღონებული და დამშეული ფუტკრები შინისკენ აპი-
რობდნენ გამობრუნებასა, მაგრამ ამ დროს ჩირგვის ქვეშ
დანიახეს ნაზი მუქ-მწვანე ყვავილი; ეს იყო ია. იამ გაღუ-
შალა ფუტკრებს თავისი ყვავილი, რომელიც საესე იყო მშვე-
ნიერი სუნითა და ტკბილი წვენითა. სვეს, სჭამეს ჩვენმა
ფუტკრებმა და გახარებულებმა გამოსწიეს შინისკენა.

კუ და მორიელი.



მრთი კუ და ერთი მორიელი დამმო-
ბილდნენ; წავიდნენ გზასა. მასავალი წყა-
ლი დახვდათ. მორიელი დაღონდა, გას-
ვლა არ შეეძლო. აქუ უთხრა: ზურგზედ
შემგეჭქ, მე გაგიყვანო. შეაჯდა მორიე-
ლი ზურგზედა. აქუ რომ წყალში შეცურ-
და, მორიელმა კისერში კბენა დაუწყო.

აქუ ჰკითხა: ძმაო, რასა იქო? მორიელმა უთხრა: რა ვქნა,
არც მე მინდა, მაგრამ ასრეთი გვარისანი ვართ: მტერსა და
მოყვარეს ყველას უნდა ვკბენდეთო. აქუ დაიყურჭუმელავა,
მორიელი წყალს მისცა და უთხრა: ძმაო, არც მე მინდა.
მაგრამ ჩემი გვარი, თუ დაშხამულ ხორცს არ გაიბანს, გა-
სივლება და მოკვდებაო.

ბავშვის სიზმარი.

„ალვის ხე წამოქცეულა, ნეტავ, დედავ, რააო?“

— ის ხომ შენი ტანი არის, უი შენ დედასაო!

„შტოები ჩამოსციენია, ნეტავ, დედავ, რააო?“

— ის ხომ შენი მკლავებია, უი შენ დედასაო!

„ორი მტრედი შემომჯღარა, ნეტავ, დედავ, რააო?“

— ის ხომ შენი თვალებია, უი შენ დედასაო!

„მრთი ჩიტიც მოფრინავდა, ნეტავ, დედავ, რააო?“

— ის ხომ შენი სული არის, უი შენ დედასაო!

„წყალს კიღობანი მოჰქონდა, ნეტავ, დედავ, რააო?“

— ის ხომ შენი კუბო არის, უი შენ დედასაო!

შვავი და მელია.

შვავმა საცადა იზოვნა ყველის ნაჭერი. შემოჯდა ხეზედ და შეცმუტუნას აპირებდა. შვავის საუბედუროთ ახლოს მელა დაცანცალებდა. შველის სუნი ეცა ცხვირში და უტებ შეაყენა. მელიას კბილებმა კაწკაწი დაუწყაო. მე თუ ყვაჩაღას ეს ყველი არ გამოეცინცლე, მაშ რალა მელია ეიქნებოო, სთქვა მელიამ. შეხის თითებზედ დადგა, მიიპარა ხის ძირში და ტკბილის ხმით შესძახა ყვავსა: უჰ, გენაცვა, რა მშვენიერი ყოფილხარო! ხმაც უთუოთ ანგელოზისა უნდა გქონდესო; თუ გალობაც კარგი იცი, ყველა ფრინელების მეფე იქნებოო. შვავს ქებისაგან თავბრუ დაეხვა, გალობის გამოჩენა მოინდომა, დაალო პირი და დაიყვირა: „ყვა“. შველი გავარდა პირიდან და მელიას წინ დაეცა. სტაცა მელიამ პირი და სულელი ყვაეი პირცარიელი დაანარჩუნა.

ანდაზა: პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულია.

მანისის დილა.

ამომავალმა მზემ წითლათ შეღება მთისა წვერები, შესძრა ყოველი სულდგმული, ააჭიკჭიკა ფრინელები;

ათას ფრათ გადაიშალნენ დანამული ყვაეილები,
მინდვრებისკენ სამუშაოთ გამოიშალნენ გლეხები.
მემცხვარემ ცხვარი შეშალა ამწვანებულსა სერზედა,
პატარა მებრემ შესძახა დილის ლექსი გუთანზედა.
ზოგმანა მწყერმა გააბა ჭუჭყუკი მალალ ყანაში,
ტოროლამ დაუზარელმა მოართო გალობა ზეცაში.
ტიიდან მოისმის ბუღბუღლის სტეენა მეტათ საამური,
თითქო მას ბანს ეუბნება სოფლის მწყემსის სალამური.

ხურმა და მწყემსი.

ზაღდად ქალაქს წესი იყო: მეხილესთან რომ კაცი მი-
სულიყო და ორი ფული მიეცა, რამდენიც უნდოდა, იმდენს
ხურმასა სჭამდა.

მართი გარეშე მწყემსი მივიდა მეხილესთანა, მისცა გან-
წესებული ფული და დაიწყო ხურმის ჭამა. ჩქარა გაასალა
ორი აბაზის ხურმა. მეხილემ უთხრა: ძმაო, ბევრს ნუ სჭამ,
გულს დაგწვავსო. — შენ ჩემზედ ნუ სწუხარ, ვისაც გული
დაეწვის, მე ვიციო,—უთხრა მწყემსმა.

ჩხუბი ადამიანის ასოებისა.

მრთხელ ადამიანის ასოები წაიკიდნენ. შეხებმა სთქვეს:
აღარ გვინდა თქვენი ტარება, თუ კარგია თქვენ თვითონ
იარეთო. ხელები ამბობდნენ: ამდენი მუშაობა აქამდინაც
გვეყოფო, თქვენ თვითონ იმუშავეთ, თუ კარგიაო. პირმა
წაიბუტბუტა: განა სულელი ვარ მუდამ გავათ—გაჭამოთო,
აღარ მინდა თქვენთვის საჭმლის ღეჭვაო. თველებმა სთქვეს:
მოგვწყინდა ამდენი თქვენი ყარაულობა, აღარ გვინდა ცქე-
რაო. ასე შესწყვიტეს ერთმანეთის სამსახური ადამიანის ასო-
ებმა. მაგრამ რა გამოვიდა აქედგანა? ყველა ასო დასუსტდა
და სხეული სულ ჩამოხმა. მაშინ ასოები მიხვდნენ, რომ
ჩხუბით ისინი ერთმანეთს დალუპავდნენ, შერიგდნენ, ერთმა-
ნეთის დახმარება იწყეს და შეიქნა მთელი სხეული უწინდე-
ლსავეით სალი.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

ადამიანის სხეულის ზემო ნაწილს რა ჰქვია? შუა ნაწილსა? ტანზედ ქვემოთ რა ასხია? ზემოთა? დამისახელებთ **თავის ნაწილები!** საქოჩრე, კეფა, პირის-სახე, ყურები, საფეთქლები.

თავი რითი ერთდება ტანთან? ჩამომითვალეთ **ტანის ნაწილები!** მკერდი, მუცელი, ფერდები, ზურგი, ბეჭები, ხერხემალი. დამისახელებთ **ხელის ნაწილები!** მხარი, მკლავი, ნიდაყვი, მაჯა, ხელის სავარცხელი, ხელის გული, ზურგი, თითები. რა სახელები ჰქვიათ ხელის თითებსა? ჩამომითვალეთ **შახის ნაწილები!** ბარძაყი, მუხლი, კანჭი, წვივი, კუნთი, კოჭი, ქუსლი, ფეხის სავარცხელი, ფეხის გული, თითები.

მიჩვენეთ შუბლი! შუბლის ქვემოთ რა ნაწილებია? წარბების ქვემოთ? თვალებ შუა რა ნაწილია? ცხვირის აქეთიქით ხორციან ადგილებს რა ჰქვია? ცხვირის ქვემოთ რა ნაწილია? პირის ქვემოთ? შუბლი, წარბები, თვალები, ცხვირი, პირი, და ნიკაპი რის ნაწილები არიან?—**პირის-სახის ნაწილები.**

საქმელს რითი ღეჭავთ? ძბილებს გარედგან რა აფარია? რაში სხედან კბილები? რამდენი ყბა აქვს ადამიანსა? ძბილების ძირს რომ ხორცი ფარამს, იმას რა ჰქვია? პირში რა ძეგს? მნის ზემოთ რა ნაწილია? ძბილები, ტუჩები, ყბები, ღრძილები, ენა და სასა რის ნაწილები არიან? **პირის ნაწილები.** წამწამები, ქუთუთოები, კაკალი, გუგა და ბაია რის ნაწილები არიან? **თვალის ნაწილები.** დამისახელებთ **ცხვირის ნაწილები!** ადამიანის ხორცი რაზედ აკრავს? ხორცში მსხვილი ძაფებივით რა არის წასულ-წამოსული? ძარღვებში რა სდგას? როგორი ფერისაა სისხლი? რა ზრდის ადამიანის სხეულსა?—

ა ნ დ ა ზ ე ბ ი .

აეიფურთხე, უღვაჴს მოხვდა, დავიფურთხე წვერს მოხვდაო. ზევრი ხელის ჭირიმე და ერთი პირისაო. რომელი თითიც უნდა მამჭრა, ყველა მეტკინება. საჭმელს თვალი სჭამს. მუცელი ჩემ ქვევით არის და არა ჩემ ზევითა. მუცელს აქორებ, ქორია, აღორებ, ღორია: მეგობარს პირში უძრახვენ, მტერს პირს უკანა. ნიდაყვი ახლოა, მაგრამ ვერ უკბენ. ხელმა ხელი დაბანა, ორივემ პირი. ჴამა ქონებაზედ ჰკიღია. სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინება. მინამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მამჭრა. ზველს სოროდგან გამოიყვანს ენა ტკბილათ მოუბარი. ძბილი ტკბილია, მაგრამ, როდესაც აღამიანს შეაწუხებს, მოიგლეჯს და გადაადგებს. შაჩალი კაი ექიმი იყვეს, თავის თავს მოიჩჩენს. მეთრი კბილი, შავი გული.

გ ა მ ო ს ა ნ ე ბ ი .

ღრი ფრინველი ჩემთანა დაბადებითა სხდებიან, რამწამა მოვლენ ჩემთანა, იმწამსვე გაფრინდებიან. წინ ჴურგი, უკან მუცელი. მრთი თახჩა მაქვს, სულ კენჭებით არის გამოტენილი. მრთი ერღო მაქვს, ჴამთარ-ჴათხულ ბალახით არის შემოსილი. მრთი ბოსელი მაქვს, ეწვეტე, ეწვეტე, ვერ დავხვეტე. მრთი პირსახოცი მაქვს, ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე. ორ ბოსელს ერთი ბოძი უდგია. ღვეაწყვიტე, ველარ აღგა. ოთხსა დედასა ხუთხუთი ჴყავთ შვილები, ტოლნი ხნითა, სახელი ერთი არქვიათ, განირჩევიან ტანითა. ხე ბრუნდი და ხე მართალი, აზია ხუთი მარცვალი.

ჩქარა გ ა მ ო ს ა თ ქ მ ე ლ ე ბ ი : ერთსა კაცსა ბლისკინელსა ბლის კალათით ბლის ხიდზედა ბალი გააქვს და გამოაქვს. ბაყაყი ტყეში ყიყინებს.

ს ა წ ე რ ი .

ქეთა არის ნაწილი თავისა... ჴუსლი... საფეთქე-

ლი... ნიკაპი... პირის-სახე... ლოყა... საქოხრე... ტერ-
ფი... ლრძილი... ნესტო... წარბი... შუთუთო... მნა...
ბუგა... ტუჩები... წამწამები... კბილები... მკერდი...
შბა... ბეჭები... ნიდაყვი... სასა... ძოჭი... ბაია... მუხ-
ლი... მაჯა... ხერხემალი... შურები... მუცელი... ბარძა-
ყი... ჭიპი... ძუნთი... მხარი...

ღასწერეთ, რითი გვანან ერთმანეთსა ხელი და ფეხი და
რითი გაირჩევიან?—

თხა და მელა.

ერთი თხა და ერთი მელა დაძმობილდნენ და საზიაროთ ყანა დათესეს. ძალიან კარგი ყანა მოვიდა. მომკეს, გაღეწეს და განიავეს. ხვავი ცალკე დააგროვეს და ბზე ცალკე. მელამ უთხრა თხასა: ხვავი მე და ბზე შენაო. თხამ უთხრა: არა, სამართალი ეს არის: ორივე შუა გავიყოთო. მელამ უთხრა: მაშ მე წავალ, ბიძა ჩემს მოვიყვან და იმან გავიყოსო. მინამ მელა ბიძას მოიყვანდა, თხა წავიდა, ცხერის ფარიდგან ორი დიდი ქოფაკი მოიყვანა და ბზეში დამალა. მოვიდა მელა, ერთი ისეთი მგელი მოიყვანა, თხას შიშისაგან თვალეზი დაუბნელდა. უთხრა მგელმა თხასა: ჩემს დისწულს რატომ აჩივლებო? თხამ უთხრა: მაშ რადგანაც მოწმათ მოჰყოლიხარ, მეც მამა-ბიძა აქ მისაფლავიან, მათ საფლავზედ შედექი, ისულე და მართალი მოწამე იქმნებიო. მგელმა რომ თხის შეჭმა მოინდომა, წამოხტნენ ძალები, მელა და იმისი მოწამე ისე გახადეს, შარშანდელიც დაავიწყეს, არამც თუ წლებიანდელი ეშოვნათ.

მელია და ქოთანი.

ზღეხი ყანასა მკიდა. სოლმა სადილათ ერთი ქოთანი მაწონი მოუტანა და ძნასთან დასდგა. მელია საიდგანლაც გაჩნდა, ქოთანს მიეპარა, ჩაჰყო შიგ თავი და სასწრაფოთ



სულ ამოსვლია. მაწონი რომ გაათავა, თავი ამოიწია, უნდა ამოელო და მოეკურცხლა, მაგრამ—დახე ხიფათსა—თავი შიგ გაეჭედა და ველარ ამოილო. მელია დადიოდა, თავს იქნევდა და ქოთანს ეუბნებოდა: „კარგია, ქოთანო, მაგდენი ხუმრობა გეყოფა, ახლა გამიშვი.“ მაგრამ ქოთანი მელიას არ ეშვებოდა. მელია გაჯავრდა: მოიცა, შე დაწყევლილო ქოთანო, მე შენ რა გიყო, არ გინდა შენთავათ მომშორდე და მიყურე, როგორ დაგახრჩოეო! მელია მდინარისაკენ გაიქცა, ქოთანი შიგ ჩააყურჭუმელავა, თავის ჭკუაში უნდა დაეხრჩო; ქოთანი წყალმა მართლა ჩაძირა, მაგრამ ქოთანმა გელაღ ჩაიტანა.

გიორგობისთვის ღღე.

ღრუბელი გადაეფარა
 მზესა, სითბოს მოკლებულსა,
 ცივმა ქარმა დაუბერა
 ღვდამიწას დაჩრდილულსა.
 შოთლები გაყვითლებული
 ურიცხვი სცივია ხეებსა,
 შარი გაძრიელებული
 აკეთებს მათგან გროვებსა.
 მდინარე აღელვებული
 მიხუის გაჯავრებითა,
 ტყე, თითქმის გატიტვლებული,
 ძენესის საცოდავის ხმითა.

სა, ძირამდის მოღრუბლული,
 ხშირსა წვიმას იმუქრება.
 შესწუხდა ყველა სულდგმული,
 ბრძნობს, რომ ავი დარი დგება.
 შრინველები მობუზულნი
 მიიყუენენ ტყე-მინდორში,
 თევზები შეშინებულნი
 ჩაიმაღნენ წყლისა ძირში.
 სუსხ-მიცემული გლეხები
 სახლებისკენ გაეშურნენ,
 ბააძრიელეს ბუხრები,
 ბარეშემო შემოუსხდნენ.

კატა და კატარა ლომი.

ერთი კატა დაიარებოდა. ნახა ერთი მომკვდარი ძუ ლომი. მას დარჩენოდა ერთი ლეკვი. წაიყვანა კატამ და ზრდა დაუწყო. როცა ლომის ლეკვი გაიზარდა, დაიწყო ნადირობა და ნადირის ქამა. ერთ დღეს ნადირი ვერ იშოვნა, თავი-

სი გამზდელი კატა მოინდომა შესაქმელათა. ძატამ შეუტყო და ხეზედ ავარდა. ლომი ძირს წამოუწვა და შესძახა: ჩემოდედის უსაყვარლესო გამზდელი, ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზედ ასელა რატომ აღარ მასწავლეო? ეს ჩემთვის შევიანახე, როცა ასე გამიჭირდებოდა, მომხმარებოდაო.

შ რ უ ბ ე რ ი კ ა ც ი.

შემოეყარა გლეხი ბერიკაცსა. საით მიდიხარ, ბიძიაო? ჰკითხა გლეხმა.—ზაგიმარჯოსო, უთხრა ბერიკაცმა.—შრუ ხომ არა ხარო?—ძალაქში ვიყავიო.—მშვიდობით კარგათაო.— შქვილი გაეყიდეო.—

კოჭლი და ბრმა.

პოჭლი და ბრმა მიდიოდნენ. მიაღვნენ ერთ მდინარესა. ზასელა ვერ მოახერხეს და დალონებულები დასხდნენ წყლის ნაპირზედ. წაადგა თავსა მესამე მგზავრი. რას დაძმარებულხართო? ჰკითხა. უთხრეს:—როგორ არ დავღონდეთ, ერთსა უფეხობა უშლის გასელასა, მეორეს უთვალობაო. უთხრა მგზავრმა: ერთმა მეორისაგან ფეხები ითხოვოს, სამაგიეროთ თვალები ათხოვოს და ორივე იქით ნაპირს გახვალთო. მართლა ბრმამ კოჭლი ზურგზედ შეისვა, კოჭლმა გზა უჩვენა და მშვიდობით გავიდნენ იქითა ნაპირსა.

ვიხსდომი ბრმა.

თვალხილულმა ბრმასთან დაიკვება: დღეს მე რძით კარგათ გავძეხიო. როგორია რძეო?—ჰკითხა ბრმამა.— ზემრიელია და თეთრიო.— თეთრი როგორილაო?— თოვლისთანა არისო.— თოვლი რაღა არისო? — ბატისთანაო.— ბატი როგორილაო? თვალხილულმა დაინახა, რომ ბრმას თეთრ ფერს ვერას გზით ვერ აუხსნიდა, თავისი მკლავი მოიკაკვა და უთხრა: აი ამისთანააო. ბრმამ ხელი მოუხსვა და უთხრა: ახლა კი მიეხვდი, როგორი ფერისაა რძეო.

ერთი და ორი.

შენ პირი ერთი გაქვს, ყური კი ორი; რისთვისა? შენვე მიხვდი: ბევრი ისმინე, ცოტა იყბედე.

პირი ერთი გაქვს, თვალები კი ორი; რათა? იმიტომ, რომ ორჯელ გაშინჯო და ერთხელა სთქვა.

პირი ერთი გაქვს, ხელები კი ორი; რათა? იმიტომ, რომ ბევრი იმუშაო და ცოტა სჭამო.

მგელი და მემცხეპარეზი.

ერთხელ გარსა უვლიდა ფარებს მშვიერი მგელი,
უნდოდა, რომ გაეძლო ხოკიანი მუცელი.
წნულის მაღალ ღობეზედ შესდგა წინა ფეხებით,
ღაინახა შორიდგან ანთებული თვალებით:
შელ-გამოჭრილი ცხვარი ეგდო საცოდავათა,
ღანებით ატყავებდნენ მემცხეპარენი წყნარათა,
მათ შორი ახლო მშვიდათ იწუნენ დიდი ძაღლები,
სიამოვნების ნიშნათ ენძრეოდათ კულები.
ჩვენი გაუმადლარა გაკაპასდა, გაბრაზდა,
ღრენით წაიდუდუნა, როცა უკან გაბრუნდა:
აბა მე მექნა ესა, რა ღრიანცელს ასტეხდნენ,
შეფვით და კომბლებითა სჯულამდის მამყევბოდნენ.

ს ა ს ა უ ბ რ ო.

რითი ხედავთ? თვალებით. რითი ისმენთ? შურებითა.
რითი გრძნობთ გემოსა? მნითა. სუნსა? ცხვირითა. რითი იგებთ
სირბილესა და სიხმელესა? ძანის შეხებითა. მხედველობასა,
მსმენელობასა, გემოვნებასა, სუნელობასა და შეხებასა რა ჰქვი-
ან? **ხ უ თ ი ბ რ ძ ნ ო ბ ა**. თვალებსა, ყურებსა, ენასა, ცხვირსა
და სხეულის კანსა ჰქვიან გრძნობის სახსრები, ანუ ორგანოები.

მე ვამბობ: ბალახი მწვანეა, ცა ლურჯია, მელანი შავია,
რძე თეთრია, სისხლი წითელია, რომელი გრძნობით ვიგებთ
ამასა? მხედველობითა.

ზარის რეკვასა, წყლის შუილსა, სიმღერასა, გალობასა, ჭიკჭიკსა, ძახილსა, ბღავეილსა, რომელი გრძნობით ვიგებთ? მსმენელობითა.

რომელი გრძნობა მატყობინებს ქუხილსა? სიმწვანესა? ტკაცანსა? ლაპლაპსა? ჰყვირილსა? სინათლესა? სიწითლესა? ჩურჩულსა? სიყვითლესა? სითეთრესა? სტვენასა?

მე ვამბობ: ვარდს კარგი სუნი აქვს, ლეში ყარს, დამწვრის სუნი მოდის, რომელი გრძნობით გავიგე ესენი? შნოსვითა.

რომელი გრძნობა მატყობინებს რახუნსა? სიკმახესა? სილამაზესა?

მე ვამბობ: შაქარი ტკბილია, კომში მქავეა, ბოლოკი მწარეა, მარილი მლაშეა,—რომელი გრძნობით გავიგე? რომელი გრძნობით ვტყობულობთ მორთულობასა? შეფასა? სიმქავესა? სიმწარესა? სიტკბილესა? საკმლის სუნსა?

მე ვამბობ: ფიცარი ხმელია, ბუმბული რბილია, ყინული ღიპია, თოვლი ცივია, თონე თბილია, რომელი გრძნობით გავიგე ესენი?

რომელი გრძნობა გვატყობინებს დანის სიჩლუნგესა? ხანჯლის სიმჭრელესა? პიტნის სუნსა? ძალადის ფერსა? ტეცხლის სითბოსა? წიწილის წივილსა? ზამთრის სიცივესა? ძმრის სიცხარესა?

ა ნ დ ა ზ ე ბ ი .

თვალეზ შუა რომ ცხვირი არ იყვეს, ისინიც ვერ მორიგდებიან. ბრმას რა უნდა და ორთავ თვალეზიო. როგორც თვალი შორს, ისე გული შორს. ბრმა ღობეს მიადგა და უთხრა: შენს იქით გზა არსაით მაქვსო. ბრმათა შორის ცალთვალიო არს პირველი სარდალიო. შრუსთვის ორჯელ როდი სწირვენ.

გ ა მ ო ტ ა ნ ე ბ ი .


მართი მოლაპარაკე, ორი მცქერელი და ორი მსმენელი

ერთ კვახზედა სხედან. ორ ქალას და ერთ გზას ქვეშა ორნი შავარდენნი სხედან. ცხვირსა გარშემო ეხვევა, ხელი კი არ ევლება. ის რა მხედარია, რომ ცხენზედა ზის და თავის ფეხები ყურებზედ აქვს გაწყობილი. მის უნდა ცალთვალი იყვეს?

ჩქარა ბამოსათქმელი: დედა, რამან დაგაბერა, რამან დაგადედაკაცა?

ს ა წ ე რ ი.

‘დასწერეთ, რას გვატყობინებს მხედველობა, მსმენელობა, გემოვნება, სუნელება და შეხება?’



ვირი და აქლემი.

ერთი აქლემი და ერთი ვირი, ზურგებ დალღეტილები, დამოზობილდნენ და გაექცნენ თავის პატრონსა. ბავიდნენ კარგ იალალზედ, მთა და ბარზედ იბალახეს და დასუქდნენ. თავისი უწინდელი სიმკლევე და სიდამბლე სულ დაავიწყდათ. ვირი ქეიფზედ მოვიდა და უთხრა აქლემსა: ძმაო, სიმღერა მინდა ვსთქვა და კაი ბანი მამეციო. აქლემმა დაუშალა: ნუ, ძმაო, აღარ გახსოვს, რა ჭირში ვიყავით? ერთიც ენახოთ, ახლო კაცები იყვნენ, ჩვენი ხმა შემოავსმათ, მოვიდნენ, წა-

გვიყვანონ და უარესი გვიყონო. შირმა არ დაუჯერა და და-
იყროყინა. მეტათ მალალი სიმღერა მოუყიდა. ახლო თურმე
მგზავრები იყენენ; აქლემები და სახედრები დასცვივნოდათ,
ვირის ხმა შემოესმათ, ძალიან გაუხარდათ და სთქვეს: წავი-
დეთ, ვნახოთ, ან სოფელი იქნება, ან ქარავანი, ეგება ულა-
ყი გვაქირაონო. მივიდნენ, ნახეს ერთი აქლემი და ერთი ვი-
რი დასუქებულეები უპატრონოთ იყენენ; წაასხეს და ორთა-
გეს მძიმეთ აჰკიდეს. ძარგა გზა რომ გაიარეს, ვირი დავარდა.
ძაცებმა აიღეს ვირის საპალნე ვირიანათ აქლემს აჰკიდეს.
სოტა რომ წაიარეს, ერთი ვიწრო გზა დახედათ; გვერდით
დიდი გადასავარდნელი კლდე იყო. აქლემმა უთხრა ვირსა:
ძმაო, მინდა დაეგორდე და სამაია-ცეკვა დაუუაროეო. შირმა
უთხრა: რა საცეკვაო ადგილიაო? აქლემმა უთხრა: იმისთანა
ადგილის სიმღერას ამისთანა ადგილის ცეკვა უნდაო. მაჯავრე-
ბული აქლემი გაღიზნია, სულელი ვირი კლდეზედ გადააგ-
დო და დაჩეხა.

ჩიტები და ქორი.


ერთი ამ ჩიტებს შეჰხედეთ, როგორ სწეწენ ერთმა-
ნეთსა,
პაწაწა მარცელის გულისთვის როგორ იკლავენ თა-
ვებსა?

ნისკარტითა და კლანჭებით ერთმანეთს ჩასციებიან
და ბურტყლებს იმდენს აგლეჯენ, მინამ არ დაიბნე-
დიან.

ხის წვეროზედ მჯდარი ქორი მათ დასცქერის ალტაცე-
ბით

და, რა ნახავს დაქანცულთა, დააფრინდება კლანჭებით.
ძაცის ენა რომ ესმოდეთ, მაქვს ჩიტებთან სათხოვა-
რი:

სჯობს ერთმანეთს ხელი მისცეთ, არ ახაროთ თქვენზედ
ქორი.



მკრი მებობარი და დათვი.

მკრი მებობარი მიდიოდა გზასა. წინ დახედათ დათვი. მართი მაშინვე ხისკენ გაექანა, საჩქაროთ ავიდა ზედა და იქ დაიმალა. მეორე რომ მარტოკა დარჩა, მიწაზედ დაეცა და თავი მოიმკვდარუნა. მოვიდა დათვი და ყური დაადო. ძაცმა სული შეიგუბა, იცოდა, რომ დათვი მკვდარს არას ერჩის. მართლა დათვმა არა დაუშავარა და თავის გზაზედ წავიდა. მაშინ ხიდგან მისი ამხანაგი ჩამოვიდა და ჰკითხა: დათვი ყურში რას გეჩუროს? — ის მე მიჩვენა, კვლავ ნულარ წახვალ იმისთანა მებობართან, რომელმაც გაჭირების დროს დალატი იცისო.

ანდაზა: მებობრის მოლალატე ეშმაკის კერძიაო.

მახუში გაბმული ჩიტი.

გამოვუბი.

მჰე, გაები, ჩიტო ლამაზო,
ჩენს დაგებულსა ძუის მახეში!
აღარ გაგიშვებთ, ცქვიტო, მალხაზო,
რაკი ჩავარდი შენ ჩენსა ხელში.

ჩიტი.

ახ, რათ გამაბით წყეულ მახეში,

სახარბიელო რა ნახეთ ჩემში?
არა, გეთაყვა, გამიშვით კარში,
რომ ვისრიალო მალლა ჰაერში.

ბავშვები.

არა, მალხაზო, ვერ დაგთმობთ ჩენა,
ღარჩი ჩენთანა, დასტოვე ფრენა;
არ გამოგიღევთ კამფეტსა ტკბილსა,
შოველ დღე გასმევთ ჩაის ცხელ-ცხელსა.

ჩიტი.

ახ, არა ვკენკამ კამფეტსა ტკბილსა,
სულაც არა ვსვამ ჩაის ყვითელსა,
მინდვრათა ვიჭერ მე კოლოებსა,
შანებში ვპოვებ მსუქან მარცვლებსა.

ბავშვები.

ხომ გაიყინე გარეთ ზამთარში,
არ გირჩევიან, რომ ჩენთან იყო,
მშვენიერ ოქროს შენ გალიაში
იჯდღე თბილათა და იჭიკჭიკო?

ჩიტი.

თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ცივსა ზამთარში
მოვკურცხლავ შორსა თბილ ქვეყანაში;
ტყვეობაში კი ჩალი სამოთხე
ჩემთვის იქნება შავ-ბნელი ციხე.

ბავშვები.

ღმერთს გეფიცებით, შენ არ მოგაწყენთ,
ტკბილსა აღერსსა ჩვენ არ მოგაკლებთ;

მოგივლით ნაზათ, გიჩვენებთ გულსა
და არ დაგაკლებთ დიდ სიყვარულსა.

ჩიტი.

მჯერა, მაგრამ ეგ ალერსი ტკბილი
არის ჩემთვისა შხამი მამკვლეელი;
უდრო-უდროვით მზეს დამიბნელებს,
წუთის სოფელსა გამომასალმებს.

ბავშვი.

მალხაზო ჩიტო, ამბობ მართალსა,
შენ ვერ შეუძლებ აქ ტყვეობასა;
ბეტყობა გიყვარს თავისუფლება,
შენსა ნებაზედ მინდვრათ ცხოვრება.
მაშ, გასწი, წადი ტოლებთან ტყეში
და ინაევარდე მალლა ჰაერში.

ჩიტს რამწამს ესა ბავშვებმა უთხრეს,
ძუიღვან იგი ფიცხლავ გამოხსნეს;
დაიფთხრიალა ცქვიტმა ფრინველმა,
მინდვრათ გასწია გახარებულმა,
თან ჭიკჭიკობდა, ბავშვებს ლოცავდა,
რომ მიანიჭეს თავისუფლება.

ბავშვი და ჩიტი.

მით დედა ჩიტსა ბუდე ჰქონდა ხეზედ ტყეში. ბავშვმა
მიაგნო ბუდესა და ბარტყების ამოსხმა მოინდომა. ჩიტმა
რომ ბავშვი ხეზედ მიმავალი დაინახა, საჩქაროთ მოიანზრა
ხერხი თავის შვილების გადარჩენისა. ამოფრინდა ბუდიღვან
და ისე მოიმკვლარუნა თავი, თითქო დარეტიანებული იყო-
სო. ბავშვმა იფიქრა: ბარტყები არსად წამივლენ, მოდი ჯერ
ამ დარეტიანებულ დედას დაეიჭერო. ჩამოვიდა ხიღვან და დაე-
დევნა უკანა. ჩიტი სუსტათ მიფრინავდა, ბავშვს ეგონა—აი

საცაა მოვეწევი და დავიჭერო. მაგრამ ჩიტი ოსტატურათ
იტყუილებდა იქითა. როცა ბუდეს კარგა მოაშორა, მაშინ
ცქვიტათ აფრინდა და დაქანცული ბავშვი გაშტერებული
დაარჩინა. ბავშვს უნდოდა ბუდე მაინც ეპოვნა, ბევრი ეძება,
მაგრამ რაღას იპოვნინდა, შორს იყო.

მართალია?

შიგ შუა ზღვაში საბძელი იწვის,
ტრიალ მინდორზედ ხომალდი მირბის,
ბლენი ქუჩაში კონსა აგებენ,
შიხულს, კალმასხა ბევრსა იჭერენ.
ღათვი ცაშია მირბის ფრენითა,
ძაღლებს იგერებს გრძელი კუდითა.

ფუტკარი და მტრედი.

ფუტკარი ჩაეარდა წყალში და იხრჩობოდა. ახლო ხე-
ზედ მტრედი იჯდა. მთელი შეასწრო ფუტკრის ფართხალსა
წყალში, აფრინდა, მოგლიჯა ნაკერჩხლის დიდი ფოთოლი
და ჩაუგლო წყალში. ფუტკარი ზედ შეეჯდა და წყალმა ნა-
პირზედ გამოარიყა. ბაიშრო მზეზედ სველი ფრთები, აფრინდა
და ბზუილით გასწია თავის სკაში.

ბავიდა რამდენიმე დღე. ღალაღული მტრედი ხეზედ
იჯდა და სთელემდა. ამ დროს მიეპარა მონადირე, ამოუჯ-
და ჩირგვსა და დაუმიზნა თოფი. მაგრამ სწორეთ იმ დროს,
როცა ჩახმასხს აცემინებდა, მარჯვენა ხელი სიმწარისაგან
აჭკრა და ტყვია ასცდა მტრედსა. მს ოინი მონადირეს უყო
ფუტკარმა, რომელმაც ხელზედ უკბინა და მოარჩინა მტრე-
დი სიკვდილსა.

ყ ვ ა ვ ი ლ ი.

ღაჭქროლა ქარმა სასტიკმა, თან წარიტაცა ყვაილი,
მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნელებითა აღვსილი,

იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი;
ღრომ უქამურმა აწ ცრემლით შესვარა მისი ადგილი.



არწივი და ყვავი.

მით გაზაფხულის დილაზედ მემცხვარემ შეშალა სერ-
ზედ ცხერის ფარა. ამ დროს მახლობლათ ცაში მშიერი
არწივი ფრინავდა. ცხერის ფარა რომ დაინახა, ფრთები მო-
კუმშა, ზევიდგან წამოვიდა, სწრაფათ დააფრინდა კლანჭებით
ერთ პატარა ბატკანსა და წაიღო საუზმეთა. შევემა დაინა-
ხა ეს და იფიქრა: მე არწივზე რაღა ნაკლები ვარო, განა მე
კი არ შემიძლია ცხვარი მოვიტაცოვო? დასტრიალა, დას-
ტრიალა ცხერის ფარას და ამოირჩია—ბატკანიც ხომ არა—
ერთი კარგი დიდი და მსუქანი დედალი ცხვარი. ზევიდგან
წამოვიდა ყვავი, ამ ცხვარს დააჯდა, მატყლში კლანჭები
კარგათ ჩაუყარა, ფრთები გაშალა, ასწია ცხვარი — თავის
ჭკუაში უნდა წაეღო—მაგრამ სულელმა არამც თუ ცხვარი
ვერ წაიღო, მატყლიდგან კლანჭებიც ვეღარ ამოიღო, რომ
გაფრენილიყო და თავისათვის ეშველა. მემცხვარემ მოირბინა,
ყვავს ხელი წააეღო, დააგლიჯა ფრთები და ყმაწვილებს სა-
თამაშოთ მისცა.

ანდაზა: კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ—ნახირო.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

რასა ჰქვიან წვიმა? როდის და რა ამინდზედ ჩნდება წვიმა? რისთვის არის სასარგებლო წვიმა? ზამთარში წვიმის მაგიერათ რა მოდის? რისათვის არის სასარგებლო თოვლი? რასა ჰქვიან ქარი? რომელი მხარეებიდგანა ქრის ქარი? რომელ ქარსა ჰქვიან ზენაქარი? შვენაქარი? რითი გაირჩევა ზენაქარი ქვენაქარისაგან? რასა ჰქვიან ნამი? რა დროს იცის ნამი? რა ამინდზედ ჩნდება? წვიმა და თოვლი ღრუბლებს გასდით, ნამი რაღას გასდის? ჰაერსა. როცა ნამიან ღამეს ძრიელა ცივა, ნამი გაიყინება ხოლმე; ამ გაყინულ ნამს რა ჰქვიან? რა დროსა და რა ამინდზედ ჩნდება რთვილი? რისათვის არის მაზარალეებელი რთვილი? თუ წვიმას მალლა ჰაერში ძალიან ცივი ქარი დაუხვდა, გაიყინება და მრგვალ ყინულებათ გადაიქცევა; რას ეძახით ამ ყინულებსა? მაშ რა ყოფილა სეტყვა? რისათვის და რამდენათ არის მაზარალეებელი სეტყვა? რასა ჰქვიან ქუხილი და ელვა? რა დროს და რა ამინდზედ იცის ქუხილი და ელვა? როცა ელვა ძირს დედამიწაზედ დაეცემა ხოლმე, იმას რას ეძახით? მეხსა. წვიმასა, ქარსა, თოვლსა, ნამსა, რთვილსა, სეტყვასა, ქუხილსა, ელვასა და მეხსა რა საერთო სახელი ჰქვიანთ? **ბუნების მოკლმანანი.** შეადარეთ: წვიმა და თოვლი, ნამი და რთვილი, სეტყვა და თოვლი.

ბაიშვირეთ თითი იმ მხრისაკენ, სადაც მზე ამოდის. რა ჰქვიან ამ მხარესა? თითი გაიშვირეთ იმ მხრისკენა, სადაც მზე ჩადის. იმ მხარეს რაღა ჰქვიან? პირი რომ აღმოსავლეთისაკენა ქნა, ზურგის გასწვრივ რა მხარე იქნება? მარჯენივ? მარცხნივ? რათა ჰქვიან ამ უკანასკნელ მხარეს ჩრდილოეთი? იმიტომ, რომ შუადღისას ჩრდილი სწორეთ იმ მხრისაკენ იცქირება. პირი რომ აღმოსავლეთისაკენ ქნა, ზურგის გასწვრივ რა მხარე იქნება? მარჯენივ? მარცხნივ? ღიხსომეთ, რომ აღმოსავ-

ლეთსა, დასაველეთსა, სამხრეთსა და ჩრდილოეთსა ჰქვიან
ოთხი მხარე მხმეხნისა. როდის იცქირება ჩრდილი დასა-
ველეთისაკენ? აღმოსაველეთისაკენა? ჩრდილოეთისაკენა? სამ-
ხრეთისაკენა? რატომ სამხრეთისკენ არ წადგება ხოლმე ჩრ-
დილი? რომელი მხრისკენ უნდა ციოდეს და რომლისკენ
უნდა ცხელოდეს? რათ უნდა ციოდეს ჩრდილოეთისკენა
და რათ უნდა ცხელოდეს სამხრეთისკენა?

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა. თოვლი თეთრია, მაგრამ
სიცივე დიდი სჭირს. როგორც ქუხს, ისე არა სწვიმს. ჭარის
მოტანილს ქარივე წაიღებს. ცვარი ცვარსა მიუმატე, ზღვათა
გადაიქცევაო. სველს წვიმისა არ ეშინიან.

ზ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

ბევრჯელ მნატრობენ, გულით მელიან, როცა მოვალ
კი, იმაღლებიან. საღამოზედ მოფრინდება, ღამე მინდორს იმ-
ყოფება, დილით ცაში გაფრინდება. მალლიდგანა წამოვიდნენ
ხაბა ხუპით ცხენოსანნი, სულ აქეთ იქით გაფანტეს ქვეითი
და ცხენოსანნი. მრთი რამ არის უჩინო, უსულოი და ხმი-
ანი, ცასა და ხმელეთს მოიზრბენს, ვერ მიჰყვება ცხენიანი;
მაინც ვერაფერს დაიჭერს, თუნდა დაადგეს ხმლიანი. ოცხა-
ლია ჩუმათ არის, მოკვდება ღრიალს ასტეხავს. არც იწვის
ცეცხლში, არც ძირამს წყალში. მრთი რამ უცხო ფრინ-
ველი განთიადისას ფრინავდა, მთელი ტანიდგან ცხრილი-
ვით მარგალიტებსა ფანტავდა; მთვარეს სურდა აეკრიფნა,
ასწია და ვერა სძლია, მზემ კი დილით დამნახველმა სულ
თითო თითოთ აკრიფა.

ჩქარა ზამოხსათქმელნი: თეთრი თრითინა თეთრ
რთვილზედ თრთოდა.

ს ა წ ე რ ი.

თოვლი... აღმოსავლეთი... მხნეობა... სეტყვა... დასავლეთი... სიზარმაცე... ჭუხილი... ზღმარტლი... ბეჯითობა... ჩრდილოეთი... ძღვა... ნესვი... მოწყალება... წვიმა... სამხრეთი... ბოლოკი... ნამი... ჩხიკვი... რთვილი... ბუზი... თუნგი... ბაღა... ჭურდობა... სპილო... მრავალხანი... ღიუმი... მეხი... მარი... ზამთარი... ბინდი...

დასწერეთ, რითი გვანან და რითი გაიჩვეიან თოვლი და წვიმა, რთვილი და ნამი?

მელია და მგელი.

შინვიან დღეს მშიერმა მელიამ საცალა იშოვნა ბევრი თევზი, სოროში შეზიდა, თვითონ კარებთან დაჯდა და თევზს ჭამა დაუწყო. მართი ენახოთ მგელი გაცხარებული მორბის. საწყალს შიმშილით ფერდი ფერდს მიჰკროდა. „ზამარჯვება, ჩემო ნათლიავ, რას მიირთმევ?“ — უთხრა მელასა. — თევზსა, ჩემო სვინავ, უპასუხა მელიამ. „მართი თევზი მაინც მითავაზე.“ — ღიახ, როგორ არა, პირი დააღე, რა ჭკვიანი ხარ: მე დავიჭირო, შენ კი შეეჭე! — მართი თავი მაინც მიბოძე, ჩემო ნათლიავ. — ბოლოზედაც არ გასუნებინებ, ჩემო საყვარელო სვინავ. შენ თვითონ დაიჭირე და ქეიფი გასწიე. — „ზანა ეგ თევზი შენ დაიჭირე?“ — მაშ არა და შენა! — თუ აგრეა, კაი თევზის დაჭერა გეცოდინება, მეც მასწავლე.“ — მაგისი კი ბატონი ბრძანდები: მდინარის ყინულში იპოვნე ჩატეხილი ადგილი, ჩაჰყავ შიგ კუდი და იბუტბუტე: „გაეზი, თევზო, ბადეში დიდო და პატარავ“ და ისინი თავისთავათ გაეზმიან.

მგელმა ამისთანა ადგილი იპოვნა, ჩაჰყო შიგ კუდი, დასკუბდა და ბუტბუტებდა: „გაეზი, თევზო, დიდო და დიდო.“ მელიამაც მოიხრბინა, დაიწყო მგლის გარეშემო სირბილი და ჩუმათ ამბობდა: ეგრე გაიყინე, მაგრა გაიყინე, მგლის კუ-

დო!— „რა ამბავი გაქვს, ნათლიაე, რას ამბობ?“ ჰკითხავდა მგელი მელასა.— იმასვე ვამბობ რასაც უნ.— „ღრო არ არის ახლა ამოვიღო? თევზები აქამდის არ გაეზმებოდნენ?“— ჰკითხავდა მგელი მელასა.— ჯერ არა, ჩემო სვინაე, მე თვითონ გეტყვი, როცა ღრო იქნება, ეუბნეოდა მელა. მგელი ესკუპა და თავის სიტყვებს იმეორებდა, მელიაც თავისას ამბობდა.

როცა მელიამ შეატყო, რომ მგლის კუდი კარგა მაგრა გაიყინა, უთხრა მგელსა: ახლა კი ამოიწიე, ამოიღე წყლიდან კუდი. მგელმა ამოიწია, მაგრამ შენი მტერი, რაც იმან კუდი ვეღარ ამოიღო. აი, ხედავ, როგორი გაუმაძღარი ყოფილხარ,— აყვედრებდა მელა მგელსა,— აქამდის სიხარბით სულ იმას იძახდი: გაებით, თევზნო, დიდნო და დიდნო და ახლა ვეღარცკი მორევიხარ. მოიცა პატარა, მე დაუძახებ ვისმე, რომ გიშველოს.

მელიამ საჩქაროთ სოფელში მიიბრინა და დაიწყო ყვირილი: წამოდით, მგელი მოკალით, კუდი წყალში გაეყინა და ვეღარ დაძრულაო. სოფლიდგან ზოგი ცუდით გამოიქცა, ზოგი კეთითა. მგელმა დაინახა, რომ უკანასკნელი დღე აღგებოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიწიე-გამოიწიეა, კუდი ძირში მოიწყვიტა და გაჰკურცხლა უკუდოთ. ჩემო საყვარელო სვინაე, მისძახოდა მელია, მობრუნდი, სად მიბრინხარ, თევზი აქ დაგრჩაო.

ცა და დედამიწა.

შეიბნენ ცა, დედამიწა, მოჰყენენ თავთავის ქებასა:

ჰვევით მიწამ უთხრა ცასა, ქებით ნუ მეტყევი მაგასა, მე რომ მიწას ავამწვანებ, შენ რას ნახამ იმის ფასსა!

ახლა ცამ უთხრა მიწასა, ქებით ნუ მეტყევი მაგასა, მე ზეციდგან ნამსა ეუშვებ, შენ რას ნახავ იმის ფასსა!—

ახლა მიწამ უთხრა ცასა, ქებით ნუ მეტყევი მაგასა, ბაზათხულზედ გამოვიყვან ქიასა და ჭინჭველასა,

შენ რას ნახავ ამის ფასსა!

ახლა ცამ უთხრა მიწასა:

მე რომ ზეცას ავაყვავებ, ზედ დავასვამ ვარსკვლავებსა,
შენ რას ნახავ ამის ფასსა!

ახლა მიწამ უთხრა ცასა, ქებით ნუ მეტყვი მაგასა,
მე რომ პურს თავთავს დავასხამ, იმითი დავარჩენ ხალხსა,
შენ რას ნახავ ამის ფასსა!

ახლა ცამ უთხრა მიწასა:

ისეთ გვალვას გამოუშვებ, გადაგიწვამ მთა და ბარსა,
შენ რას ნახამ ამის ფასსა!

ახლა მიწამ უთხრა ცასა:

აღაგათ და უაღაგათ ისეთ წყაროს გამოვიყენ, ძირიღდან მივსცემ სიგრილეს, ყანას გაუკეთებ თავსა,
შენ რას ნახამ ამის ფასსა!

ახლა ცამ უთხრა მიწასა, ქებით ნუ მეტყვი მაგასა,
შე და მთვარე ჩემ პირზეა, მე ვანათებ ქვეყანასა.—

ახლა მიწამ უთხრა ცასა, ქებით ნუ მეტყვი მაგასა,
მე რომ ვენახს გავაკეთებ, იმითი დავათრობ ხალხსა,
ზედაშეთ მე წამილებენ, ჩემით ახსენებენ მკვლარსა!

ახლა ცამ უთხრა მიწასა, ქებით ნუ მეტყვი მაგასა,
მღვა, ჭექას გამოუშვებ, გაგისწორებ მთა და ბარსა,
ასეთ სეტყვას გამოუშვებ, თავზედ გადაგანგრეე სახლსა!

ღედამიწამ უთხრა ცასა, ქებით ნუ მეტყვი მაგასა,
შენ ეღვა, ჭექას ვინ მოგცემს, თუ ზღვიღდან არ მოგცემ
წყალსა,

ღეთის ამარა ფუტკარი მყამს, ჩამოვასხამ კელაპტარსა,
ზამჩენელს შევეხვეწები, გავაქარებ შენ სეტყვასა!

სამი ჩარეკით აჯობა ღედამიწამ ზევით ცასა.—

მთიული და ვენახი.

იყო ერთი მთიული. თავის სიცოცხლეში ვენახი არ ენახა. ჩამოვიდა ბარათ, ნახა ვენახი, შევიდა შიგ, მეტათ

მოეწონა ყველა ხეხილი, მწვანელი, და ლმერთს მადლი მისცა; სთქვა: ლმერთო, ეს ყელათფერი კარგათ გაგირიგებია და ეს კი ცუდათაო: პატარა ბალახისათვის დიდი ნესვი მოგიბამს და დიდი ხისათვის პატარა კაკალიო. მიიარა, მოიარა და კაკლის ძირში დაეძინა. მოფრინდა ყვავი, შემოჟდა ხეზედ და ჩააგდო კაკალი ძირსა. ძაკალი მძინარეს შუბლზედ დაეცა და გაუტეხა. აღგა კაცი და სთქვა: ლმერთო, შენ უფრო ყველა კარგათ გაგირიგებიაო; თუ ამაზე უფრო დიდი ნაყოფი ბმოდა, თავს გამიჭყლეთლაო.

ბ ა მ ო ს ა ნ ა : მე მალლიდგანა მინახამს ზანზალა დაკიდებული, მე ზანზალადამ მინახავს მე რგვალი გამოღებული, მე რგვალიდგანა მინახავს მე ხმელი გამოღებული, მე ხმელიდგანა მინახავს მე რბილი გამოღებული, მე რბილიდგანა მინახავს მე წყარო გამოღენილი, მე წყაროდგანაც მინახავს მე ბნელი განათლებული.

ჟვავი და ჰოთანი.

ჟვავს წყალი მოსწყურებოდა. მინდორში დაყიალობდა, ეგები რითიმე ყელი დავისველოვო. შცებ წააწყდა წყლიან სურასა; მაგრამ, დახე ყვავის ბედსა, სურაში წყალი ნაკლულათ იდგა. როგორ უნდა დაელია წყალი? შიგ ვერ ჩახტებოდა, ადგილიდგან ვერ დასძრამდა და ვერც წაქცემდა, ამიტომ რომ სურა დიდი იყო. წყლის სიახლოვემ წყურვილი უფრო გაუძნელა. ლაფიქრდა ყვავი და ბოლოს ეს ხერხი მოიგონა: კენჭები მოაგროვა და სურაში ჩაჰყარა. წყალმა ზევით ამოიწია და პირამდის ამოვიდა. ჟვავმა დაიგძელა კისერი, ჩაჰყო ნისკარტი სურის ყელში და კარგათ მიადდა წყალსა.

ა ნ დ ა ზ ა : ხერხი სჯობიან ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

გ ა ზ ა უ ხ უ ლ ი


ტყეს ესხმება ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.
აყვავებულია მდელი,
აყვავებულია მთები,
მამულაო საყვარელი,
შენ როსლა აყვავდები?

გამოცანა მახვილი გავფხვზისათვის.

მ.რ. პატარა მემცხვარეს, მასოს და პეტრუას, საღამო-ზედ სოფელში მიუდიოდათ თავ-თავისი პატარა ცხვრის ფარა. სოფლის ორღობეში ერთმანეთს შეეყარნენ და ლაპარაკი დაიწყეს. მასომ შეხედა პეტრუას ფარასა და უთხრა: იცი რას გეტყვი, პეტრო! მომეცი შენი ერთი ცხვარი და მაშინ ჩემი ფარა ორი შენი ფარასოდენა იქნება. პეტრუამ გადაავლო თვალი ცხვრებსა, ცოტა მოიფიქრა და უთხრა: არა, მასო, მე შენ უფრო კარგ და სამართლიან სიტყვას გეტყვი: მომეცი შენ მე ერთი ცხვარი და მაშინ თანასწორი ფარა გვეყოლება ორივესა; ერთმანეთისა აღარ შეგეშურდება. აბა გამოიცანით: რამდენი ცხვარი ჰყვანდა მასოსა და რამდენი პეტრუასა?

ქალღმის მუშაობა.

ლექებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისა,
ასი მთა გადამატარეს, მთები ძავეკასიონისა.
ზაფხედე ჩერქეზს მინდორსა, ნისლი იდგა შავი ზღვისა;
სამი ქალი თივას სთიბდა, სამივე ჩერქეზთ ბატონისა,
ხელში ეჭირათ ცელები, პირები აქვთ აღმასისა,
მარმარილოს სალესავით იმათ მოუწყობენ პირსა;
სამივე იგრე დასძახიან, როგორც ანგელოზი ცისა.
არ მენახა, გამიკვირდა, მუშაობა ქალებისა.



მანო და ქალაქი.

მანოს მამა დილით ადრე ურმით ქალაქს მიდიოდა. მანო აუტყდა: მამილო, გეთაყვა, თან წამიყვანე და ქალაქი მაჩვენეო. მამამ დაუსვა ურემზედა და წაიყვანა. შუადღისას ქალაქი შორიდგან გამოჩნდა. მანო თვალებათ გადაიქცა და სულ ქალაქისკენ გაიციქირებოდა.

— „მამილო, აის თეთრათ და ყვითლათ რა ბრჭყვერიაღებენ მალლა?“ — ჰკითხა მანომ მამასა. — საყდრების გუმბათებია, შეილო, უთხრა მამამა. — „რათ უნდათ მაგდენი საყდრები, განა ჩვენსავით ერთი ეკკლესია კი არ ეყოფათ?“ — საღ ეყოფათ, შეილო, ამ ქალაქში ოცჯერ მომეტებული მცხოვრებია, მინამ ჩვენ სოფელში.

აი შევიდნენ ქალაქში. მანოს თვალეები აუქრიალდა, იმდენი ახალი სანახავი დახედა. მას აკვირებდნენ: ლამაზი ორ-სამ ეტაჟიანი სახლები, განიერი, სწორე და გრძელი ქუჩები, ბაზარი, სადაც ათას ნაირი ხალხი ბუზივით ირეოდა და გაჰქონდა ჟივილ-ხივილი, მრავალი ღუქნები ხელოხნე-

ბისა და ვაჭრებისა, რომლებიც მყიდველებით სავსენი იყენენ.

როგორ მოგეწონა ქალაქი?—ჰკითხა მამამ მანოსა, როცა ქალაქიდან გამოვიდნენ.—„უჰ, ძალიან მომეწონა, უთხრა მანომ,—მაგრამ ეს კი მაკვირვებს: რატომ ბაკები, ბოსლები და საბძლები არ სადა ჩანდნენ?—რათ უნდათ, შეილო, ეგენი ქალაქელებსა, უთხრა მამამ, ისინი არცა ხევენ, არცა სთესვენ და არც საქონელი ჰყავთ; ფულებს შოულობენ ვაჭრობით, ხელოვნობით, სამსახურით და ყიდულობენ სოფლელებისაგან პურსა, ხორცსა და შეშასა.

სალამოზედ მანო იჯდა თავის ტოლებში და ქალაქის ამბავს ელაპარაკებოდა.

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი .

პირველ თქმულია ძველთაგან სიღარბისლე მესხისა, პურადობა და ვაჭრობა ქართლელთ არა ეძრახვისა, ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა, ომი და ღზინი კახისა მოსაწონია კაცისა.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

რა ჰქვიან თქვენ სოფელსა? აღმოსავლეთით რა სოფელი უძევს? დასავლეთით? ჩრდილოეთით? სამხრეთით? თქვენი სოფლის ახლო რა ქალაქია? რითი გაირჩევიან ერთმანეთისაგან სოფელი და ქალაქი? შოველ ქართულ სოფლებსა და ქალაქებსა რა საერთო სახელი ჰქვიანთ? საქართველო.

საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილს ჰქვიან ძახეთი. ძახეთიდან რომ დასავლეთისაკენ წახვიდე, ქართლში მიხვალ. ქართლს დასავლეთით იმერეთი უძევს. იმერეთის თავსა ჩრდილოეთისკენ რაჭა არის. იმერეთის იქით დასავლეთისკენ სამეგრელო სძევს. სამეგრელოს ბოლოს სამხრეთისკენ ზურია მდებარეობს. ძახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, ზურია და სამეგრელო რის ნაწილები არიან? **ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ ა წ ი ლ ე ბ ი .**

მითხარით, რომელი მხრისკენ უნდა წავიდეს მგზავრი ბურჟიუაზიანი სამეგრელოში? სამეგრელოდგან იმერეთში? იმერეთიდან სამეგრელოში? იმერეთიდან რაჭაში? რაჭიდან იმერეთში? იმერეთიდან ქართლში? ქართლიდან იმერეთში? ქართლიდან ახლეთში? ახლეთიდან ქართლში?

თქვენ ახლოს რომელი მთაა? რა ქვიან მთის ქვემო ნაწილსა? შუაწელსა? ზემო ნაწილსა? რომელი მხრისკენ აქვს საქართველოს უფრო დიდი მთები? რა სახელი ჰქვიათ ამ მთებსა? რითი არიან დაფარულნი ქვეყანის მთები ზამთარ-ზაფხულს? რათა სძევს მთაზედ თოვლი ზაფხულშიაც კი? ღაიხსომეთ, რომ ახლეთში არის ბომბორის მთა; ის არის ტოტი ქვეყანის მთებისა და შუა ახლეთზედ არის გაწოლილი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენა. ქართლში არიან გაწოლილნი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ თრიალეთის მთები. ქართლსა და იმერეთს შუა სძევს სურამის მთა; ეს არის ტოტი ქვეყანის მთებისა. იმერეთსა და რაჭას შუა არის მთა ნაქერალა. ბურიაში სძევს ნიგოეთის მთა. ჩამომითვალეთ საქართველოს მთები!

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

იმერეთი დამივლია, ქართლი შემეჩვიება, არ მინახავს შენისთანა, ყელი მოგიღერება. უცხო ქვეყანაში გაზაფხულიც კი არ არის სასიამოვნო. ბევრს აღმართსა ბევრი თავდაღმართი მისდევს. მთა მთას არ მოხვდება, კაცი კაცს კი შეეყრება. მთა და ბარი არავის გაუსწორება. ღმერთი მთას დახედავს და თოვლს ისე დასდებს.

გ ა მ ო ო ო ა ნ ა.


შხარ-მაზარი ვეშაპი ხმელეთზედ გაწოლილია,
მუცელი განიერი აქვს, ზურგი კი მეტათ წვრილია,
ზაფხულს მწვანე ფერი დასცემს, ზამთრობით არის შავია,
მუცლიდან შადრევანს ისერის, არის ქვეყნისა მრწყველია.

ჩქარა გამოსათქმელები: შეფე ტაფაზედ
ფეტვს ფშრუკავს. ტყეში ყაზახი შევიდა, ტყე გაყაზახებულყო.


ს ა წ ე რ ი.

აღმოსავლეთი... შართლი... პოქი... მარანი... ჩრდი-
ლოეთი... ქახეთი... შილა... ნაქერალა... შებაბი... დასავლე-
თი... იმერეთი... ნაბადი... სამხრეთი... ლეიბი... რაჭა...
საყდარი... მეფხვი... სამეგრელო... ინდოური... ბურია...
ჭრიჭინა... ბაყაყი... მარდკაჭკა... ტარხუნა... გროში...
მეწაღე... ქახეთში სძევს მთა... შართლში სძევს მთა... ბუ-
რიაში არის მთა... იმერეთსა და ქართლს შუა სძევს მთა...
რაჭასა და იმერეთს შუა არის მთა.


დასწერეთ, რითი გაიჩვენებთ ერთმანეთისაგან ქართლი
და ქახეთი?



ვირი, ლორი, თხა და მამალი.



იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლე-
ხი კაცი. იმასა ჰყვანდა ერთი ვირი.
ხან აქეთ უკრამდა თავს და ხან იქით.
საწყალ ვირს მეტის-მეტი ჯაფით ზურ-
გისულ გადაყვლითა, უნალობით ჩლი-
ქები დაუსკდა, უსაჭმლობით სული ამოსდიოდა. პატრონი
კი არა ნაღვლობდა: აჰკიდებდა საპალნეს და გაიგდებდა წინ.
როცა დაეცემოდა საწყალი ვირი, პატრონი ჯერ ჰსცემდა,
ჰსცემდა, ბოლოს კუდს აუწევდა, წამოაყენებდა და გაიგდებ-
და წინ. ამ ვაი-ვაგლახში გაატარა ვირმა თავის დღენი. ბო-
ლოს, სიბერის დროს, მოიფიქრა: „შე ოხერო ჩემო თავო!
რაზე ეკვლინები, მითომ რა ოქროს ჯილას დაგადგამს პა-
ტრონი? გასწი, გაიქე, მინდვრად გავარდი და შენთვის მო-
სვენებით იცხოვრე“. ვირი მართლა გაიქცა და გაგარეულდა.




იარა, იარა და შეხვდა ღორი.
„ზამარჯვება, ღორო!“ შთხრა
ვირმა. — ზაგიმარჯოსო, — მიუგო
ღორმა. „აქ რას აკეთებ, გოჭები
რა გიქნია?“ ჰკითხა ვირმა. — ჰე,

რალა რას ვაკეთებ, ცხრა გოჭი მეყოლა და სულ თითო-თითო
თოთ შემიქამა ჩემმა პატრონმა: ხან ერთს შეაჭყივლებდა ჩემ
თვალწინ და ხან მეორესა. ბოლოს სუქება დამიწყო. შრთხელ
დამამწყვდია და დაკვლას მიპირებდა. აუდექ, დავკარ ფეხი
და გამოვიქეცი; ვივლი ესე ჩემთვის მოსვენებით: არცა რა ვინ
გოჭებს დამიჭამს და დაკვლასაც ვერაფერს დამიპირებს. — „ოჰ,
შენც ჩემისთანა ტაფაში დაწულხარ და მაშ დამძობილდეთ,“
უთხრა ვირმა და მოუყვა თავის თავგადასახადი დაწვრილებით.



იარეს, იხეტიალეს და ერთი თხა ნა-
ხეს. ზამარჯვება, თხავ! აქ რა გინდა
შენაო? ჰკითხეს. მჰ, ჩემმა პატრონმა
მეტათ საქმე გამიჭირა და გამოვიქეციო:
ჩვილი ციკნები დამიხოცა, რძესა სწო-
ვენო; დღეში სამჯერ მწველდა და შიმ-
შილით კი სულს მართმევდა. — შენც
ჩვენისთანა ტაფაში დახრაკულხარ და

მაშ ძმობილი გავვიხდიო, უთხრეს ვირმა და ღორმა. დამძო-
ბილდნენ და წავიდნენ.



იარეს, იარეს და მამალი შეხვდათ.
„ზამარჯობა, მამალო!“ მიადახეს სა-
მიემ. ზაგიმარჯოთ! უპასუხა ბოხი
ხმით მამალმა. „რაო, მამალო, რა
ამბავია? ველად რას გამოუწვევი-
ხარ?“ — რალა რა ამბავია, ჩემმა პატ-
რონმა ვარია აღარ დააყენა და დე-
დალი, ზოგი ხრაკა, ზოგი ცივით
ხარშა, ზოგი ჩაახარშოვა და ქათმის
სინსილა გააწყო. დამიგლო დარდმა.

ავედქ და ყივილი ხშირათ დავიწყე. ამითი ვიქარვებდი ნა-
ლველსა, მაგრამ ერთ დილას პატრონმა მითხრა: ხმა გაკმინ-
დე, ნუ ყივი და ძილს ნუ მიფთხობ, თორემ მაგ ბებერ კი-
სერს მოგჭრიო. აბა რალა მამალი ვიყუე იმის ხელში? ავე-
დექი და უდაბურ მინდვრად ცხოვრება ვარჩიე. — შენც ჩვენის-
თანა ბელი გწევია და მოლი დავძმობილდეთო, — უთხრეს სა-
მივემ. — ძალიან კარგო, უთხრა მამალმა.

წავიდნენ ეს ოთხნი ერთათ და საჭმელ-სასმელს დაუწყეს ძებნა. იარეს, ბევრი იარეს, მაგრამ ვერა გახდნენ რა. ბოლოს მამალმა ნახა, რომ ერთ ალაგას მგლებს ქორწილი ჰქონდათ. თხას უთხრეს სამივემ, წინ გაგვიძებნო. მეტი ღონე არ იყო, გაუძღვა თხა და შეიყვანა თავის ძმობილები ერთ სოროში. აქ მექორწილე მგლები სუფრას არიგებ-ჩარიგებულები უსდნენ. წადგა წინ მამალი და დაიძახა: „გამარჯვება და დღეგრძელობა ბატონ მგლებსა!“ — „ზაუმარჯოს სავახშმე სტუმრებსა,“ დაიძახეს მგლებმა. პირველმა მგელმა აიღო ყანწით ღვინო და დაილოცა: „ღმერთო, შენა სწყალობდე აქა ბძანებლებსა, გაუმარჯვე და აი დიდყურა სტუმარი ერთჯერათ კარგა შემარგე, შენი სახელის ჭირიმე!“ მირმა სუ ცახცახი დაიწყო. მამალი კი უჯავრდებოდა: მაგრა იყავიო. მეორე მგელი დაილოცა: „გაუმარჯოს აქა ბძანებლებსა. ღმერთო, აი წვერიანი წინამძღვარი კარგა შემარგე და მუხასთან სანთელს აგინთებ!“ თხა ისეთი გახდა, რომ სამარიდამ ამოღებულსა ჰგვანდა; მამალი კი მუჯღოუგუნსა ჰსცემდა: ნუ გეშინიან, მაგრა იყავ, წინ ყოჩალათ წამოდექიო. თხამაც თავი შეიმაგრა, მაგრამ საწყალი ვირი გააცხელა და სულ ძალაზედ აკანკალებდა. მესამე მგელი დაილოცა და ღორის კარგა შერგება სთხოვა ღმერთს. ღორმა უკან-უკან წევა დაიწყო, მაგრამ კარებში სამი მგელი დაუხვდა ყარაულლებათ. ბოლოს უმცროსი მგელი დაილოცა და მამალზედ მიიშვირა ხელი. მამალი სხეებივით ლაჩრულათ არ მოიქცა. სამადლობელი რო მოართვეს სტუმრებს, ყველამ უარი

სტეკა მამლის მეტმა. იმან ვაჟკაცურად ჩამოართვა ყანწი, წადგა წინ და დაილოცა: „ღმერთო, შენ ამოწყვიტე ჩვენი მასპინძლები, გვიშველე იმათი ხელათ გაჟღეტა, ზარბაზანი კარგათ მოახმარებინე ჩვენ წინამძღომელ ვირს, გაუმარჯვე ჩემს უძღვეველ ძმობილებს, შენდაო, მამაო თხავ! შრააა!... ყიყლიყო!“ — დაიძახა მამალმა და ვირმაც ამ დროს ისეთი დაიყვირა „ურა,“ როცა და დედამიწა შეძრა. მგლები გულ-გახეთქილი გამოცვივდნენ და გადიკარგნენ. ზამარჯვებულ სტუმრებს დარჩათ მშვენიერი გაშლილი სუფრა. დასდნენ მზა-მზარეულ ხორაგზედ, მოიღერეს ყელები და ისეთი ქეიფი გასწიეს, რომ ქული ჭერსა ჰკრეს. მერმე, როცა კარგათ დაძდნენ, გამოვიდნენ გარეთ და იწყეს ნებივრობა. მამალი ხის წვერზედ შეფრინდა და დაიწყო ყივილი, ღორმა მიწას თხრა დაუწყო, თხა ნეკერის კენეტით ერთობოდა და ვირი კი ყროყინებდა. ამ დროს მგლებმა გამოგზავნეს ერთი მათვალთვალეელი; იმას უნდა გაეგო, რას შერებოდნენ მათი მოუწვევარი სტუმრები. მგელმა რომ ესენი დაათვალთვალა, გაძუნძულდა და გულ გახეთქილმა უთხრა თავის ამხანაგებს: „ჭეი ძმებო, არიქა გავიქცეთ, გადავიკარგნეთ სადმე, თორემ ისრე გაცხარებული გვეძებენ, რომ თუ მოგვაგნეს, სულ ლუკმა-ლუკმა დაგეჩლიჩენ. ი პატარა კაცი ხის წვერიდგან ცაში გვათვალთვალეებს, ღრუტუნა სტუმარი ქვესკნელ მიწაში გვეძებს, ი წვერიანი მოძღვარი კეტებსა ჰკაფავს ჩვენთან საჩხუბრათ და დიდყურა კი ყვირის, რაც ძალი და ღონე აქვს — „არიქა, დაიქით! სად წაგვივლენო!“ მგლებს შიშის ზარი დაეცათ და ცხრა მთას იქით გადიკარგნენ. — დარჩათ ოთხ ძმობილს ბურთი და მეიდანო.

ა მ თ ა ნ დ ი ლ ი .

აეთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი.

ვერც მოჰკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი.
ნახტომსა მშველსა ფერდსა ჰკრა ისარი ორბის ფრთიანი,

დაჰკიდა ცხენის ტახტასა ტყავ-გაუხდელი რქიანი.
ჩამოხტა მუხისა ძირსა, ცეცხლი დაანთო ძრიელი,
ცხენსა მოჰხადა, დაიგო თაქალთო უნაგრიანი,
დაჯდა და თალა შამფური, მწვადი ააგო მცერიანი.
სანამ მწვადი შეიწოდა, ცხენსა მისცა საძოვარი.
ლურჯამ კაცი დაინახა, შორი გზიდგან მომავალი,
შებტა ცხენი, შესჭიხვინა, იგი კაცი ავი არი,
მეჯინიბეს დაუძახა — ლურჯა მომგვარე ჩქარათა,
ბაეაზედ ხელი გაღუსვა, ზედ წამოახტა მარდათა.
მაწრონი გაარბევინა, მინდორი უტრო ჩქარათა,
უკუ იხედა, მოსდევენ ის ურჯულონი ჯარათა.
ასი ჰკრა და ასივ მოჰკლა, ერთი გაღურჩა შავათა;
მართი იმანაც ესროლა, სისხლი წაეიდა ღვარათა.
მუხისა ძირსა ჩამოხტა, ტოტი იწვოდა ფარათა,
დაჯდა და წიგნი დასწერა, მტრედს გამოაბა მხარათა:
მს დედა ჩემსა მიმირთვი, ველარ მოგივალ ჩქარათა,
ბიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზედ შედეგე შავათა.
ის ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეც საწირავათა,
ის ქალი ისრეთს კაცს მიეც, მე მჯობდეს თვალათ, ტანათა,
ის ჩემი ციხე ქალაქი თან გაატანე შხითვათა.

შიშს დიდი თვალუბი აჰვს.

ბნელი ღამე იყო. კაცი დაკარგულ ცხენს დაეძებდა მინდორში. წაადგა თავსა ერთ რალაცა კაცის მგზავსსა. კაცი ძალიან შეშინდა, ეგონა ყაჩაღიყო. მაგრამ ხერხიც მალე მოიგონა: მოიხადა ქუდი, აიცვა ხელზედა და უთხრა: ხელი არ მახლო, თორემ მე შენი სრულიად არ მეშინიან, ხომ ხედავ ჩვენ ორნი ვართო. შაჩალი გაჩუმებული იდგა ერთ ადგილასა და უქნევდა თავსა, თითქო ემუქრებო. აკანკალებულმა კაცმა არახჩინიც მოიხადა, ჩამოიცვა მეორე ხელზედა და ეუბნებოდა: ჩამომეცალე გზიდგან, თორემ ხელამ სამნი ვართო. მაგრამ ყაჩაღი ფეხსაც არ იცვლიდა. საწ-

ყალი ძაცი შიშისაგან კბილს კბილზედ ველარ აღვამდა. მთელი ღამე ძაგძაგით გაატარა. როცა ინათლა, კაცმა თვალე-ბი მოჭრუტა, გაიხედა წინ, მოიბრუნა სული, დაიხურა არახ-ჩინი და ქუდი, გააფურთხა და წავიდა. მის წინ ყაჩაღის მა-გიერათ მაღალი ჩირგვი მდგარიყო და მთელი ღამე იმას ეკანკალებინა.

კ ი ლ ე მ ზ ა მ ო ო ო ა ნ ა .

ზღეხს მიჰყვანდა მგელი და თხა. თინაც თივა მიჰქონდა. მიაღვა ერთ მდინარესა. ზღმა ნავით უნდა გასულიყო: ეს ნავი ისე პატარა იყო, რომ კაცის გარდა თითო რამის მეტი არ ჩაეტეოდა. ამიტომ თავისი საქონელი გლეხს ცალ-ცალკე უნდა გაეხსნა. მაგრამ ის კი უნდა მოეხერხებინა, რომ არ დარ-ჩენილიყო მგელი თხასთან და თივა თხასთანა. ზღეხმა ბევ-რი იფიქრა და ბოლოს მშვიდობით გავიდა თავის საქონ-ლით იქითა ნაპირსა. აბა გამოიკანით, რა ხერხი იხმარა გლეხმა?

მ შ ი შ ა რ ა მ ა ნ ო .

სლამოზედ დედამ მანო შეგზაენა მარანში საღვინის ამოსატანათა. შიგ რომ შევიდა, ქარმა სანთელი გაუქრო. ამ დროს მოესმა რალა ცა ბუყბუყი. მს მაჭარი ღულდა. მანომ კი სხვა ნაირათ იფიქრა. „ჭაჯი, დედაე!“ კანკალით დაი-ყვირა და უკან გამოიქცა, მაგრამ თოხს ფეხი დაადგა და ტარი მოხედა თავში. „ვაიმე, ვაიმე, მიშველე, ქაჯი მკლამს!“ დაიღრიალა მანომ და კარებში უნდა გამოვარდნილიყო. მაგრამ საუბედუროთ ამ დროს იმას ქალამნის თასმა მოეხ-სნა და კარებში გაიჭედა. ზაიშხლარტა მანო მარნის კარების გარეთ და მოართო საშინელი ღრიალი: ვაიმე, მიშ-ველეთ, ქაჯმა დამიჭირა, მკლამსო. ზამოვარდა სახლიდგან დედა და ააყენა მანო ცოცხალ-მკვდარი.

როცა მანოს ტოლებმა ეს ამბავი შეიტყეს, მასხარათ

აიგდეს, აჯაერებდნენ და ჰკითხავდნენ: როგორ იყო, რომ შეგაშინეს მაჰარამა, თოხმა და ქალამნის თასმამაო?

სიხვარული ტივილზედ ძრეულია.

ბავშვი ქუჩაზედ გადარბოდა. უცებ დროშკა მოეწია, დაეჯახა, ქვეშ მოიტანა და ფეხი მოსტეხა. როცა მკენესავი ყმაწვილი სახლში შეიტანეს, მის ავთმყოფს დედას ელდა ეცა, ლოგინიღვან წამოხტა და გული შეულონდა. ბავშვმა რომ ეს დაინახა, მაშინვე შესწყვიტა თავისი კენესა: ფეხის გასწორების და შეკერის დროს ერთი კრინტიც არ დაუძრავს. „ბანა ფეხი არა გტკივა?“ — ჰკითხა ფეხის შემკერელმა. — საშინლათ მტკივა, მიუგო ბავშვმა, მაგრამ მე არ მინდა ავთმყოფმა დედამ გაიგოს ჩემი ტანჯვა და უწინდელსავით შესწუხდეს.



პატარა მდინარე.

ანკარა წყალი წანწყარით
ველზედა მიდის სწრაფათა,
ჭებზედ გადადის ჩანჩქარით,
ჭეიშაზედ მირბის წყნარათა.
საამურათ იზლანება
ხშირ და მალალ ბალახებში,
ხან სრულიად იმალება,
ხან ლაპლაპობს კაცის თვალში.
მის ნაპირებს ამშვენებენ
ათას ნაირნი ყვავილნი, —

მასშივე იხატებიან
მალალი ცისა ღრუბელნი.
მირბის, მიშუის ანკარა,
რწყამს გარეშემო მინდვრებსა;
სოფლის დიდი და პატარა
მუბნება მადლობასა.
აქ დამჰკნარ სიმინდს აცო-
ცხლებს,
იქ ალაღანებს ჯეჯილსა,
მესამე ადგილს ამწევანებს

მენახსა გაყვითლებულსა.

მეოთხე ადგილს სრიალით
ღარში სდის დაქანებული,
აბრუნებს წისკვილს შხუილით
და მირბის აქაფებული.

მირბის, ჩვენ მხარეს შორდება,
ზზაზედ იერთებს ბევრს წყლებ-
სა,
სიღრმით, სიგანით დიდდება,
ზიდავს ნავებს და გემებსა.

ბერი და ღათვი.

მრთი ბერი სცხოვრებდა უდაბურ ტყეში. მრთი ღათ-
ვის ბელი გაზარდა და შეიჩვია. ძაი მოსამსახურე გამოდგა.
ღათვი ნადირობდა, შეშა მოჰქონდა, ქოხს უყარაულებდა
და ბერს მუდამ უკან დასდევდა. მრთხელ ცხელ ღღეში
ბერს ეძინა ჩრდილ ქვეშ მწვანეზე. ღათვი გვერდით უჯდა
და ბუზებს უგვრებდა. მრთმა ბუზმა ყველაზედ უფრო საქმე
გააჭირა და ღათვი გააჯავრა. ღათვმა ეს ბუზი თავის პატ-
რონს ბევრჯელ მოუგერა, მაგრამ ტყუილათ: ბუზი ისევე ბრუნ-
დებოდა და ბერს კბენდა ხან ცხვირზედ, ხან ლოყებზედ.
ბოლოს ბუზი შუბლზედ დააჯდა. ღათვი მოთმინებიდგან გა-
მოვიდა: მოიცა, შე შეჩვენებულო, მე შენ რა გიყო; არ
მომშორდი და მიცქირე, როგორ გაფშეკინო ფეხებიო. ეს
რომ სთქვა, აილო ერთი დიდი ქვა და რაც ძალი და ღონე
ჰქონდა ესროლა შუბლზედ მჯდომ ბუზსა. ბუზი მართლა
მოკლა, მაგრამ ბერსაც ფეხები აფშეკინა.

ანდაზა: სულელი მეგობარი მტერზედ უარესიაო.

ლიახვი.

ლიახვმა თქვა: ავდიღლები, არაგვსა დავედარები,
ისე მოვალ და მოვხუევი, თითქოს ფეხს მეკრას ნალები;
სხინვალის ხიდს შევეუთვალე—აწ საღლა დამემალები?
შუა-ღამე რომ შეიქნა, მაშინ ავუბი თვალები,
მრი მსურავი დავახჩე, უღვაშ ნალები, ლალები,
მათი ცოლები ტიროდნენ, დაიხჩენენ ჩვენი ქმარები.

ურმით მიმაქვს წმინდა პური, ავალიანთ მოცემული,

ისიც ლიახვმა წამართო, მტკნარათ ამომხადა სული.
ღაიცა, გნახო, ლიახვო, დაგხვეოდნენ კოლოები,
ბიჭ-ბუქნი გაქყაუნებდნენ და გწკუპლამდნენ გოგოები.

კურდღლევი და ბაჰაჰევი.

შეიკრიბნენ ერთად კურდღლევი და შექნეს ჩივილი თავის საწყალ ბედზედა. შველა ჩვენ სისხლსა სვამს, ყველა ჩვენა გვდევნის: ადამიანები, ძაღლები, არწივები და სხვა მხეცები, ერთს წამს მოსვენება არა გვაქვსო; სულ შიშში და წვალებაში ვატარებთ სიცოცხლესაო; ისა სჯობია თავები დავიხრჩოთ და მოვრჩიეთ ამდენ ვაი-ვაგლახსაო. მს რომ სთქვეს, გაიქცნენ, უნდოდათ ტბაში დამხრჩვალისყენენ. ტბის პირს ბევრი ბაყაყები ისხდნენ. შეეშინდათ, ისკუპეს და წყალში ჩაცვივდნენ.—მჰე, ეტყობა ჩვენზედ უბედურები კიდევ სხვანი ყოფილანო, ამ საწყლებს ჩვენიც კი შეეშინდათო, სთქვეს კურდღლევმა და დანებეს დახრჩობას თავი.—

ჯარელი ბიჭი.

ჯარში ბიჭმა დაიკვება, წავალ ძახეთს დავისწავლი.
ძახის ბიჭმა შეუთვალა: შენ ძახეთს ვერ შეისწავლი,
ან წაგიღებს ალაზანი, ან იორი—შავი წყალი,
თუ იმასაც გადურჩები, ჩემს ხმაღს ველარ მოურჩები.

ს ა ს ა უ ბ რ ო .

თქვენ ახლოს რა მდინარეა? რა ჰქვიან იმ ჩაღრმავებულ ადგილსა, რომელშიაც წყალი ზდის? რა იჭერს წყალს კალაპოტში? რამდენი ნაპირი აქვს მდინარესა? რომელ ნაპირსა ჰქვიან მარჯვენა ნაპირი? მარცხენა? საიდგანაც მდინარე გამოდის, იმ ადგილს რა ჰქვიან? სადაც ჩადის იმ ადგილს რაღა ჰქვიან? მდინარის ტოტი რასა ჰქვიან? შონი? რასა ჰქვიან ტბა? წყარო? რუ?

შველაზედ დიდი მდინარე საქართველოში არის მტკვარი. სათავე სამხრეთისკენ სათათრეთში აქვს; ჩრდილოეთისკენ მოდის და ქართლში ჩამოდის, აქ აღმოსავლეთისკენ ბრუნდება, ქართლზედ მიდის, ქახეთს ბოლოს უელის და ჩადის ზღვაში. ქართლში მტკვარს ერთიან: ლიახვი, მსანი და არაგვი, —სამიენი ქაეკასიის მთებიდგან გამოდინან, სამხრეთისკენ მორბიან და ერთიან მტკვარსა. ქახეთში ორი მდინარეა: ალაზანი და იორი. ორივე ქაეკასიის მთებიდგან გამოდინან და სამხრეთისაკენ მიდიან. ალაზანი იქითა ქახეთზედ მიდის, იორი აქეთაზედა. იორი ბოლოს ერთვის ალაზანსა და ალაზანი ჩადის მტკვარში. მეორე დიდი მდინარე საქართველოსი არის რიონი. რიონიც ქაეკასიის მთებიდგან გამოდის, სამხრეთისაკენ მირბის, ჯერ რაჭაზედ, მერმე იმერეთზედ, შემდგომ დასავლეთისკენ ბრუნდება, ბურიისა და სამეგრელოს შუა მიდის და ერევა შავ ზღვაში. რიონში მარცხნივ ჩადის ჭვირილა, მარჯვნივ სხენისწყალი, რომელიც იმერეთსა და სამეგრელოს შუა მიმდინარეობს. ჩამომითვალეთ **საქართველოს მდინარეები!**

შველაზედ დიდი ქალაქი საქართველოში არის თბილისი. ასი დიდი სოფლის ოდენა იქნება. სძევს ქართლში. აშენებულია მტკვრის ნაპირებზედ. მეორე ქალაქი ქართლისა არის ახალციხე. სძევს სათათრეთის სამზღვრის ახლო, თბილისზედ ათჯერ პატარაა. მესამე ქალაქი ქართლისა არის ბორი; სძევს ლიახვის შესართავთანა; ახალციხის ნახევარი იქნება. ქახეთში ორი ქალაქია: სიღნაღი და თელავი; ორივე იქითა ქახეთში არიან. სიღნაღი ახალციხეზედ ცოტა ნაკლებია, თელავი კი მარტო ბორის ოდენაა. იმერეთში არის შუთაისი. ახალციხის ოდენაა, სძევს რიონის აქეთ-იქით ნაპირებზედა. სამეგრელოში არის ორი ქალაქი: ზუგდიდი და შულევი. შულევი ზედ შავი ზღვის ნაპირზეა აშენებული. ბურიაში არის ოსურგეთი. ჩამომითვალეთ **საქართველოს ქალაქები!**

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი ძირს დარჩებინან. სინამ ბალახი გაიზრდებოდეს, მდინარეში ბევრი კოკა წყალი ჩაივლის. ზღვაც დაილევთა კოვზითა. წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებოდა.

ზღვა ისრე არ დაშრება, რომ გუბის ტოლი გახდეს. ჰერ ფონს იკითხვენ, მერმე წყალში გავლენ.

გ ა მ ო ს ა ნ ე ბ ი.

შრემი მირბის, ხელნეები დგანან. მრთი სადგომი ვიცი, მუდამ დადის და ყვირის; არც ერთმა მისმა მდგმურმა ლაპარაკი არ იცის. თავ წვრილა და ბოლო მსხვილა დედას სასწრაფოთ შორდება, სიმღერით გარბის ქვევითა, თავის შემქმელს ახლოვდება.

ღასწერეთ, რითი გვანან და რითი გაიჩრევიან სოფელი და ქალაქი? რა სარგებლობა აქვს კაცს მდინარეებისაგანა?

ჩქარა გ ა მ ო ს ა თ ქ მ ე ლ ე ბ ი. ტყუბი ტყლაპი ტყავზედ დაედე. წახდა, წავიდა ჩოჩეთი, აწ რალა ექნათ უჩოჩეთოთა?

მებაღურის შვილი.

იყო ერთი მებაღური. ჰყვანდა ერთი ვაჟი შვილი. წავიდა სათევზაოთ და თან თავისი ვაჟი წაიყვანა. მივიდა მდინარეზედ, ახსენა ლმერთი და გადისროლა წყალში ბადე თავისი შვილის ბედზედა. თევზი იმდენი მოხვდა ბადესა, რომ ნაპირს ძლიელა გამოათრია. ბადახადა ბადესა და ნახა, რომ იმდენ უთვალავ თევზებში ერთი ერთი სისხლივით წითელი და მეტათ ლამაზი თევზი. მებაღურმა უთხრა თავის შვილსა: მე წაველ შინ, ურემს მოვიტან თევზების წასაღებათ და მანამდის შენ აქ ამათ კარგათ უგდე ყურიო, მეტადრე უფთხილდი ამ წითელ თევზსაო.

მებაღური რომ შინ წავიდა, ყმაწვილმა აიყვანა წითელი თევზი, ბევრი უცქირა, ეალერსა და ბოლოს სთქვა: ცოდო არ არის ამისთანა მშვენიერი თევზის სიკვდილით; მოდი ისევე გაუშვებო. ადგა და გაუშვა წყალში. მაშინ თევზი მოუბრუნდა ყმაწვილსა, გამოიძრო ფრთიდან ფხა და უთხრა: რახან მაგისთანა სიკეთე მიყავი, აი ეს ჩემი ფხა შენთვის მამიცია; როცა ძრიელ გაგიჭირდეს, მოდი წყლის პირას, ეს ფხა უბიდგან ამოიღე, ჩემი სახელი ახსენე, მაშინვე შენთან დავიბადები და უთუოთ გიშველიო. შმაწვილმა ფხა გამოართვა და უბეში ჩაიღო. მივიდა მებაღური, შეიტყო წითელი თევზის გაშვება, საშინლათ გაუჯავრდა შეილსა და უთხრა: წადი დაიკარგე, ჩემ სიცოცხლეში თვალით აღარ დამენახოვო.

წავიდა ყმაწვილი. მიდის გზასა. მართი ენახოთ, დაქანცული ირემი მორბის, უკან მოსდევნ ძაღლები და მონადირეები. შეეცოდა ყმაწვილს ირემი, გაექანა, მოაელო რქაში ხელი, დაიჭირა და მონადირეებს უთხრა: არა გრცხვენიანთ, ჩემ გაშინაურებულ ირემს დასდევთ დასაჭერათაო. მონადირეებს ეგონათ, ირემი მართლა შინაურიო, თავი დაანებეს და წავიდნენ. როცა კარგა მოშორდნენ, ყმაწვილმა გაუშვა ირემი. ირემმა გამოიძრო ბალანი, მისცა ყმაწვილსა და უთხრა: რახან მაგისთანა სიკეთე მიყავი, აი ეს ჩემი ბალანი შენთვის მამიცია; როცა ძრიელ გაგიჭირდეს, ამოიღე, ჩემი სახელი ახსენე, იმწამსვე შენთან დავიბადები და გიშველიო. შმაწვილმა ბალანი უბეში ჩაიღო და გასწია.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, დაინახა, რომ დაქანცულ წეროს მისდევს არწივი და ის არის უნდა დაიჭიროს. შეეცოდა ყმაწვილს წერო, გაექანა, ესროლა კომბალი არწივსა, შეაშინა და გააგდებინა წერო. როცა წერომ სული მოიბრუნა, გამოიძრო ერთი ფრთა, მისცა ყმაწვილსა და უთხრა: რადგანაც მაგისთანა სიკეთე მიყავი, აი ეს ფრთა შენთვის მამიცია; როდესაც გაგიჭირდეს, გამოდი მინდვრათ, ამოიღე

ფრთა, ჩემი სახელი ახსენე, მაშინვე შენთან დავიბადები და გიშველიო. შმაწვილმა ფრთა უბეში ჩაიღო და გასწია.

ბოლოს ნახა, რომ მწვერებს გამოუგდიათ წინ მელია, საშინლათ დაუღალაეთ და ის არის უნდა დაიჭირონ. შეეცოდა ყმაწვილს მელია, ჩოხის კალთა აიხადა და მელია ქვეშ დამალა. როცა მწვერები მოშორდნენ, ყმაწვილმა გაუშვა მელია. მელიამ ბალანი გამოიძრო, მისცა და უთხრა: რახან მაგისთანა სიკეთე მიყავი, ეს ჩემი ბალანი შენა გქონდეს; როცა გაგიჭირდეს, ამოიღე, ჩემი სახელი ახსენე, იმწამსვე შენთან დავიბადები და გიშველიო. შმაწვილმა ბალანი უბეში ჩაიღო და გასწია.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ყმაწვილი ერთ ციხესთან. ამ ციხეში სცხოვრებდა ერთი მზეთ უნახავი ქალი. შმრათ ის უნდა შეერთო, ვინც ამ ქალს დაემალებოდა და ვერ იპოენიდა. შამოეცხადა ამ ქალს ყმაწვილი. ჰკითხა ქალმა ყმაწვილსა: რათ მოსუღხარო?—ცოლათ მინდა შეგირთოვო, მიუგო ყმაწვილმა. შალმა უთხრა: თუ ისეთ ადგილას დამემალები, რომ ვერ გიპოენი, შენი ცოლი გავხლები, და თუ გიპოენე, უთუოთ თავს მოვაჭრევიებო. შმაწვილმა უთხრა: კარგიო, ოღონც კი ოთხჯერ დამალვის ნება მომეცო. შალი დათანხმდა.

შმაწვილი გამოვიდა ციხიდან, მივიდა წყლის პირსა, ამოიღო თევზის ფხა და ახსენა წითელი თევზი. თევზი იმწამსვე ყმაწვილთან დაიბადა, მიესალმა და ჰკითხა: რა გავჭირებია, ჩემო კარგო მეგობაროვო? შმაწვილმა უთხრა: ასე და ასეა ჩემი საქმე და ისეთ ადგილს უნდა დამმალო, რომ ეშმაკმაც კი ვერ მიპოენოსო. თევზმა შეისვა ყმაწვილი ზურგზედ, სწრაფათ ჩაარბეინა შიგ ზღვის ძირში, ჩასვა ერთ ამოღრუტულ ადგილში და ზედაც თვითონ გადაეფარა. შალმა ჩაიხედა თავის სარკეში, ბევრი იცქირა და ბოლოს მოჰკრა თვალი ყმაწვილს უძირო ზღვაში. შალს ძალიან გაუყვირდა: თქვენი ჰირიმე, ეს რა ეშმაკი ვინმე ყოფილაო. მეორე დღეს ყმაწვილი თამამად გამოეცხადა ქალსა. შალმა

უთხრა: ტყუილათ თამამობ, კარგათ დაგინახე, ზღვის ძირში რომ იჯექი და წითელი თევზი გეფარაო. მანცვიფრდა ყმაწვილი: ეს რა თვალთ მაქცი ყოფილაო.

შმაწვილი გამოვიდა და კიდევ წავიდა დასამალავათა. ბავიდა მინდორსა, ამოიღო ირმის ბალანი და ახსენა ირემი. ირემში იმწამსვე ყმაწვილთან დაიბადა, მიესალმა და ჰკითხა: რა გაგჭირებია, ჩემო კარგო მეგობაროვო? შმაწვილმა უთხრა: ასე და ასეა ჩემი საქმე და ისეთ ადგილას უნდა დამშალო, რომ ეშმაკმაც ვერ მიპოვნოსო. ირემმა შეისვა ყმაწვილი ზურგზედა, ქარივით გააქანა, ცხრა მთას იქით გადიყვანა, ერთ გამოქვაბულში შესვა და თვითონაც ზედ მიეფარა. შალმა ჩაიხედა თავის სარკეში, ბევრი იცქირა და ბოლოს ძლივს მოჰკრა თვალი დამალულ ყმაწვილსა. მეორე დღეს ყმაწვილი თამამად გამოეცხადა ქალსა. შალმა უთხრა: ტყუილათ თამამობ, კარგათ დაგინახე, გამოქვაბულში რომ იყავი დამალული ცხრა მთას იქით და ზედ ირემი გეფარაო.

ბამოვიდა ყმაწვილი ციხიდგან და მესამეთ წავიდა დასამალავათა. ტრიალ მინდორზედ ამოიღო ფრთა და ახსენა წეროს სახელი. წერო მაშინვე ყმაწვილთან დაიბადა, მიესალმა და ჰკითხა: რა გაგჭირებია, ჩემო კარგო მეგობაროვო? შმაწვილმა უთხრა: ჩემი გაჭირების დღეც ეს არის, ისეთ ადგილას უნდა დამშალო, რომ ეშმაკმა ვერ მიპოვნოსო. წერომ შეისვა ზურგზედ ყმაწვილი, აფრინდა, წავიდა მალღამალა, ზედ ცაზედ მიაკრა ყმაწვილი და გადაეფარა ზედა. შალმა ამოიღო სარკე, გაიხედა ოთხიე-კუთხიე, ვერ იპოვნა და შეფიქრიანდა. ბოლოს მალღამა აიხედა სარკითა და დაინახა ზეცაზედ მიკრული ყმაწვილი. ბაუკვირდა მეტათ ქალსა: ეს რა ჯასჯანჯიელი ვინმე ყოფილაო. მეორე დღეს ყმაწვილი თამამად გამოეცხადა. შალმა უთხრა: ტყუილათ თამამობ, კარგათ დაგინახე, ცაზედ რომ მიკრული იყავ და ზედ წერო გეფარაო. შმაწვილი უწინდელზედ უფრო განცვიფრ-

და და კიდევ შეეშინდა. ზამოვიდა ციხიდან მეოთხეთ და-სამალაფათა.

ზავიდა მინდვრათა, ამოიღო მელის ბალანი და ახსენა მელია. მელია მაშინვე ყმაწვილთან დაიბადა, მიესალმა და ჰკითხა: რა გაგკირებია, ჩემო კარგო მეგობაროვო? ასე და ასეა ჩემი საქმე და ისეთ ადგილას უნდა დამშალო, რომ იმ თვალთ-მაქცმა ქალმა ვერ მიპოვნოსო,—თორემ, თუ მიპოვნა, თავს მომპკრისო მელიამ უთხრა: ნუ გეშინიან, ოღონდ კი ორი კვირის ვადა სთხოვე ქალსა და ისეთ ადგილას დაგ-მალამ, რომ თუნდ კიდევ მოკვდეს, ვერ გიპოვნოსო. შმაწ-ვილმა გამოსთხოვა ქალსა ორი კვირის ვადა. მელია წავი-და, ერთი მთის ძირიდან დაიწყო სოროს თხრა და გამოი-ტანა სწორეთ იმ ტახტის ძირის პირდაპირ, რომელზედაც ქალი იჯდა. შეაძვრინა შიგ ყმაწვილი, წამოიყვანა სორო-სორო და ქალის ქვეშ მიწაში ამოსვა. შალმა ჩაიხედა სარ-კეში, ბევრი ათვალეირა, ხან აღმოსავლეთისკენ იხედა, ხან დასავლეთისკენ, ხან ჩრდილოეთისკენ, ხან სამხრეთისკენ, ხან მაღლა ცაში იცქირა, მაგრამ ტყუილათ,—თვალი ვერ-სად მოჰკრა. ბოლოს დაიძახა: სადა ხარ, შე ქაჯო, გამოჩნ-დი, ვეღარ დაგინახეო. შმაწვილმა ქვეიდან ხმა მოსცა და ტახტის ძირიდან ამოძვრა. შეიქნა ქალი ნაჯობნი. მეორე დღეს ისეთი ქორწილი გამართეს, რომ ჩიტის რძეც კი ბევრი ჰქონდათ სტუმრებისათვის. —

თბილისის ქება.

ნეტავ ქება როგორ ითქმის ამ თბილის ქალაქისაო;
ზამთარი არის ბროლისა, ზაფხული ზურმუხტისაო.
ზარს ახვევია ბალები, ჩარხი უბრუნავს წყლისაო,
შიგ წისქვილები უბრუნავს, აგებულები ხისაო.
შალაქში აბანოები ბადალი ხმელეთისაო;
ქლდის ძირში აშენებული, აუზები აქვს ქვისაო;
თაღები გადაჭედილი წითელი აგურისაო;

მალლიდგან ფანჯარები, სანათურია მზისაო.
მინც შევა, აგრეთსა გახდის, როგორც თოვლია მთისაო;
ქალი და რძალი გამოდის, როგორც ყვავილი ხისაო.
ღუქნები ბევრი გამართეს, სასხლოში ბაყლებსაო;
ძირს ქუჩები დაატანეს, სარბენი არის გზისაო.
საყდარი ბევრი ააგეს, ამ თეთრი ქვიტკირისაო.
ხატი და ჯვარი შიგ არის, სალოცავია ლეთისაო.
ბერი და მღვდელი ამდენი, როგორც რომ წვიმა წყლისაო.
ხაზინაები აწყვია, მოჭრილი თამაზ ხნისაო.
მრეკლე ბატონი იჯდა, ბადალი ხმელეთისაო.

კეთილი გული.

პოტე, მდიდარი თავადის ბავშვი, აღდგომის წინა ღღე-
ებში თავის ტოლ გლეხის შვილთან, სანდროსთან, თამა-
შობდა. ამ დროს პოტეს სადილათ დაუძახა მოსამსახურემ.

— სადილს უკან ისევ მოდი სათამაშოთა, მე აქ მოგიც-
დი, მისძახა სანდრომ პოტესა.

— ბანა სადილის საქმელათ შენ კი შინ არ წახვალ?
ჰკითხა პოტემა.

მე? არა... ჩვენ ღღეს სადილათ არაფერი არა გვაქვს.
უპასუხა სანდრომა და თან კიდევ ამოიოხრა.

როცა პოტე სახლში შევიდა, მამას ყელზედ მოეხვია
და უთხრა: მამილო! შენ რომ სააღდგომოთ ახალი ტანი-
სამოსი უნდა მიყიდო, ის რა ელირება?—სამი თუმანი, —რა-
თა კითხულობ, შვილო?—მამილო, გენაცვა, ნუ კი გამი-
ჯაერდები და მე უნდა გთხოვო, ეგ სამი თუმანი ფულათ
მაჩუქო. მამას ჯერ გაუკვირდა, მაგრამ, როცა პოტემ უთხ-
რა—რისთვისაც უნდოდა ეს ფული, სიხარულით აღუსრულა
შვილს სურვილი. მახარებელი პოტე სახლიდგან გაექანა და
ეს ფული თავის ტოლს ღარიბ სანდროს მიუბრუნებინა.

სამნი ძმანი.

ერთი ღიდებული მეფე იყო და სამი ვაჟი ჰყვანდა. მე-

ფემა სთქვა: უნდა გამოეცადო ჩემი შვილები და შეეიტყო—
რომელს აქვს სამეფო ჭკუაო? სამთავეს ჰკითხა: რა უფრო
კეკლუცია, რა უფრო მსუქანია და რა უფრო მალიაო? შუ-
როსმა ვაჟმა კვებნით მოახსენა: კეკლუცი არის ჩემი ცო-
ლი, მსუქანი არის ჩემი ცხენი და მალი ჩემი ქორიაო. მა-
მამ უთხრა: მეფობა არ გელიხროს შენაო. შუათანა ვაჟმა
იხმარა პირფერობა და მოახსენა: დედოფლის ულამაზესი,
მეფის ცხენის უმსუქნესი და მეფის შაჰარდნის უმაღლესი არა
იქნება რაო. იმასაც უბრძანა მამამ: არც შენ გელიხროს მე-
ფობაო. ბოლოს უმცროსს დაუძახა, ჰკითხა და იმან მოახ-
სენა: გაზაფხულზედ უკეკლუცესი, შემოდგომაზედ უმსუქ-
ნესი და თვალეზზედ უმაღლესი არა იქნება რა დედამიწის ზურგ-
ზედაო. მოეწონა მამას ეს პასუხი და სამეფო უმცროსს
შვილს დაუმკვიდრა.—

დატყვევებული ჩიტი.

ბალია ყველა ერთია, ოქროსი იყოს გინდა ხის,
საბრალო ჩიტი, შიგ მჯდომი, გულ მოსაკლავათ იძახის.
რაც უნდ პატივით ინახოთ, თუნდ რომ ჰქონდეს თავსა ვლება,
მაინც ასჯერ ურჩევნია ღარიბი თავისუფლება.
შეგარს მას მარღათ ფრთის გაშლა, ცაში ქროლა, სრიალობა,
ხან გულ-ამოსკვნით ჭიკჭიკი, ხან ამოსტვენით გალობა,
მაგრამ კაცი გულ-ქვავი სხვისი უფლების მტერია,
თვის სასარგებლოდ იმას იქმს, რაც სხვისი არ საფერია.
მებრალვის ჩიტი, ტყვეთ ქმნილი, ძალდატანებით მსტვენავი,
ცხადათ ოქროში ჩასმული, ფიქრით ჰაერში მფრინავი.
რათ უნდა უცხო პატივი, ალერსი, ოქროს გალია,
თუ მონებაში საბრალომ თვისი სიცოცხლე დალია!...

ორმოში ჩაბღებული მუშა.

ორი მეფე შეიბა. მართმა მეორე დასძალა, დაიჭირა და
ორმოში ჩააგდო. ბავილენენ დღენი, მოვიდა ერთი ნაცნობი

კაცი და მონღოლა ამოყვანა და გაპარება მეფისა. ჩასძახა ორმოში: კარგს არა ვიქ, რომ გაგაპაროვო? მეფემ ქვემოლად მადლი უბძანა. მოიტანა თოკი და ამოიყვანა. ძილვე უთხრა: კარგათ არა ექენ, რომ ამოგიყვანეო? მეფემ კილვე მადლი უბძანა. მესამეთ კილვე უთხრა: კარგათ ექენიო? მწყინა მეფესა და დაიძახა: ვინა ხართ, ამ კაცმა გამაპარაო. მოვიდნენ ყარაულები, დაიჭირეს ორნივენი და ჰკითხეს მეფესა: რათ გაამჟღავნე და არ გაიპარეო. მეფემ უთხრა: ვინემ ამომიყვანდა, საყვედურით ამავესო, თუ შინ მიმეწია, კილვეც დამახრჩობდაო და აქვე ყოფნა ვირჩიეო.

აბლაული და მრეკლე.

აბლაული შეიკმაზა თოფითა და ჯინჯილითა: ჩავალ თბილისს შემოვესხმი, ამოვსწყვეტამ შიმშილითა. ეს რომ მრეკლემ შეიტყო, გადაბრუნდა სიცილითა: მეფე მრეკლე მოგიკედეს, ვერ გაგბეთქო სირბილითა, ძოჯორი გაგარბევინო, მონასტერი ტირილითა.

მონი ღვთისნიერი ძმა.

მონი ძმანი იყენენ. შუროსს ცოლშვილი ჰყვანდა, უმცროსი უცოლო იყო. მრთათ ველარ მოთავსდნენ და გაიყარნენ. შოველივე გაიყვეს, რაც კი ჰქონდათ. ბაყოფილი პური ცალცალკე ორმოში ჩაყარეს. მონოები კალოს აქეთიქით ნაპირებზედა იყენენ. შუროსი ღამით ჩუმათ იღებდა თავის ორმოდგან პურსა, ძმის ორმოში ჰყრიდა და ამბობდა: მე ღმერთმა ცოლი და შვილი მომცა, მომგებელნი მყვანან, ჩემ ძმას კი არა ვინა ჰყავს, ეს იმისი იყო და სჭამოსო. უმცროსიც მიიპარებოდა ხოლმე თავის ორმოსთან, იღებდა პურსა, ჰყრიდა თავის ძმის ორმოში და ამბობდა: მე მარტო კაცი ვარ, ბევრი სარჩო არ მინდა, ჩემი ძმა კი წვრილშვილია და მეტი სარჩო უნდება, ეს პური იმისი იყვესო.

ესე გაატარეს მათ თავისი ღლენი და ღმერთმა ორივეს გაუმრავლა ყველაფერი და არ მოაკლო მათ საზრდო.

ღემურის ლექსი.

აღმა ღემურ, შეიკმაზა, ტანთ ჩაიცვა საომარი,
ბასწია ქიზიყისაკენ, ლეკთან დიდი ომი არი.
ამ ქიზიყელმა ბიჭებმა დააყენეს სისხლის ღვარი.
ასი დაწყობა ღემურმა, თვითონც ღლე დააღმა მწარი.
ღედას კაცი მიუვიდა: შენი ღემურ მოგდის მკვდარი!
ჩემს ღემურსა ვინ მოჰკლამდა, მთელ კახეთს გათქმული არი?
ღემურ კარზედ მიაყენეს, არის ტირილი და ზარი.
ვაიმე, შეილო, ღემურო, რა დროს შენი ომი არი!
თავის თმები გაიწეწა, მოთქმა მორთო მეტათ მწარი;
მის თვალებზედ არ შემშრალა მერმე შავი ცრემლის ცვარი.

მეფე და იმისი ვაჟები.

მეფე ვინმე იყო დიდებული. ჰყვანდა ოც-და-ათი ვაჟი.
ღაბერდა და სიკვდილის დრო მოუახლოვდა. ღაუძახა თავის
ვაჟებსა, მოატანია ოც-და-ათი შეილდის ისრები, შეჰკრა
ერთათა, მოსწია დასამტერევათა, მაგრამ ვერ გასტენა. მერმე
კონა გასხნა, თითო თითო ისარი ცალ-ცალკე მოსწია და
ყველანი დაამჩხვრია. მოუბრუნდა თავის შეილდებსა და უთ-
ხრა: თუ ერთათ იქნებით და ერთ პირზედ იდგებით, მტერი
ისე ვერ დაგძლევეთ, როგორც მე ვერ დავძლიე ისრების ერ-
თად შეკრული კონა; მაგრამ თუ გაიყრებით და გაცალ-
ცალკევდებით, მაშინ მტერი ისე დაგლეწავთ, როგორც მე
ცალკე ისრები დავამსხვრიეო.

ა მ ი რ ა ნ ი.

სანადიროთ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი,
მთას წამოუხტათ ირემი, ცასა სწვდებო რქანი მისნი;
ამირანმა ბოძალი ჰკრა, წითლათ დასჭრა მხარი მისი,
შვიდი ღლე-ღამე იარა, არ დაკარგა კვალი მისი.
ცხრა მთა გადაარბევინა და მეათე აღგეთისი,
მთაში ერთი კოშკი ჰპოვეს, ცასა სწვდებო წვერი მისი.

ამირანმა გარს უარა. ვერ იპოვნა კარი მისი,
ამირანმა წიხლი დაჰკრა, იქ შაბა კარი მისი.
შიგ ერთი მკედარი სვენია, საწყალი და საბრალოსი,
თითებსა და თითებს შუა წიგნი უდევს ქალღმერთსი:
წაიკითხა ამირანმა, შიგ ეწერა გვარი მისი:

„არც ისე დაკარგული ვარ, ძმისწული ვარ უსუპისი.
მინამ ვიყავ, მტერი ვსერიმე, მე არ წამყვა ჯავრი მისი.
ერთი ბაყბაყ-მდევი დამრჩა, მოგვედი, ჩამყვა ჯავრი მისი!
მინც იმ ბაყბაყ-მდევეს მამიკლავს, ჩემი რაში ალაღ-მისი,
მინც ჩემ ცოლშვილს შეინახავს, ჩემი ლახტი ალაღ-მისი,
ქარებს უკან შუბიცი არის, ის შუბიცი ალაღ-მისი!“

აღმა ამირან, წავიდა, მოუყვლია კვალი მისი.
ამირან და ჩრდილოელი, ორივე ისხდნენ წყლისა პირსა,
ამირანი ხმალსა ლესავს, ჩრდილოელი უწყობს პირსა.

მდევი დინჯათ მოაბიჯებს, დედა-მიწა შეიძვრისა.

ამირანმა შეუძახა: შენ კაცო, კაცო, ვინ ხარო?

სახელი შენი მითხარო!

შენ ჩემ სახელს რათ იკითხავ?

უსუპის ძმისწული მოკედა, იმის საჭმელათ მივალო!

— ადამიანს ვინ შეგაჭმევს?! შენთან საომრათ მოვალო!

ამირან, მდევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი,

ამირანმა მდევი დასცა, ალაგი შეხვდა ქვიანი,

დასცა და მხარი მოსტეხა, დაწყებინა ღრიალი!

პ ა პ ა.

ერთ ქვეყანაში ერთი ბერიკაცი სცხოვრებდა. სიბერის
გამო ხეირიანათ ველარ ხედავდა, ყურთაც ძალიან დააკლდა
და საწყალს ხელფეხიც სულ უკანკალებდა. როცა სუფრა-
ზედ იჯდა, კოვზს ხელში ძლივსღა იმაგრებდა და საჭმელი
ბევრჯერ სუფრაზედ ეღვრებოდა. შვილი და რძალი ბერი-
კაცს ზიზლით უყურებდნენ და თავისთან სადილ-ვახშამს აღარ
აჭმევდნენ. ბნელ კუთხეში მიმალეს და საჭმელს იქ უზი-

დავდნენ. ბერიკაცს ხშირათ მოსდიოდა ცრემლი თვალებში, როდესაც ხედავდა, რომ მისი შვილი და რძალი გაშლილ სუფრაზედ ლაზათიანათ შეექცეოდნენ. ბერიკაცს ერთხელ დასუსტებული ხელი ძრიელ აუკანკალდა, ჯამი გაუვარდა და გაუტყდა. რძალი მივარდა მოხუცებულსა და ერთი ყოფა დააწია. მოხუცმა პასუხი ვერ გაბედა, ღრმათ ამოიოხრა და საცოდავთ ჩაჰკიდა ძირს თავი. ამის შემდგომ საჭმლის ძლევა ხის პინაში დაუწყეს.

ამ ბერიკაცის შვილსა ერთი ოთხი წლის ბავშვი ჰყვანდა. მრთხელ ეს ბავშვი სახლის წინ იჯდა და ფიცრებსა ჰკრავდა. „მაგას რას აკეთებ, შვილო?“ ჰკითხა მამამა. — პინასა. „რათ გინდა?“ — როცა შენ და დედა ჩემი დაბერდებით, მაშინ მე ამ ხის პინაზედ დაგისხამთ ხოლმე საჭმელსაო. დედმამამ ერთმანეთს შეხედეს და შემდეგ ტირილი დაიწყეს. ამის შემდეგ ბერიკაცს ისევ პატივი დაუბრუნეს, სუფრაზედ თავისთან სვამდნენ და ბრიყულათ აღარ ექცეოდნენ.

სოლოღას ლექსი.

აღმა სოლოღა წავიდა, დადგა სტამბოლის გზაზედა,
 შვიდი ღღე-ღამე იარა, ჩავიდა ხონთქრის კარზედა.
 ძარზედ დაუხვდა ვეზირი, ხელი დაადგა მხარზედა,
 სოლოღა ჰკოცნის კალთაზედ, ვეზირი ჰკოცნის თავზედა.
 შეიპატიჟა სოლოღა, დასვა ხალიჩის თავზედა.
 სოლოღავე, რისთვის გარჯილხარ, მოსულხარ რა საქმეზედა?
 მოგეხსენებათ, ბატონო, კულ ღროს შევეწრივართ მასზედა.
 სოლოღავე, ჯირითს გიქებენ, გათქმულხარ ბურჯისტან-ზედა;

მრთი არაბი ჩვენცა გყავს, გათქმული ქვეყანაზედა,
 შენ თუ იმას ეჯირითე, თუღებს დაგადგამ თავზედა,
 შაშობასაც შენ გაჩუქებ იმ ახალციხის კარზედა.
 მე ჯირითისა რა ვიცი, რა დავიქადო რაზედა?
 ბავზდილვარ გაუჩალხელად მოედანსა და კარზედა.

არ მოგეშვებით, სოლოლაე, გაგიყვანთ მოედანზედა.
 თქვენი ნებაა, ბატონო, რა გამეწყობა თქვენზედა.
 ცხენი მიშოვნეთ ასეთი, არ იყოს ქვეყანაზედა.
 შვეიდნენ, გამოიყვანეს ნაბამი ოთხკეც ჯაჭვზედა;
 მდგა ოქროს უნაგირი, ალმასი ერჭო თავზედა,
 შვიდს მეჯინიბეს ეჭიროს, ვერ იმაგრებდნენ გზაზედა.
 ოღრშაბათ დილა გათენდა, გავიდნენ მეიდანზედა.
 ბავიდა ჩვენი სოლოლა, დადგა ერთსა მხარეზედა.
 მოჰქრის, მოშხუენის არაბი, ვით შავარდენი მთაზედა;
 სამა ჯირითი უწყევია იმ გაშავებულ მკლავზედა.
 სამსავე სოლოლას უქადის, რა გადახდება თავზედა?
 ბადის, გამოდის, აქენებს, იკლანის უნაგირზედა.
 სოლოლა სალამს მიართმევს, არ ხამობს არაფერზედა.
 — არ ვიცი სალამ-სულამი, ეხლავ გამექე კვალზედა,
 წყალივით ოფლში გაგწურო, გაგშინჯო კაცობაზედა.
 ბაიქცა ჩვენი სოლოლა, არაბი დაჰყვა კვალზედა.
 მართი ჯირითი ესროლა, არ წაიკარა ტანზედა;
 მეორე რომ დააყოლა, გადაიცილა თავზედა.
 შეხტა და შემოტრიალდა, დადგა ცალ აბჯანდაზედა.
 მესამე რომ დააზილა, ცხენს მოურტყა ტანტარზედა.
 ცალი აბჯანდა შესწყვიტა, დადგა ცალ-აბჯანდაზედა,
 ბადეხვია, აკოცა ცხენსა მარჯვენა თვალზედა:
 შენი ჭირიმე, ლურჯაჯან, გადამარჩინე წამზედა!
 — აბა, მობრუნდი, არაბო, მოგყვეს სოლოლა კვალზედა.
 მე ხომ ერთის მეტს არ გესერი, მასაც ლეთის სამართალზედა.
 ბეექცა ფიცხლავ არაბი, მისდევს სოლოლა კვალზედა;
 შავარდნულეებ შემოჰკივლა, ხონთქარი დასძრა ტანტზედა.
 მართი ესროლა ჯირითი, დაასო ბეჭის ფთაზედა!
 არაბი ძირს გადმოვარდა, ცხენი გარბოდა წყალზედა.
 ხონთქარს კაცი გაუგზავნეს: არაბი მოჰკლეს წამზედა.
 — ჩემს არაბსა რა მოკლამდა, გათქმულსა ქვეყანაზედა?
 მიჩვენეთ მისი მომკვლელი, ფაშობა მიეცე წამზედა.

სოლოლა მიჰყავთ ხონთქართან, ფეხები მიაქვს განზედა, აგრე ჰგონია სოლოლას, თავს მაშორებენ წამზედა. ნუ გეშინიან, სოლოლავე, თულებს დაგადგმენ თავზედა; შაშობასაც გაჩუქებენ იმ ახალციხის კარზედა!

მრ თულიანი ფაშობა ფიცხლავ დასწერეს წამზედა. თემზედ სოლოლა გათქმულა, ხმა უწევს პირსა ზღვისასა, ცხენზედ ზის არაბულზედა, ხმალს ხმარობს აღმასისასა; ასეთი სამართალი აქვს, შუა ჰყოფს ბეწვსა თმისასა!

ს ა ს ა უ ბ რ ო .

ვინ აკეთებს სოფლებსა და ქალაქებსა? მთები და მდინარეებიც ადამიანის გაკეთებული არიან? არა, ბუნებით არიან გაჩენილნი. ღამისახელეთ რამდენიმე ადამიანის ხელით გაკეთებული საგნები! ბუნებით გაჩენილი საგნები! შეეღა იმ საგნებს, რომლებიც ადამიანის ხელით არიან გაკეთებულნი, ჰქვიანთ **ხელმოწმებითი საგნები**. იმ საგნებს კი, რომლებიც ბუნებით გაჩენილან, ჰქვიანთ **ბუნებითი საგნები**. მითხარით, ბუნებითი საგანია, თუ ხელოვნებითი ხიდი? ბალახი? ბზა? ცხოველი? სახლი? ძვა? საყდარი? მიწა? წყარო? ღუქანი? ტბა? მინა? სარკე? მატყლი? ჩოხა? თიხა? ჰურჭელი? ბამბა? ჩითი? მერცხლი? შული? რკინა? ბუთანი? საქონლის ტყავი? რუმბი? ღრო? სეტყვა? მერცხლის საათი? აბრეშუმი? ბალდადი? ხე? ხის ავეჯი? თოვლი? ჰურძენი? ღვინო?

ადამიანსა, მის გაკეთებულ საგნებსა, ბუნებასა და მის გაჩენილ საგნებსა ერთათ რა ჰქვიანთ?—**შეეყანა**. ვინ არის მთელი ქვეყნის გამჩენი, ანუ შემოქმედი?—**ღმერთი**.

გამოცანების ახსნა.



ბევრი წიგნისა.	გამოცანების მნიშვნელობა.
16	წერილი. ძალაში. წიგნი. მელი.
22 და 25	პარცლი და ცოში. სტოლი. სტაქანი. სამოვარი. — წყალი. ცოში. ჟურნის წვენი. არაყი.
30 და 32	ჭული. ჭული. ძალამნები. შოშები. ხალიჩა. ძალამანი, ფეხი და წინდები. — ჭვევრი.
34	ძარები. ძაფიანი ნემსი. სამართებელი. ხმალი. ტყვია. ზარი. ქვამლი და ალი. წისქვილის ქვები.
42	ცხვარი. ძროხის ძუძუები. შირი. ტიკტორა. ღორი და გოჭები. ღორი. ძროხის ძუძუები.
47,48 და 49	მელა. — მზე. მზე და მთვარე. — ქვერცხი და წიწილა. ქვერცხი. ქვერცხი.
52 და 58	ძაბამი. ქვერცხი. მამალი. — მწყერი. მერცხალი. ძაქკაქი. ხეკაქუნა.
64 და 70	თევზი. თევზი. თევზი. — ბუზები. მობობას აბლაბუდა. რწყული. შუტკარი.
72,75 და 77	ჩრდილი. ჩრდილი. ია. თივა. ძვირისტაფი. ჯარა. მამალი.
81	ძნები. მკა. სიმინდი. ჯარხალი. ძიტრი. ბოლოკი. ძიტრი.
87 და 92	ძაკალი. სიმინდი. ძლიაფი. თხილი. შაშლი. ხე. მკევალი. ხაშხაში. — მქრო და ვერცხლი.
96 და 98	მარილი. ღრუბელი. — ღლე და ღაფე. ძვირის დღეები. წელიწადი. წელიწადი. მთვარე. საათი. შინული. მზე და მთვარე.
103 და 109	შული. — ძამიანი, რომელიც ბავშობისას ოსით დადის, დიდობისას ორით და სიბერისას ჯოხს იბჯენს. ძუნწი.
115	წამწებები. ძანჭი. პირი და კბილები. თაფი. ცხვირი. მნა. ნესტოები. ცხვირის ნახოცი. ხელები და ფეხები. ხელი.
120	პირი, თვალები, ყურები და თაფი. თვალები. სუნი. სათვალე.
129 და 133	წიშა. ნამი. სეტყვა. ძარი. თოვლი. შინული. ბანთი-ადის ნიაფი და ნამი. — ძაკალი.
134 და 137	ძრთხა ჰყვანდა ხუთი ცხვარი, მგორეს შვიდი. — მთა.
143	ჯერ გაიყვანა თხა, მერმე მგელი, თხა უკანვე გამოიყვანა და გაიტანა თივა. ბოლოს თხაც გაიყვანა.
148	სამივე გამოცანა მდინარეს ნიშნავს.

იაკობ გოგებაშვილი

დედა ენა

დაბეჭდილია 1876 წლის გამოცემის მიხედვით

პასუხისმგებელი გამოცემისათვის

ხუბა ბერულავა

გამომცემლობა „ბანათლება“

თბილისი — 1976

Яков Семенович Гогешавили

«Деда эна»

(Родная речь)

Печатается по изданию 1876 года

Издательство «Ганатлеба».

274/1

